



ციხესიმაგრე

№ 26 / 12 - 18 ბპრ0ლ0 / 2010

ფასი 2 ლარი

- ვადო მარაბიშვილის იდენტიტეტი „კომერსაცის“ გვ. 15
- სოზარ სუჩარი: ვინ არის ქვეყნის გატონ-პატრონი? გვ. 18
- იაგო კაჭკაჭიშვილი: გზა ღილსეული დამარცხებისავე გვ. 22
- ფოკუსი: რავოლუცია ყირგიზეთში გვ. 34
- მოქალაქე ფარებულის უზრუნველისტ კოგენიდის წინააღმდეგ გვ. 6
- მაღიამონიტორინგი №1 ახალი ამჩავი გვ. 40
- მიმდევარი ცეცხლი როგორც პიარ-ტექნოლოგია გვ. 42
- გიორგი ახვლევიანი: სალაში ეართველ მორაგეებს გვ. 46



36 000 000

**კრისტიან ტელავიზიას
ჩვენი საფუძღენ**

გვ. 13

ISSN 1987-7528



9 771987 752008



მირადიო

თელავი, ყვარელი, ლაგოძევი	FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური	FM 103.0
ზესტავონი, ქუთაისი, სამტრებია	FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი	FM 101.0
ვოთი, სენაკი, ზუგდიდი	FM 101.9



რევოლუცია ყირგიზეთში, ბაშკეკი, 8 აპრილი 2010

ნოარეა:

- 02 რედაქტორი
04 მოკლედ
06 ვრცლად
08 ფოტორეპორტაჟი
10 ორა აზრი
ქართველი სამხედროები
ავლანეთის ოპერაციაში
აღექსანდრე რონდელი N.S.
ირაკლი კაჯაბაძე
12 თვალსაზრისი
კომუნიკაცია და ინვესტიცია
მარკ მალენი
13 მიმოხილვა
საგადასახადო
ამნისტია ქართული
ტელეერხებისთვის, თუ
სუბსიდია სახელისუფლებო
ტელევიზიებისთვის?
15 ინტერვიუ
ომი ჯერ არ დამთავრებულა

- 18 თვალსაზრისი
ვინ არის ქვეყნის ბატონ-პატრონი?
სოზარ სუბარი
პოლიტიკა
20 ისევ ეროვნულ-განმათავისუფლებელი
მოძრაობა
22 თვალსაზრისი
გზა ლირსეული
დამარცხებისკენ
იაგო კაჭკაჭიშვილი
საუბრები ლიბერალიზმი
25 სიძულვილის ენა უნდა
ისჯებოდეს
ეკონომიკა
27 ბიზნესის კეთების
სიმარტივიდან
სახელმწიფოებრიობის
წარუმატებლამდე

- 30 „ხელი ხელს ჰპანს“ და
ორივე ერთად „ნაციონალურ
მოძრაობას“
ფოკუსი: ყირგიზეთი 2010
34 მორიგი „სახალხო
რევოლუცია“
36 პოლიტიკური კრიზისის
მიზეზები
38 ფარული ამნისტია
40 მედიამონიტორინგი
N1 ასალი ამბავი
42 რელიგია და პოლიტიკა
წმინდა ცეცხლი, როგორც
პიარ-ტექნოლოგია
კულტურა
44 გალოპის რაინდები
45 დარია თუ ავდარია, თურმე
გიგიც მაგარია

- სპორტი**
46 სალამი ქართველ
მორაგბეებს
**ქალაქში მოხეტიალე კაცის
ჩანანერგები**
48 პროექტი - „დუნგრენები
მტკვარზე“

გარეკანები:

ამნისტია ტელევიზიებს
ჩვენი საფულიდან



უფრო დიდი „ოპერატორი“ გამოიცემა ფონდ
„დია საზოგადოება - საქართველოს“
მხრიდან მტკრით.



„ლიბერალის“ გაითხოველებს და გულშემატკიცრებს

ჩვენს ვებგვერდზე და ვირტუალურ სივრცეში ხშირად ვსაუბრობ ხოლმე იმ სიახლეებზე, რაც „ლიბერალის“ თავს ხდება, მაგრამ უურნალის ფურცლებზე ამის შესახებ არასოდეს დაგვიწერია. ამიტომ, გაცნობთ რამდენიმე ახალ ამბავს „ლიბერალის ცხოვრებიდან“.

რამდენიმე კვირის წინ გერმანიდან დაგვირეკეს და გვა-მცნეს, რომ გერმანული ფონდი ZEIT (ფონდი „თავისუფალი სიტყვა“) და ნორვეგიული ჰელსინკის კომიტეტი „დამოუკიდებელი და გაძლიერებული უურნალისტიკისა და მცირე დროში მიღწეული პოპულარობისათვის“ „ლიბერალს“ პრემიით აჯილდობდნენ. ჯილდოს, 10 000 ევროს, მაისში, ჰამბურგში გადმოგცემთო. დიდხანს მეგონა, რომ ვიღაც მეხუმრებოდა – „ლიბერალის“ ცხოვრებაში სასიამოვნო სიურპრიზში იშვიათად ხდება. მაგრამ ოფიციალური წერილების მიღების შემდეგ მოლოცვებიც შევიწყერეთ და ის პასუხისმგებლობაც, რაც „გაძლიერ და დამოუკიდებელ“ უურნალისტიკაც სდევს თან.

სწორედ ამიტომ, დაგისახეთ ახალი მიზანი – „ლიბერალის“ უფრო მეტ ადამიანამდე მიტანა. ჩვენი ამოცანაა უახლოესი თვეების განმავლობაში ტირაჟის გაზრდა. უურნალის არსებობისა და განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყოველ ორშაბათს, არ დაზიაროთ, მიხვიდეთ ჯილდურთან და შეიძინოთ ახალი ნომერი, ან გამოიწერით, და ის თვითონ მოვა თქვენთან.

ჩვენი გამომცემლობა იმით გეხმარებათ, რომ 2,80 ლარის ნაცვლად, „ლიბერალი“ ახლა უკვე 2 ლარი ღირს. ამისათვის უურნალის ფერადი გვერდების დათმობა მოგვიხდა, რაც არცთუ უმტკიცნეულო გადაწყვეტილება იყო რედაქციისა-თვის. მაგრამ თავს ვიმშვიდებთ, რომ „ლიბერალი“ პირველ რიგში შინაარსია, ფაქტებზე დაყრდნობილი რეპორტაჟები და სილრმისეული ანალიზი, უურნალისტური გამოიქიდები და უნიკალური თვალსაზრისები. ამიტომ, ვიზუალურ ფერადოვნებას

შინაარსობრივი უკომპრომისობა და ახალი მკითხველების გაჩენის შანსი ვამჯობინეთ.

გამომცემლობის კიდევ ერთი გადაწყვეტილება ჩვენს ვებგვერდს უკავშირდება. მიმდინარე ორი ნომრის მასალები მხოლოდ ნანილობრივ დაიდება liberali.ge-ზე. ესეც იმიტომ, რომ არ გაზირმაცდეთ. ვირტუალურმა „ლიბერალმა“ კი თქვენთვის აქტუალობა რომ არ დაკარგოს, ბეჭდური ვერსიის უკვე გახსნილ სტატიებთან ერთად, უფრო მეტ ვებ-მასალას შემოგთავაზებთ და ინტერაქციის მეტ საშუალებასაც მოგცემთ. ორშაბათობით, რედაქტორები მიმოვისილავთ ახალ ნომერს, რისი მოსმენის საშუალებაც გექნებათ; ჩვენი რეპორტიორები კი ყოველდღიურად დაწერენ ბლოგებს ახალი ამბების, „ცხელი წერტილებიდან“. თუ საქართველოს დროზე მოევლინა ჩვენი ვებგვერდის ტექნიკური გურუ, სხვა სიკეთებიც იქნება, თუ არადა, ნელ-ნელა უნდა გავიკალოთ გზა ახალ და როულ მედა გარემოში.

შეაბათს, გამთენისას, როცა თვალებამოლამებულები ვუყურებთ კომპიუტერის ეკრანებს და ბოლო სტატიებზე მუშაობას ვამთავრებთ, მგონი, ყველას ერთი და იგივე კითხვა გვიტრიალებს თავში: რამე ღრებებულს მანც თუ ვაკეთებთ? მაგრამ მერე რაღაც ჯადოქრობები ხდება ხოლმე და ახალი მარათონიც ინყება.

თბილისის სახლმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრისას ერთ-ერთმა სტუდენტმა ასეთი რამ გვითხრა: „ლიბერალის“ კითხვისას მგონია, რომ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობ“. არ ვიცი, სასარგებლოა თუ არა ეს ილუზია, მაგრამ ვიცი, რომ თავისუფლება ერთადერთი რამეა, რისთვისაც გარჯა ღირს.

**შორენა შავერდაშვილი
მთავარი რედაქტორი
shorena.shaverdashvili@liberali.ge**

რეადატორი: მათავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / ასოციაციურული რედაქტორი ნინო ჯაფარშვილი / მოლიტვია და სერიასმირისა ასები სოფო ჭავჭავა / კავკასია და კონფლიქტების სისტემა / უურნალისტური გამოიცხადება სამსახური / საზოგადოებრივი თამარ აბაშევა / ადამიანის უფლებებისა და სამორისულოს მდგრადი გვერდები / გრაფიკული დიზაინი თარიღიც ლინიტები / რედაქტორ-სტილისტი ნინო სანიძე / კორექტორი ნინო საიონი / მუნიციპალიტეტის გამოიცხადება მრიენჯერი ქვეთ ბაბუნაშვილი / პროექტის მემკვიდრეობის ასასტრუქტურული და უნიკალური თვალსაზრისები. მაგრამ ვიზუალურ ფერადოვნებას გამოიცხადება: შეს „ლიბერალი“. მისამრთოს თბილისა 0162, ფალაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სხვა გამოიცხადება: ცხელი მუკილედი, „ცხელი შოკლადი – ლიბერალურა“, „მიზეული ადამიანები, მეოთხედები, სტრუქტები“. „ლიბერალის“ სააგენტოს უფლებები დაცულია. უურნალისტების გამოიცხადება მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქტორის თანხმობის გარეშე აკრძალულია. პეტიცია: სატამა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge გამოიცხადება კვირპერი ერთხელ ყოველ ორშაბათს. პრეცენტ ნომრი გამოცემული 2009 ნოემბრის მასშია. რეკლემულ საცალო ფასი 2 ლარი. www.liberali.ge

ISSN 1987-7528

თბილისი

2009 წლის ოქროს ბრენდი



2010 წლის მარტში ოქროს ბრენდის დაჯილდოებაზე თბილღინოს ოქროს ბრენდის ტიტული მიენიჭა.

ოქროს ბრენდის დაჯილდოების ცერემონია 2006 წლიდან ტარდება და ის ყველაზე პრესტიულ და გავლენიან ბიზნეს-დაჯილდოებად არის აღიარებული.

ოქროს ბრენდი ავლენს და აჯილდოებს იმ კომპანიებს, რომლებმაც საქართველოს ბაზარზე ბრენდინგულ საქმიანობაში წარმატებებს მიაღწიეს და პროდუქციის, ან კომპანიის ბრენდის ცნობადობა განამტკიცეს.

TBILVINO

The screenshot shows the CNN International homepage. At the top, there are links for EDITION INTERNATIONAL, U.S., ASIA, and MIDDLE EAST. The CNN logo is prominently displayed. Below the navigation bar, there's a banner for "Special coverage on i-List Georgia". The main content area features a large image of a statue in a snowy cityscape, with the text "Country profile: Georgia" and a link to "FULL STORY". To the right, there's a section titled "i-List" with a brief description of the show and a link to "View all special coverage". A large graphic on the right side promotes "CNN i-List ROAD TO RECOVERY WHEREVER THE ROAD GOES UNDERSTAND IT WITH CNN START HERE!".

საქართველო CNN-ზე

12 აპრილიდან CNN-ზე თბილისიდან პირდაპირი ტრანსლაციები იწყება. CNN International-ის I-List-ის ბიძიექტივში საქართველო მთელი აპრილის განმავლობაში იქნება. ამ სერიის ფარგლებში ერთი კვირის განმავლობაში თბილისის დროით 00.30 საათზე ჯიმ ქლანსი საღამოს შოუს W1 თბილისიდან წარმოადგენს პირდაპირ ეთერში. გადაცემაში იქნება ინტერვიუები ცნობილ ქართველებთან, მაგალითად,

საქართველოს პატრიარქთან და კალათბურთელ ზაზა ფაჩულიასთან. სპეციალური რეპორტაჟები, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს გააშუქებს. მაყურებელს შესაძლებლობა ეძლევა CNN-ის ვებგვერდზე საქართველოს შესახებ ვიდეო და ფოტო მასალა ატვირთოს.

I-List მაყურებელს სხვადასხვა ქვეყნებს აცნობს. აქამდე მათ ობიექტივში საფრანგეთი და ბაჰრეინი მოხვდნენ.

კახათურის მოახთვა

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 31 ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიმართათ თხოვნით – აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი „რუსეთის იკუპაციის ქვეშ შეოფტერის მიზანთა და ალიარნი „რუსეთის მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდა“.

წერილი ევროკავშირის წევრ 20 სახელმწიფოს, ასევე ნორვეგიის, ისლანდიის, არგენტინის, ბრაზილიის, მექსიკის, ავსტრალიის, ახალ ზელანდიის, სამხრეთი კორეის, იაპონიის, ისრაელის და აშშ-ს საკანონმდებლო ორგანოების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარებებს გაეკავნათ.

ვილომიალების ჩამოვნება მსიხელება



ცესკო-ს გადაწყვეტილებით, საარჩევნო უბნებზე ვიდეო სათვალთვალო კამერებს რაოდენობა 200-ით შემცირდება. 945 კამერა მხოლოდ თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის საარჩევნო უბნებზე დამონტაჟდება. ვიდეოთვალები მოიხსნება რუსთავის, ფოთის, ზუგდიდის, გორის, მარნეულის, დმანისის და ახალქალაქის საარჩევნო უბნებიდან.

კომისიაში აცხადებენ, რომ მათ ეუთო-სა და ვენეციის კომისიის რჩევები გაითვალისწინეს, რომელთა თანახმადაც, ვიდეოთვალების გამოყენება რეკომენდდებული არ არის და ამან, შესაძლოა, ამომრჩევლის „დაშინება“ გამოიწვიოს.

ეუთო-ს რეკომენდაციაში ისიც წერია, რომ ვიდეოკამერის გამოყენების შემთხვევაში, სრული ჩანაწერი უნდა იყოს ღია. თუმცა, ვიდეოთვალის ჩანაწერი არც საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომი მხოლოდ მისი 15-წუთიანი მონაკვეთია. ჩანაწერის გამოთხვა მხოლოდ საარჩევნო უბანში მყოფ უფლებამოსილ პირს შეუძლია, კონკრეტული დროისა და დარღვევის მითითების საფუძველზე.

ბიულებები ბასარიშებას 30h სამართლება

მუხრანვანის საქმის პრალდებულები სასპელაციო სასამართლოში გასამიერებას ვერ ახერხებენ. ბრალდებულთა ადვოკატებში საჩივრით თბილისის სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში სხვადასხვა დროს მიმართეს. თუმცა, სასპელაციო სასამართლოში საჩივრების გადაგზან გვიანდება.

ადვოკატებს სასამართლოში უებსაიტან, რომ შეფერხებას სხდომის იქმის მოუმზადებლობა იწვევს. „გვეუპნებიან, რომ იქმი 4 ტომია, და მისი მომზადება ვერ ესწრება.

თუმცა, უკვე ყველა ვადას გადაკილეს“, – ამბობს ლევან ამირიძის ადვოკატი რამინ კვარაცხელია.

კანონის თანახმად, სხდომის იქმი მსჯავრდებულებს, ან გამართლებულებს განაჩენის გამოტანიდან მაქსიმუმ 5 დღეში უნდა გადაეცეთ.

თუმცა, მუხრანვანის საქმის განაჩენის გამოცადებიდან უკვე 3 თვე გავიდა. უკრაინის ახალი პოლიტიკა

პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა უკრაინის ნატო-ში განევრიანების მომზადების საკითხთა უწყებაში პოლიტიკის კომისია გაუაქმია. მისი მეორე პრძანებულებით კი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხების ეროვნული ცენტრიც გაუქმდა.

ნატო-ს წარმომადგენლი კარმენ პომერი უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ევროატლანტიკურ ინტეგრაციის კომისიის დაშლის თაობაზე ქვეყნის „შედა საქმეებს“ უწოდებს. დღეისათვის უკრაინა ნატო-ს ყველა სამხედრო ოპერაციაში მონაბეჭდის, მათ შორის

– ავლანების ოპერაციაშიც.

"ურთიერთ საბჭოს" ინსიდენტი

დილომში ბერლინშვილის ქუჩაზე მდებარე სტამბა „თბილისელებში“ წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალების წამოსალებად მისულ ზურაბ ნოღაძელს და „ეროვნული საბჭოს“ სხვა ლიდერებს სტამბა დალუ-ქული დახვდათ. სტამბაში შესვლის უშედევო მცდელობის შემდეგ „ეროვნული საბჭოს“ ლიდერებმა და აქტივისტებმა ქუჩის გადაკეტვა სცადეს, რასაც პოლიციასთან დაპირისპირება მოჰყვა. პოლიციამ ეროვნული საბჭოს 6 წარმომადგენლი დაკავა, მათ შორის – ყოფილი დეპუტატი ალექსანდრე შემძებრიძე, საქალაქო სასამართლომ 5 დაკავებული ჯარიმების (400-400 ლარი) დაკისრების შემდევ გაათავისუფლა. შალამბერიძემ კი მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მიიღო.

306 30h შეხვება მბამას პირსცის

ვაშინგტონში 46 ქვეყნის ლიდერს ელიან. სამიტი, რომელიც პირ-თვეული იარალის გაუვრცელებლიბას ექცა, 12-13 აპრილს გაიმართება. ეს ღონისძიება ვაშინგტონში ჩასული სხვადასხვა ქვეყნების პირველი პირებისთვის ობამასთან შეხვედრის კარგი შესაძლებლობაა. თუმცა, ცხადია, რომ აშშ-ს პრეზიდენტი ყველა მათგანს პირისპირ ვერ შეხვდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საელჩო ეცადა, სააკაშვილისა და ობამას შეხვედრა შემდგარიყო, და ამას ქართული მხარეც მოელოდა, აშშ-ს პრეზიდენტი მხოლოდ 6 აპრილის სატელე-ფონო ზარით შემოიფარგლა.

უკვე ცნობილია, რომ აშშ-ს პრეზიდენტი 9 ქვეყნის ლიდერს შეხვდება, მათ შორის – სომხეთის და ყაზახეთის პირველ პირებს. ობამასთან შეხვედრას ვერ შეძლებს თურქეთის პრემიერ-მინისტრიც.

სამიტარდე რამდენიმე დღით ადრე ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჟემ გადაწყვიტა, რომ აშშ-ში არ წავა. ამის მიზეზად კი გავრცელებული ინფორმაცია სახელდება, რომლის თანახმადაც, მუსულმანურმა ქვეყნებმა (თურქეთი და ეგვიპტე) შესაძლოა, ისრაელის ბირთვული განიარღების საკითხი წამოქრან სამიტზე.



ჩილევები

45 საავადმყოფოს მშენებლობის ვალდებულება აიღო საქართველოში 9 სადაზღვევო კომპანიამ.

750 ქართველი სამხედრო მოსამსახურე ავლანეთში გაემგზავრა.

80 მილიონი მოკლე ტექსტური შეტყობინება იგზავნება სამუალოდ ერთ დღეში საქართველოში.

180 მილიონი ევროთი დაეხმარება ევროკავშირი საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისთვის 2011-2013 წლებში.

ციტატები



ფოტო: ლეილა ბარაზებეგია

„9 აპრილი ყველაზე საშინელი თარიღია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამ დღეს საქართველოში ტოტალური დაბნელების ტრიუმფი დაიწყო.“

გიორგი მაისურაძე

9 აპრილი, Facebook

„საკრებულო მთავარი პოლიტიკური ცენტრი უნდა გახდეს... საკრებულოში დამთავრდება სააკაშვილის რეჟიმი“. ინგა გრიგოლია

6 აპრილი, თბილისი

„ომი [რუსეთთან] ჯერ დამთავრებული არ არის“. ვანო მერაბიშვილი

7 აპრილი, „კომერსანტი“

„თუ ვანოს [მერაბიშვილი] ჩაფიქრებული აქვს არჩევნების გაყალბება, ეს ძალიან ძვირად დაუჯდება, შეიძლება სიცოცხლის ფასადაც“. ზურაბ ნოღაძელები

8 აპრილი, თბილისი

„რაც მე ტელევიზიით ამ ესტაკადის [ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი მაგისტრალი] გინება ვისმინე ... მაინც გვიყვანთ! გინდა გვაგინეთ და გინდა გვესროლეთ“. მიხეილ სააკაშვილი

9 აპრილი, თბილისი

„ოპოზიციიდან გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი მე მაქს“.

ნიკა ივანიშვილი

9 აპრილი, თბილისი

ეს ყველაფერი [მშენებლობა საქართველოში] მაშინ ხდება, როცა ბოლო დროს ძალიან ბევრმა ჩამოგვნერა და ჩვენზე ხელი ჩაიქნია“. მიხეილ სააკაშვილი

9 აპრილი, თბილისი

მოწვევის ფარგლები უჩინაოსშ წობის ნინალები

ნათია კობერიძის საქმეზე „მედია საბჭოს“ დასკვნა მხოლოდ ნახევრად სიმართლეა.

ეკა ჭითანავა

ორკვირიანი განხილვის შემდეგ „მედია საბჭომ“ საპოლოოდ გამოაქვეყნა მოქალაქე რ. ფ.-ს საჩივრის საფუძველზე განხილული საქმე და ვრცელი ტექსტით დაასაბუთა საკუთარი გადაწყვეტილება, რომ ნათია კობერიძე 13 მარტს ქარტიის პირველი მუხლი დაარღვია.

„რ. ფ“, იგივე რესუუდან ფანწულიძე, 61 წლის პენსიონერია. იგი ფოთში 3 წლის შვილიშვილთან ერთად ცხოვრიბს. 13 მარტის „ქრისტიანი“ იმდენად შეამინა, რომ გაბრაზებულმა ნათია კობერიძეს უჩივლა. დღეს ის საბჭოს გადაწყვეტილებით ემართოს.

ერთი შეხედვით, საბჭოს დასკვნა მართლაც არგუმენტირებულია, მაგრამ ეთიკის სტანდარტების დარღვევაში მხოლოდ ნათია კობერიძის დადანაშაულება ნახევრად სიმართლეა. ტელეკომპანია „იმდისა“ და მისი ჟურნალისტების შეცდომის დეტალები დღესაც ისეთივე ბუნდოვანია, როგორც დასკვნის გამოქვეყნებამდე იყო.

„მედია საბჭო“ გადაწყვეტილების მიღებისას ნათია კობერიძის ნერილობით პასუხებს დაეყრდნო, რადგან უურნალისტმა ქარტიას უნდობლობა გამოიყენადა და „მედია საბჭოს“ სხდომას არ დაესწრო.

ნათია კობერიძის თანამშრომლობა ქარტიასთან არა მხოლოდ პირადად მისთვის, არამედ თვითონ „მედია საბჭოსთვისაც“ მნიშვნელოვანი იყო. როგორ განიხილავდნენ თავიათ პირველ საქმეს – ამ კითხვაზე პასუხებს საბჭოს სიცოცხლისუნარიანობა უნდა განეხსაზღვრა.

„მედია საბჭომ“ ბოლომდე არ გამოიყენა შესაძლებლობა, რომ კობერიძისგან მაქსიმალურად ამომწურავი პასუხები მიეღო. ქარტიას შეეძლო გამოეჩინა მტეტი ძალისხმევა, რომ უურნალისტს პირადად გასუბრებოდა, თუნდაც ამისთვის სხდომა დროებით გადაედო.

„მედია საბჭოს“ თავმჯდომარე ეთერ თურაძე განმარტავს, რომ საბჭოს წესდება საკითხის განხილვის ნერილობით ფორმითაც ითვალისწინებს. „ამიტომ ნესდება არ დაგვირცვევა“.

თავად ნათია კობერიძე საბჭოს არაკომპეტენტურ ორგანოს უწოდებს. მისი თქმით, საბჭოს მიზანი არა სიმართლის დადგნა, არამედ მისი დადანაშაულება იყო.

კობერიძემ საჯაროდ უკვე განაცხადა, რომ პიროვეტების ნიშანად ქარტიას ტოვებს. მედიის თავისუფლების საკითხების სპეციალისტი ზურაბ ხრისაძე კი მიიჩინევს, რომ პირველივე საქმის ასეთი შედეგით დასრულება ქარტიას ავტორიტეტს ზიანს აყენებს.

დასკვნაში წერია, რომ ქარტიას პირველი მუხლი – „პატივი სცეს სიმართლეს“, უურნალისტისგან პასუურ მდგომარეობაში ყოფნას კი არ მოითხოვს, არამედ მან უნდა გააკეთოს ყველაფერი, რათა საზოგადოებას მიანიდოს ზუსტი ინფორმაცია. „მან შეიძლება ვერც კი შეძლოს საზოგადოებისთვის სიმართლის თქმა, მაგრამ „პატივისცემა“ მიუთითოს მის ძალისხმევაზე“. თუმცა, დასკვნის გამოქვეწნების შემდეგაც საზოგადოებამ ბოლომდე ვერ გაიგო, გამაფრთხილებელი ტიტრის დასადგებად რა ძალისხმევა გასწია კობერიძემ. „ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ ემსჯელობთ შედეგიდან გამომდინარე“, – განმარტავს ეთერ თურაძე.

საბჭოსთვის დასკვნის გასაკეთებლად საკითხის აღმოჩნდა ის თაქტი, რომ კობერიძე ტიტრის დადების აუცილებლობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ ეს პირდაპირ ეთერში არ გაუპროტესტებია. საბჭოს არ სჯერა კობერიძის, რომ მან პირდაპირ ეთერადე მენეჯმენტის გადაწყვეტილების შესახებ არაფერი იცოდა.


„თქვენი აზრით, ქრისტიანის გასვლისთანავე ისტერიკა უნდა ამეტება? როდესაც

უურში მეუბნებოდნენ, – ბოდიში მოიხადე, ხალხი შეშფოთდა, – დაახლოებით ებვდებოდნ, რა მოხდა. მანჯგალია რომ სტუდიაში დავინახე, კნალამ ჩაიკეცე, მაგრამ არც ერთი წუთით არ მივიქრია კორპორატიული ინტერესებისგან გამიჯვნა და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, მით უმეტეს – ეთერის ჩაშლა!“ – აცხადებს „ლიბერალთა“ ინტერვიუში ნათია კობერიძე.

გამოდის, რომ ნათია კობერიძე არ ემიჯნება საკუთარი გუნდის გადაწყვეტილებას, მაგრამ უარს ამბობს, იყისროს „ტიტრის დადებაზე“ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა. „მედია საბჭოს“ გადაწყვეტილების ერთ-ერთი საფუძველი სწორედ ეს წინააღმდეგობრიობა გახდა. საბჭო სამართლიანდ განმარტავს, რომ „მოდელირებული ქრისტიანი“ ნათია კობერიძის სავატორო გადაცემის ნაწილი იყო და გადაცემის ნამყვანი, წესით, მასზე ისევე აგებდა პასუხს, როგორც თოქ-შოუზე. „საბჭო გადაცემად მიიჩინებს ყველა წუთს – საცნობი ქუდიდან საცნობ ქუდამდე და ამ ყველაფერზე, რაც ამ დროს გადაიცა, ავტორია პასუხისმგებელი“.

„ეთიკის პრინციპები დაირღვა, უბრალოდ ნაკლებად ვმიჯელობთ იმ ადამიანების პასუხისმგებლობაზე, ვინც დგას ამ ყველაფერის მიღმა. ისე გამოდის, რომ ნათია კობერიძეზე გადატყდა მხოლოდ ჯოზი“, – აღნიშვნავს გახტეთ „რეზონანსის“ რედაქტორ ლაშა ტულუში. ეთიკის სტანდარტები რომ დაირღვა, ეს გადაცემის ეთერში გასვლისთანავე იყო ცხადი. იქნებ, ეთიკის ქარტია სწორედ იმ მხრივ უნდა ყოფილიყ „ნოვატორი“, რომ საქმის სრულფასოვნად გამოკლევით უურნალისტებს უნდღლი თუ განზრას დაშვებული შეცდომის გააზრებაში დახმარებოდა.

ნათია კობერიძემ თავისი მნიშვნელოვანი არჩევანი მაშინ გააკეთა, როცა „იმდისა“ სარედაქტო პოლიტიკას შეუერთდა და იმ არზე დაიწყო მუშაობა, რომელს ხელმძღვანელი პრეზიდენტის მეგობარი და მთავრობის ყოფილი წევრი გიორგი არველაძეა. ეთიკის ქარტიისთვის კი ეს იყო პირველი და შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე, იმის გასარკევევად, თუ რამდენად სანდო, აუტორიტეტული და ეფექტურია თვითორეგულირების ეს ორგანო.





ობამას ბირთვული პოლიტიკა

ამერიკის შეერთებულ შტატებს ახალი ბირთვული სტრატეგია აქვს და იმედოვნებს, რომ ეს ბირთვული უსაფრთხოებისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

ნათია ახალაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში გასული კვირის მთავარი თემა ბირთვული იარაღი იყო. კვეყნის პრეზიდენტმა ჯერ ბირთვული თავდაციის ახალი სტრატეგია წარმოიდგინა, შემდეგ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ერთად პრაღაში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღებს შესახებ განახლებულ ორმხრივ შეთანხმებას მოაწერა ხელი.

ამერიკის ბირთვული პოლიტიკის გადახედვა ყველა ახალი ადმინისტრაციის მუშაობის დაწყებისას ხდება. პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი ახალი სტრატეგიის თანახმად, საგრძნობლად შემცირდა იმ გარემოებათა ნუსხა, როცა აშშ-ს ბირთვული იარაღის გამოყენება შეუძლია. ობამას ადმინისტრაცია ახალი პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში წერს, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში – „შეერთებული შტატების ან მისი მოკავშირეებისა და პარტნიორების სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად“.

სტრატეგიის თანახმად, აშშ გამორიცხავს ატომური იარაღით პასუხს ქვეყნის ტერორისტიზმით ბირთვული კიმიური და ჩვეულებრივი შეიარაღე-

ბით თავდასხმის შემთხვევაში. თუმცა, სტრატეგია მნიშვნელოვან პირობასაც შეიცავს: თუ ქვეყნები დაემორჩილებიან ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, მათ წინააღმდეგ აშშ ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებს. ეს პირობა ირანსა და ჩრდილოეთ კორეას არ ეხება. ამის მიზნზად აშშ იმას ასახელებს, რომ ეს ქვეყნები ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ საერთაშორისო ნორმებს არღვევენ.

ობამას სტრატეგია მისი წინამორბედის, ბუშის მიერ 2002 წელს გამოქვეყნებული დოკტრინისგან განსხვავებულია. წინა დოკტრინა აშშ-ს უფლებას უტოვებდა ქიმიური და ბიოლოგიური, ასევე ჩვეულებრივი შეიარაღებით თავდასხმის პირობებში, ბირთვული იარაღი გამოყენებინა.

ახალი პოლიტიკის თანახმად, შეერთებული შტატები ვალდებულია უსაფრთხო და ეფექტური ბირთვული შეიარაღების არსენალი მანამდე შეინარჩუნოს, ვიდრე ბირთვული შეიარაღება საერთოდ არსებობს. თუმცა, აშშ ამ სფეროში ცდებს ალარ ჩაატარებს და არც ახალ ბირთვულ რაკეტებს შექმნის.

ობამას თქმით, ეს სტრატეგია იმ

ძალისხმევის კიდევ ერთი ეტაპია, რომელიც საბოლოოდ ბირთვულ იარაღზე უარის თქმას გულისხმობს.

ობამას ახალ დოკტრინას კონგრესში „კონსერვატორები“ არ ეთანხმებიან. ისინი პრეზიდენტს უჩჩევენ, არ შეასუსტოს ქვეყნის მთავარი „შემაკავებელი პოტენციალი“. დოკტრინას „ლიბერალებიც“ აკრიტიკებენ.

ბირთვული შეიარაღების ერთი მესამედით შემცირებას ითვალისწინებს ბარაკ იბამასა და რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის მიერ პრაღაში ხელმოწერილი სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შესახებ ორმხრივი შეთანხმებაც. ხელმოწერით ამ პასუხისმგებლობას ორივე ქვეყანა იღებს.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობას შეეხება ვაშინგტონში მომავალ კვირას დაგევმილი სამიტიც, რომელსაც, აშშ-ს გარდა, 46 ქვეყნის პირველი პირი დაესწრება.

ობამას იმდი აქვს, რომ ვაშინგტონის სამიტის მონაწილე ქვეყნები მიიღებენ კომუნიკებს, რომელიც უახლოესი ითხო წლის განმავლობაში მსოფლიოში ყველა ბირთვული მასალის უსაფრთხოები დაკონსერვებას ითვალისწინებს.



ბაზილის სენიორიაცი

7 აპრილს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ქართველი ჯარისკაცების გაცილების ცერემონიალი გაიმართა. მესამე ბრიგადის 31-ე ბატალიონის 750-კაციანი შემადგენლობა ავღანეთის ყველაზე სახიფათო, ჰელმანდის რეგიონში აპრილის ბოლომდე გა-ემზავრება. ცერემონიის ოფიციალურ ნაწილს ქართული და ამერიკული სამხედრო დელეგაციები ესწრებოდნენ. ქართველმა ჯარისკაცებმა 6-თვიანი მომზადება ვაზიანისა და კრწანისის ბაზებზე, ასევე გერმანიის ქალაქ ჰოშნისში გაიარეს.

კათვეცი ჯარსახაბი ავლანითში

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე 31-ე ბატალიონის გაცილების ცერემონიალი გაიმართა.

მაია წიკლაური

7 აპრილს ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ქართველი ჯარისკაცების ავლანეთში გაცილების ცერემონიალი გაიმართა. ცერემონიალის ოფიციალურ ნაწილს ქართული და ამერიკული სამხედრო დელეგაციები, ასევე საქართველოს თავდაცვის მინისტრი ბაჩინ ახალია და ამერიკის ელჩი საქართველოში ჯონ ბასი ესწრებოდნენ.

მესამე ბრიგადის 31-ე ბატალიონის 750-კაციანი შემადგენლობა ავლანეთის ყველაზე სახიფათო, ჰელმანდის რეგიონში გაემგზავრება. ქართველი სამხედროები მონაწილეობას ნაცოს-ს ეგიდით ნარმოებულ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის (ISAF) ოპერაციაში მიიღებენ. როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ბატალიონი საქართველოს დაახლოებით ორ კვირაში აპრილის ბოლომდე დატოვებს.

გაცილების ცერემონიალზე საქართველოს ჰიმნისა და სამხედრო მარშის შემდეგ ჯარისკაცებს საბრძოლო დროშა გადასცეს. საქართველოს შეიარაღებული ძალების გართიანებული შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკმა არსენ ცუხიშვილმა და ამერიკის საზღვაო ქვეითი ძალების სამსახურის შეფარისებრი მისალებად. მზად ვარ, ყველა დავალება შევასრულო. დარწმუნებული ვარ, ნარმატებულები ვიქენებით, რადგან კარგი მომზადება გავიარეთ", – განაცხად ქართველმა სამხედრომ. 31-ე ბატალიონის მაიორი საქართველოში მუშალეს და 2 შვილს ტოვებს.

„მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ავლანეთში ნატო-ს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის კენა მიმართული, რომელიც მსოფლიოში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ემსახურება. ამ

პროცესში ქართული ქვედანაყოფის მონაწილეობა საერთაშორისო უსაფრთხოებაში საქართველოს წვლილს ზრდის", – განაცხადა არსენ ცუხიშვილმა.

ქართველმა ჯარისკაცებმა 6-თვიანი მომზადება ვაზიანისა და კრნანისის ბაზებზე, ასევე გერმანიის ქალაქ ჰონძენფელში გაიარეს. აშშ-ს გაერთიანებულ მრავალეროვან მზადყოფის ცენტრში მათ ადგილობრივი სპეციალისტები და ამერიკელი საზღვაო ქვეითები უტარებდნენ წვრთნებს. ქართველმა ჯარისკაცებმა ტაქტიკური მომზადება, დაცვის, ჩხრეკისა და წმენდის, დაშვებულთა ევაკუაციის პროცედურები და მოსახლეობასთან ურთიერთობები შეისწავლეს.

ოფიციალური ცერემონიის დასასრულს უურნალისტებს მხოლოდ ერთ სამხედროსთან, მაიორ ალექსანდრე ოზბეთელაშვილთან გასაუბრების უფლება მისცეს. „მე ვარ ჯარისკაცი და მივდივარ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობის მისალებად. მზად ვარ, ყველა დავალება შევასრულო. დარწმუნებული ვარ, ნარმატებულები ვიქენებით, რადგან კარგი მომზადება გავიარეთ", – განაცხად ქართველმა სამხედრომ. 31-ე ბატალიონის მაიორი საქართველოში მუშალეს და 2 შვილს ტოვებს.

ოზბეთელაშვილის ბატალიონმდე ავლანეთში 2009 წლის ნოემბერში უკვე გაემგზავრა შეიარაღებული ძალების ერთი ასეული. ქართველი ჯარისკაცები მისიას ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში ასრულებენ.



ციბექალი

იპითხეთ
ლიბერალის
პორტალი
www.liberali.ge

პლობი: მაია წიკლაური

„მაცალე, შე კაი პაცო, რა იცი, მაგარი პოლიტიკოსი ვიცხავი!"

„უხერხულ სიტუაციაში ვარ: უურნალისტების წინაშე დავჯდე და ჩავატარო პრესკონფერენცია მძიმე სიტუაცია ჩემთვის. იმედია, ყველაზე კარგად თქვენ გამიგებთ - რა დღეში ვარ ახლა“, „უხერხულობა“ ინგა, რომელიც 10 წელი პირდაპირ ეთერში იჯდა, დიდანს არ უგრძენია. პირველი „მოთელვით“ განცხადებების შემდეგ თავს ისე გრძელობდა, როგორც თევზი წყალში და დაახლოებით 1 საათის განმავლობაში ხმის საკმაოდ მაღალი რეგისტრი ოდნავადაც არ შეუცვლა.

მულტიგენი

ვიდეო პლობი:

რუსუდან ფანოზიშვილი

„სისტემის გამჭვირვალობის“ ახალი მაჩვენებელი

ყოველ რამაზანის

პოდენასთი: ახალი ნომრის მიმოხილვა

შორენა შავერდაშვილი

მთავარი რედაქტორი

ნინო ჯაფიაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი



მომხრე

ალექსანდრე რონდელი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის პრეზიდენტი

საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება ქართველი სამხედროების ავღანეთის ოპერაციაში ჩართვის შესახებ სწორი არჩევანია. ნატო-ს ეგიდით წარმოებული სამშვიდობო მისია ავღანეთში რადიკალურ დაჯგუფებას, თალიბებს ებრძვის და მსოფლიო უსაფრთხოებას იცავს. სწორედ ამიტომ, ჩვენი აქტიური მონაწილეობა ამ კოალიციაში ძალიან მართებულია.

მე ამაში ვერ ვხედავ ქვეყნის მილიტარიზაციის საფრთხეს. კავკასიაში საქართველოს ყველაზე პატარა ჯარი ჰყავს. ჩვენი არმია ყველაზე ნაკლებად შეიარაღებულიცაა. მართალია, იარაღის შესყიდვა ძალიან სწრაფად მოხდა და ზოგჯერ არასწორადაც, მაგრამ ძირითადად იმიტომ, რომ ამის გამოცდილება არ გაგვაჩინა. სტრატეგიული კულტურა არ გვაქვს და თანდათანობით ხდება ჩვენი სტრატეგიული ხედვის, სამხედრო დოქტრინის და ინტერესების ჩამოყალიბება, რაშიც ამ მისიაში მონაწილეობაც დაგვეხმარება.

პირველ რიგში, ჩვენ [საქართველოს] არავითარ შემთხვევაში ხელს არ გვაძლევს, რომ ავღანეთში, თალიბების სახით, რადიკალურმა ისლამშა გაიმარჯვოს. თუ ეს მოხდა, რადიკალური ისლამიც და მასთან დაკავშირებული ტერორიზმის ძალიან ცუდი ტალლა ყველა მიმართულებით გავრცელდება. ის მოიცავს არა მარტო ცენტრალურ აზიას, არამედ კავკასიას და ჩვენ მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებსაც, იმ ხალხებს, რომელთა გარემოცვაშიც ვცხოვრობთ. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას ძალიან დიდი პრობლემები შეექმნება.

მეორე არგუმენტი ისაა, რომ ნატო-ს ოპერაციებში ჩვენი ჩართვა პოლიტიკურად არის გამართებული. ჩვენ ვიღებთ გარკვეულ ვალდებულებებს კოალიციის მიმართ, შესაბამისად, მათაც აქვთ გარკვეული ვალდებულებები. როცა ჩვენ ასე აქტიურად ვმონაწილეობთ მსოფლიო უსაფრთხოებაში და არ ვართ მხოლოდ მომხმარებლები, ეს ნიშნავს იმას, რომ ნატო-მაც უნდა გადმიგეხდოს ჩვენ. ფაქტია, რომ ეს მისია დასავლურ სამყაროს და ნატო-ს დაგვაახლოებს. ეს ის გამოკვეთილი მიზეზია, რის გამოც, ავღანეთში სამხედროების გაგზავნა ღირს.

მესამე მიზეზი ის არის, რომ საქართველოს არმია, შეიძლება ითქვას, ნულიდან შენდება. საბჭოთა კავშირის დამხობის შემდეგ ჩვენი შეიარაღებული ძალები ვერ ვითარდებოდა სათანადოდ. ფაქტობრივად, ჩვენ არ დაგვრჩა ოფიცერთა კორპუსი. არ გვყავს შესაბამისი კადრები და უნდა ვეცადოთ, გამოვიყენოთ ყველა საშუალება ახალი თაობის გასაზრდელად. ოფიცერთა კორპუსი არის მთელი შეიარაღებული ძალების ჩონჩხი. ამიტომ ჩვენი მონაწილეობა სამშვიდობო ოპერაციებში, სხვა უფრო მონინავე არმიებთან ერთად, ჩვენი სამხედრო, პროფესიული დონის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია.



ქართველ სამსახურის

ფაქტობრივად, ჯარი წვრთნას პრძოლასთან მიახლოებულ სიტუაციაში გაივლის. პელმანდის პროვინცია, სადაც ისინი იმსახურებენ, ერთ-ერთი ყველაზე საშიში რეგიონია ავღანეთში. მართალია, იქ კლასიკური ომი არ მიმდინარეობს, მხოლოდ პარტიზანული ბრძოლებია, მაგრამ ესეც ნამდვილი ომია, რომელიც დაკავშირებულია დანაკარგთანაც. ამის მიუხედავად, მაინც კარგი სკოლა იქნება ჩვენი ჯარისკაცებისთვის, რადგან აქ დაბრუნებული ჩვენი სამხედროები იქნებიან ის ბირთვი, რაც ქართულ არმიას ძლიან ნაადგება.

ის, რომ ავღანეთში 4 ბატალიონი გაემგზავრება, ნიშნავს, რომ ისინი სათანადო წვრთნას მსოფლიოში საუკეთესო, შეერთებული შტატების არმიასთან ერთად გაივლიან. მათთან ერთად იქნებიან ნატო-ს სხვა პროფესიულად მაღალგანვითარებული ჯარებიც. ამათთან ერთად მონაწილეობა კი დიდი სკოლა ჩვენებისთვის. ეს სკოლა დააჩქარებს კარგი ლიდერების, ოფიციელების, ზემდეგების გამოკვეთას, ვინც ქართული არმიის განვითარებას უნდა ჩაუყაროს საფუძველი. ■



უმხრივები ოპერაციაში



**მოწინააღმდეგე
ირაკლი კაკაბაძე
მწერალი**

ჩემს ბავშვობაში ყველაზე უფრო მტკიცნეული სალაპარაკო თემა იყო დალუპული ქართველი მეომრების ავლანეთიდან ჩამოსვენება. 80-იან წლებში საბჭოთა იმპერიამ ავლანეთში, „ინტერნაციონალური ვალის მოხდის“ მიზნით, სამხედრო ძალები შეიყვანა. ამ საოკუპაციო ჯარებში არაერთი ქართველი იყო. კარგად მახსოვა, როგორ ჩამოჰქონდათ ავლანეთში დალუპული ქართველი მეომრების გვამები და როგორ განიცდიდა ამას მთელი საზოგადოება.

ავლანეთის ძალით დამორჩილება ისტორიის მანძილზე მსოფლიოს უძლეოებეს მიჰერიებმა ვერ შეძლეს. ავლანეთის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია ანტიისურგენციული კამპანიით, რომელიც ძირითადად განვითარების და Soft Power-ის კონცეფციის ეყრდნობა. თავისთავად ამ პრობლემის სამხედრო

გზით მოგვარება შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც არის, რომ ავლანურ და პაკისტანურ იპერაციებს სამხედრო სფეროში ანტი-ინსურგენციის მეთოდის დამამკვიდრებელი გენერალი პეტრეული უძლვება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მდგომარეობა მანიც ძალან მძიმეა. ტერორიზმის საფრთხის შემცირებას ბევრად უფრო მრავალმხრივი, სოციალ-ეკონომიკური მიდგომა სჭირდება.

დღევანდელ სოციალურ მეცნიერებებში ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ რეალურად საქმე „ცივილიზაციათა ჯაში“ სულაც არ არის – სინამდვილეში ეს არის დაპირისპირება „ჩრდილოეთს“ და „სამხრეთს“ შორის. ჩრდილოეთის განვითარებულ და მდიდარ სახელმწიფოებს უპირისპირდება ღატაკი საზოგადოებები, რომელთა მოსახლეობაც გაცილებით აღემატება „განვითარებული“ ქვეყნებისას. მშვიდობის მეცნიერებისა და განვითარების დარგის სპეციალისტები ყოველთვის აღნიშნავენ, რომ სანამ არ დაბანება განვითარების ფართომასშტაბიანი პროგრამა ეგრეთ წილებულ „მესამე მსოფლიოში“, გამორიცხულია ძალადობრივი კონფლიქტებისა და ტერორიზმის პრობლემის მოგვარებაზე ლაპარაკი. ცხადია, სამხედრო ძალა მდიდარი და განვითარებული სახელმწიფოების მხარეს არის, მაგრამ ადამიანური რესურსების მხრივ სამხრეთის ქვეყნებს ბევრად უფრო დიდი პოტენციალი აქვთ.

საქართველოს საკუთარი პროდასავლური ორიენტაციისა და განვითარების დასამტკიცებლად სამხედრო ოპერაციებში ჩაბმა და ქვეყნის მუდმივი გასამხედროება, ჩემი აზრით, უკან სწევს ქვეყანას. მთავარი იარაღი, რომელიც საქართველოს შეიძლება ჰქონდეს ყოფილ საბჭოთა სფეროში, არის დემოკრატია და თავისუფალი საზოგადოება. რუსეთს სწორედ რომ ამ მაჩვენებლებით შეგვიძლია ვაჯობოთ. რაც შეეხება სამხედრო პოტენციალში რუსეთთან შეჯიბრს, ვფიქროს, ამას ზარალის გარდა, სხვა არაფრის მოტანა არ შეუძლია ქართული საზოგადოებისათვის. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ ნებისმიერ მილიტარისტულ გადაწყვეტილებას რუსეთი კიდევ უფრო მეტ პირდაპირ აგრძისას დაუპირისპირებს და საბოლოო ჯამში უარეს შედეგს მივიღებთ.

მესმის, რომ მეგობრის – რიჩარდ ჰოლბრუკის საშუალებით სააკაშვილი ცდილობს, დაბრუნოს ის „მინიშველოვანი სტატუსი“, რომელიც ბუშის ადმინისტრაციის დროს ჰქონდა, მაგრამ ვშემობ, ეს შეუძლებელი იქნება. შეერთებული შტატები, რუსეთთან განახლებულ კონფლიქტის შემთხვევაში, საქართველოს სამხედრო დახმარებას ვერ აღმოჩენს და, აქედან გამომდინარე, ქვეყანა კატასტროფის ნინაშე დადგება.

ერთადერთი გზა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისაკენ არის დემოკრატიის და თავისუფლების ხარისხის გაზრდა საზოგადოებაში, რაც კონტრასტს შექმნის რუსეთთან და მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს ჩვენს სასარგებლოდ შეცვლის. დღეს კი ამ მხრივ საქმეები კარგად არ არის – საქართველოსა და რუსეთის ავტოკრატიულ რეჟიმებს დახალოებით ერთნაირ შეფასებას აძლევენ მსოფლიო პრესა და უფლებადაცვითი ორგანიზაციები. სამხედრო ძალით კი რუსეთთან შეჯიბრს აზრი არ აქვს.

აქედან გამომდინარე, დასკვნა ცალსახაა – ნებისმიერი ნაბიჯი ქართული საზოგადოების მილიტარიზაციისა და გასამხედროებისკენ არის საქართველოს დამოუკიდებლობის ნინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი, რომელიც რუსეთის მიპერისა ამჯერად უკვე მთელი ქვეყნის ოკუპაციის კიდევ ერთ საბაბს მისცემს. ■

ბორის ესტილი



საქართველოს ხელისუფლება ხურავს ბიზნესებს, რომლებსაც მცირედი დარღვევები აქვთ, ამავე დროს კი არსებობს ბიზნესები, რომლებიც მთავრობასთან კავშირის გარეშე ვითარდებიან. როგორ უნდა განსაჯოს პოტენციურმა ინვესტიორმა, დააბანდოს თუ არა კაპიტალი საქართველოში? მარკ მალენი

ვინმეს შეუძლია იმისი გახსენება, რას ნიშნავდა შევარდნაძის დროს ბიზნესის კეთება? ეს იყო სრულიად სხვა ეპოქა, რომელიც საბედნიეროდ წარსულს ჩაბარდა. მე დავესწარი რამდენიმე ლონისძიებას, სადაც ამჟამინდელი ხელისუფლება ცდილობდა საქართველოში ინვესტიციების მოზიდვას. ისინი ამბობდნენ, რომ ამჟამად საქართველოში ბიზნესისთვის სახარბიელი კლიმატია შექმნილი და სამაგალითოდ წარმატებული შემთხვევები მოჰყავდათ. ამ ლონისძიებიდან დამსწრები დაინტერესებული წავიდნენ. CNN-სა და BBC-ზეც საქართველოში ინვესტირების შესახებ ძვირადღირებული რეკლამები გადის.

ამის მიუხედავად, თბილისში ხშირად გაიგონებთ, რომ ბიზნესები უკანონოდ იხურება, საბანკო ანგარიშებიდან თანხებს ხსნიან და სხვა ისეთ საქმიანობებს სჩადიან, რაც OECD-ის (ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) ქვეყნებში არ ხდება. ნებისმიერი, ვინც საქართველოში რეალურ ინვესტიციას განახორციელებს, მსგავს ამბებს აუცილებლად გაიგონებს.

მთავრობა ან დამამტკიცებელ საბუთებს მოითხოვს, ან იტყვის, რომ დახურული ბიზნესები გადასახადებს თავს არიდებდნენ. გადასახადისგან თავის არიდების ფაქტებს საქართველოში მრავლად შევხდებით, თუმცა არის ისეთი ბიზნესებიც, რომლებიც ყოველგვარი კანონიერი მიზეზის გარეშე იხურება. მიუხედავად ამისა, ინვესტიორი როდესაც რამდენიმე სანდო წყაროსგან ისმენს მსგავს ამბებს, მისთვის უკვე ეს ინფორმაცია საკმარისია, რომ გადაწყვეტილება მიიღოს. ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღება დამამტკიცებელ საბუთებს არ საჭიროებს. ეს სუბიექტური გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად სანდოა ქვეყანა ბიზნესის კეთებისთვის. ყველა ნამდვილი ინვესტორი ამ აბებს აუცილებლად გაიგებს.

ამავე დროს არსებობს ბიზნესები, რომლებიც წარმატებულად ვითარდება, ზოგიერთი – ძალიან წარმატებულადაც, და მათ მთავრობასთან სერიოზული კავშირები არ აქვთ. ძალიან ბევრი ახალი ბიზნესია. ასეთი ტიპის ბიზნესების წარმოება შევარდნაძის დროს გამორიცხული იყო და შევი ზღვის აღმოსავლეთით ისინი დღესაც იშვიათად გვხვდება. მსგავსი ფაქტები მთავრობის მტკიცებას საქართველოში მეგობრული

ბიზნესგარემოს შესახებ მეტ დამაჯერებლობას სძენს. კრიტიკოსები იტყოდნენ, რომ ეს შეუძლებელია და რომ წარმატებულ ბიზნესებსაც აუცილებლად ეყოლებათ „კრიშა“ მთავრობაში. კრიტიკოსები ცდებიან, რადგან რამდენიმე დამუკიდებელი ბიზნესი ნამდვილად ვიცი.

იმათვების, ვინც მაკროეკონომიკურ სურათს უყურებს, სიტუაცია გაცილებით უარესია. მთავრობის ვალი იზრდება; არჩევნებისთვის ბევრი ფული დაიხარჯა. ზენოლა გაიზრდება მათზე, ვინც სამთავრობო ფონდებს ავსებს. რა მოხდება წლის ბოლოს? და ვისთვის მოხდება?

ხელისუფლება ხურავს ბიზნესებს, რომლებსაც მცირედი დარღვევები ჰქონდათ და საბანკო ანგარიშებზე რეიდებს ახორციელებს, ამავე დროს არსებობს ბიზნესები, რომლებიც მთავრობასთან კავშირის გარეშე ვითარდებიან. აქედან

გამომდინარე, როგორ უნდა განსაჯოს პოტენციურმა ინვესტორმა, დააბანდოს თუ არა კაპიტალი საქართველოში? გაითვალისწინეთ, რომ ინვესტორები, რომლებიც საქართველოს აკვირდებიან, ამავე დროს აკვირდებიან სხვა ქვეყნებსაც, რომლებსაც საკმაოდ სანდო ბიზნესგარემო აქვთ შექმნილი. საქართველომ თავისი უპირა-

ტესობა უნდა დაამტკიცოს.

ბიზნესებებს ყველაზე მეტად აინტერესებთ, რამდენად პროგნზირებადია ესა თუ ის საქმე. თუ ინვესტიორებმა იციან, თუ რა მოუვა ან რა არ მოუვა მათ ბიზნესს მომავალში, ისინი ფულის შოვნის გზას ყოველთვის მონახავენ. მათ არ სჭირდებათ ძალიან დაბალი გადასახადები, უძრალოდ უნდა იცოდნენ, რომ ფული მათ საბანკო ანგარიშებზე უსაფრთხოდ იქნება. მათ არ სჭირდებათ არც „კრიშა“, მათთვის მხოლოდ იმის ცოდნაა აუცილებელი, რომ თუ წესების მიხედვით ითამაშებენ, მათ ბიზნესებს არაფერი მოუვა.

იმდენი მაქს, რომ იმ მაღალი თანამდებობის პირებს, ვისაც ქვეყანაში ინვესტიციების მიზიდვა აღელვებს, კონტაქტი აქვთ მათთან, ვისაც საქართველოში ბიზნესების დახურვა და საბანკო ანგარიშებიდან თანხის ამოღება შეუძლია. როგორც ჩანს, შეცდომით, ეს ორი მხარე ერთმანეთის წინააღმდეგ მუშაობს. ■

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

საბაზუსახლი ამნისტიკი ქართველი ტელეკანალისთვის, თუ საბსილი სახელის საფინანსო ტელეკომუნიკაციისთვის?

საგადასახადო ამნისტიკია ფინანსურ შეღავათებს ხელისუფლებისადმი ერთგულ ტელევიზიუმს ისე სთავაზობს, რომ მფლობელებისა და ფინანსების გაუმჯობესების საკითხი დღის წესრიგში არ დგება. ეს გადაწყვეტილება კიდევ უფრო ამცირებს დამოუკიდებელი არხების კონკურენტუნარიანობას მედიაბაზარზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“



ფოტო: საქართველოს სამართლებრივი მინისტრი

საქართველოში ტელევიზიუმს, გადასახადებისა და ჯარიმების სახით, 36 მილიონი ლარის (20,6 მილიონი აშშ დოლარის) დავალიანება დაუგროვდათ სახელმწიფოს მიმართ. მთავრობამ ცოტა ხნის წინ პარლამენტს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელსაც ალბათ პარლამენტი მალე დაამტკიცებს და რომლის მიხედვითაც, ყველა ტელევიზია, რეგიონულიც და ეროვნულიც, საგადასახადო ამნისტიას მიიღებს.

ფინანსური ამნისტიკით ყველაზე მეტად სახელისუფლები პოლიტიკური კურსის გამტკარებელი და გასაიდუმლოებული მფლობელების ხელში მყოფი ორი უმსვილესი ტელეარხი, „რუსთავი 2“ და „იმედი“ იხილებენ, ისევე როგორც სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე მყოფი საზოგადოებრივი მაუწყებელი. თუმცა კანონპროექტში ნათქვამა, რომ შენწყალების აქტით მოსარგებლე ტელეარხების სია არ გასავაროვდება, რადგან, საგადასახადო კოდექსის თანახმად, ეს დახურული ინფორმაციაა.

თებერვლის ბოლოს პარლამენტში პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის მიმართვაში განაცხადა: „ყველა ტელევიზიას აქეს საგადასახადო დავალიანება, განსაკუთრებით რეგიონულ ტელევიზიებს, ამიტომ მე ვაცხადებ ფინანსურ ამნისტიას ყველა ტელევიზიისთვის, რომელიც რეგიონში მაუწყებლობს“. თუმცა, ზოგიერთი დამკირვებელი აღნიშნავს, რომ 36 მილიონიდნ, ყველაზე ბევრი, 5-6 მილიონი თუ მოდის რეგიონული ტელევიზიების საგადასახადო დავალიანებსა და ჯარიმებზე (გაზე-

თი „რეზონანსი“, 7 აპრილი).

ფინანსური ამნისტიის ერთ-ერთი ბენეფიციარი იქნება „25-ე არხი“, და-მოუკიდებელი ტელევიზია ბათუმში, რომელსაც 277 500 ლარის ოდენობის დავალიანება 2004 წლამდე დაუგროვდა. ამ არხის მფლობელები უარს ამ-ბობენ ვალის გადახდაზე და აცხადებენ, რომ იმ პერიოდში, როდესაც ვალი და-გროვდა, ისინი მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდნენ ტელევიზიის მფლობე-ლებად და ტელევიზიას სინამდვილეში ადგილობრივი მმართველი ალასან აბა-შიძე აკონტროლებდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ბევრ რეგიონულ ტელევიზიას აფიციალურად ფლობენ, აკონტროლებენ ან აფინანსებენ პირები, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ან იმართებან „ნაციონალური მოძრა-ობის“ მიერ. როგორც ჩანს, ამ ტელე-

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ, ან ადგილობრივ ადმინისტრაციებთან და-ახლოებული პირების დე ფაქტო კონ-ტროლის ქვეშ იმყოფებიან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ანგარიშში საქართვე-ლოს სატელევიზიო სივრცის შესახებ ნათევამია, რომ რამდენიმე სატელე-ვიზიო არხის, მათ შორის „რუსთავი 2“ და „იმედი“, სატელევიზიო რეკლამის-გან მიღებული მოგების გარდა, სხვა წყაროებიდანაც იღებენ დაფინანსებას. თუმცა, ბევრი სატელევიზიო არხის სუბსიდირების ეს წყაროები, ისევე რო-გორც მათი მფლობელების ვინაობა, გა-მჭვირვალე არ არის.

თუმცა, ცხადია, რომ ქართულ მე-დიაბაზარზე თამაშის წესები უთა-ნასწოროა. „კავკასიას“ და „მაესტროს“ ხელმძღვანელები, ისევე როგორც სხვა დამოუკიდებელი მედიასაშუალებების მფლობელები, აცხადებდნენ, რომ მთა-ვრობის მხრიდან ზენოლა იძულებულ

ლისუფლებო სარედაქციო პოლიტიკა აქვთ, შესაძლოა, მომავალშიც აღარ მოუნდეთ გადასახადების გადახდა, იმ იმედით, რომ ორ-სამ წელიწადში ახალი საგადასახადო ამნისტია გამოცხადდება. გადასახადების გადაუხდელობა კი ამ ტელევიზიებს პოლიტიკური გავლე-ნებისათვის პოტენციურად იოლ სამი-ზნედ აქცევს.

საქართველოს სატელევიზიო სე-ქტორში ბიზნესის გაერთიანება არას-დროს მომხდარა. დღეს 40-50 ტელევი-ზია მაუწყებლობს ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის ბევრია ძალიან პატარა, რე-გიონული არხი. მიუხედავად იმისა, რომ ტელესეტორში რეკლამების შესახებ მნირი და ხშირად არასანდო მონაცე-მები ვრცელდება, მაინც შეიძლება გა-მოვთვალოთ, რომ საერთო სარეკლამო შემოსავალი მთელ ტელევიზიებზე 30 მილიონ დღლარს (52.3 მილიონი ლარი) არ ალემატება. გამოდის, რომ 36 მი-ლიონი ლარის ოდენობის საგადასახა-

■ თუ მთავრობა ფინანსური ამნისტიის გამოცხადებით მიზნად ისახავს დამოუკიდებელი და პლურალისტური სატელევიზიო სივრცის შექმნას, მან სხვა გზები უნდა მოძებნოს დაფინანსების წყაროების შესაქმნელად იმ არხებისთვის, რომლებიც ქართველებს ლირებულ პროგრამებს სთავაზობენ.

არხების ნაწილიც ნახავს ფინანსურ სარგებელს საგადასახადო ამნისტიით.

ამისაგან განსხვავებით, ოპოზიციუ-რი პარტიების მიმართ ლოიალურ და ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ ტე-ლეარხებს „კავკასიას“ და „მაესტროს“ (ტელევიზიები, რომლებიც თბილისში მაუწყებლობენ), მათივე განცხადებით, საგადასახადო დავალიანება არ აქვთ. ეს სარწმუნო უნდა იყოს, რადგან ხე-ლისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი არხები, გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში, საგა-დასახადო სამსახურისა და ფინანსური პოლიტიის იოლი სამიზნები იქნებოდ-ნენ.

ფაქტია, რომ როგორც ბევრი ტელევიზია პირნათოლად იხდის ბიუჯეტში, ხოლო ზოგი თავს არიდებს მილიონიბით ლა-რის სავალდებულო გადასახადს, იქმ-ნება არასამართლიანი კონკურენცია სატელევიზიო ბაზარზე. მოგებული რჩებიან ის არხები, რომელთა სარე-დაქციო პოლიტიკა კეთილგანწყობი-ლია ხელისუფლების მიმართ, იმართება

ხდიდა პოტენციურ კლიენტებს, თავი შეეკავებინათ კრიტიკულად განწყობილ ტელევიზიებში რეკლამის განთავსების-გან. მართალია, ხელისუფლების მხრი-დან ასეთი სახის ჩარევა არ დასტუ-დება, ფაქტია, რომ რეკლამის ბევრ პოტენციურ შემჩვეთს სჯერა ამ ხმების და მაინც თავს იკავებს რეკლამის გან-თავსებისგან იმ ტელევიზიების ეთერში, რომლებიც კრიტიკული არიან ხელი-სუფლების მიმართ.

ყურადსახებია არა მარტო ის გარე-მოება, რომ საგადასახადო ამნისტიის კანონპროექტი პარლამენტში 30 მაი-სის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე შევიდა, არამედ ისიც, რომ ეს ამნისტიის სრულ წინააღმდეგობაში მოდის შე-მოსავლების სამსახურის წინა წლების პოლიტიკასთან, როდესაც ეს სამსახუ-რი დევნიდა და აჯარიმებდა გადასახა-დების დამაღვაში ეჭვმიტანილ ყველა კომპანიას. ეს ამნისტია მორალურ სა-ფრთხესაც შეიცავს. არხებს, რომელ-თაც აშკარად გამოხატული პრო-სახე-

დო ამნისტია კერძო ტელეარხების ყო-ველწლიური სარეკლამო შემოსავლების დაახლოებით 70 პროცენტის ტოლია.

თუ მთავრობა ფინანსური ამნისტიის გამოცხადებით მიზნად ისახავს ჭეშმა-რიტად დამოუკიდებელი და პლურა-ლისტური სატელევიზიო სივრცის შე-ქმნას, მან სხვა გზები უნდა მოძებნოს დაფინანსების წყაროების შესაქმნელად იმ არხებისთვის, რომლებიც ქართვე-ლებს ღირებულ პროგრამებს სთავა-ზობენ. ხელისუფლებამ უნდა განსა-ზღვროს სპეციალური კრიტიკულმები და ის ტელეპროდუქტები, რომელთაც თანადაფინანსების მიღება დამოუკიდე-ბელი ორგანოსგან შეეძლებათ.

თუმცა, წარმოდგენილი კანონპროექტი ძირითადად ფინანსურ შეღვათებს სთა-ვაზობს ხელისუფლებისადმი ერთგულ ტელევიზიებს ისე, რომ ტელესეტორის მფლობელებისა და ფინანსების გაუ-მჭვირვალობის საკითხი დღის წესრიგში არც დგება. ეს გარემოება კი დამოუკი-დებელი არხების კონკურენტუნარიანო-ბას კიდევ უფრო ამცირებს. ■

ომი ჯე ას ეათავაჩებული

რუსული გაზეთის „კომერსანტის“ ინტერვიუ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან

ვანო მერაბიშვილთან

07.04.2010

ვანო მერაბიშვილმა მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით და რუსეთთან ურთიერთობის შესახებ „კომერსანტს“ საკუთარი მოსაზრება გაუზიარა.



ფოტო: არამ გაგაძე

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვანო მერაბიშვილმა, რომელიც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილის უახლოეს თანამებრძოლად ითვლება, ოლგა ალიონოვას უამბო, თუ როვორ აფასებს საქართველოს ხელისუფლება მომავალ მუნიციპალურ არჩევნებში იპოზიციის შანსებს; ასევე მან იმსჯელა საქართველოს ურთიერთობაზე რუსეთთან და დასავლეთთან.

მომავალი ადგილობრივი არჩევნები შეიძლება ხელისუფლებისთვის სიურპრიზად იქცეს?

არა მგონია. იმიტომ, რომ ჩვენ (სახელისუფლებო პარტიას – რედ.) მაღალი რეიტინგი გვაქვს. თბილისშიც კი დღეს 64% გვაქვს. მსოფლიოში ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც მმართველი პარტია დედაქალაქში ხმათა 64%-ს აგრძელებს. ეს მხოლოდ იმიტომ არ ხდება, რომ ჩვენ ვართ ასეთი კარგები, არამედ იმიტომაც, რომ ოპოზიციამ

■ გივი თარგამაძემ 2008 წლის აგვისტოში რუს სამხედროებს 50 ათასი დოლარი შესთავაზა, გორში სტალინის ძეგლი რომ დაენგრიათ. მაშინ ხომ არაოფიციალური კონტაქტები იყო, და ფულით რუსებისგან რაღაცების გამოსყიდვა შეიძლებოდა. გორი ხომ დაბომბეს, მაგრამ სტალინის ქანდაკებისთვის ხელი არ უხლიათ.

გამოამჟღავნა, რასაც სინამდვილეში წარმოადგენს. და ეს მაღალი რეიტინგი არც ისე კარგია ჩვენთვის.

რატომ?

არჩევნებზე ხმების დაკლება მოგვიწევს (იცინის). ვხუმრობ.

იცით, რა არის ხელისუფლების ამხელა რეიტინგის მიზნი?

ნარმატებული რეფორმები, პირველ რიგში.

და თუკი საქართველოს მომდევნო პრეზიდენტი იპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გახდება, მაგალითად ირაკლი ალასანია, რეფორმების კურსი შენარჩუნდება?

ალასანია პრეზიდენტი ვერ გახდება, შანსი არა აქვს. ალასანია შევარდნაძის რევანშისტია.

აპა, ვინ გახდება?

დრო გვიჩვენებს.

იპოზიცია ვერც თბილისის მერის არჩევნებს მოიგებს?

გვიგ უგულავას რეიტინგი 64%-ია; ალასანიასი – 9%, თოფაძის – 6%, გაჩერილაძის – 2,6%.

იპოზიციონერები სხვა ციფრებს ასახელებენ.

ჰო, რა თქმა უნდა.

მაგრამ 2008 წლის იანვარში საპრეზიდენტო არჩევნებზე გაჩერილაძემ საკაშვილს თბილისში მოუგო.

რა არ ხდება. იუშჩენკომ თავბრუდამსვევი გამარჯვებიდან ხუთი წლის შემდეგ ხმათა სულ ხუთი პროცენტი მიიღო.

„ზემო ლარსის“ სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის შემდეგ ნინო ბურჯანაძე მოსკოვში იმყოფებოდა, და მასთან შეხვედრისას ვლადიმირ პუტინმა ამ გამშვები პუნქტის გახსნას საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესაძლო განვითარების მაგალითი უწოდა. საქართველოში ეს ბევრს არ მოეწონა, ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ თქვენ

გარკვეულ დათმობაზე წახვედით რუსეთის ხელისუფლებასთან, რომელიც აქამდე არ უშვებს თავის ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქეებს.

რატომ არ უნდა გაგვეხსნა ეს პუნქტი? ჩვენ გახსნილები ვართ. არც ჩვენ გავცემთ იქ ვიზებს (უფრო სწორად, მხოლოდ მძღოლებს ვაძლევთ ვიზებს), იმიტომ, რომ რუსეთი არ გასცემს ვიზებს ჩვენს მოქალაქეებზე. მეტიც, რუსეთის მხარე ამ პუნქტიდან არ ატარებს არა დასტ-ს მოქალაქეებს.

რა სარგებელი აქვს თქვენთვის ამ პუნქტის გახსნას? ამით ხომ მხოლოდ სომხეთი იგებს.

უბრალოდ, კარგი მეზობლები ვართ.

ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის მიმართ რა დამოკიდებულება გაქვთ?

რა დამოკიდებულება შეიძლება მქონდეს. ჯერ იყო გიორგაძე, მერე ეპრალიძე მერე ნორდიდელი. ახლა ბურჯანაძე. მოსკოვში საქართველოზე პასუხისმგებლობა პრიმაკოვს დაკისრეს, და ზუსტად ამის შემდეგ გაჩნდა

ეს ხომ მხოლოდ საეკლესიო კავშირია? არ არსებობს „მხოლოდ“.

„პირველი კავკასიური“ ბევრს თქვენ პროექტად მიაჩინია. რაში სჭირდება საქართველოს ხელისუფლებას ეს არხი?

ჩვენ თავი უნდა დავიცვათ. ერთი ჩეჩენი, მოსკოველი ოლიგარქი ჩემს მეგობართან საუბარში ჩეჩენეთის ხელისუფლებას ლანძღვდა, და კითხვაზე – „როდის დამთავრდება ჩეჩენეთში ეს ყველაფერი“, ასე უპასუხა: „როგორ დამთავრდება, ქართველებიც კი ჩვენ გვეხმარებიან“. ქართველები დაუმორჩილებლობის სიბოლოდ იქცნენ მათვის, ვინც რუსეთში თავს დაუცველად გრძნობს.

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთისთვის რუსეთს სამაგიეროს უხდით?

უბრალოდ, ომი ჯერ არ დასრულებულა.

საომარი თუ პოლიტიკური თვალსაზრისით?

ნებისმიერი თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენ იმ ფრონტზე ვიმარჯვე-

■ გონიერ დასავლეთს ჩვენ ვუყვარვართ. უბრალოდ, გადაწყვეტილებებს თავადვე ვიღებთ. არავის ვუსმენთ.

პროექტი – ბაგრატიონების გვარის შთამომავალი ქართველი მეფის შესახებ. მემკვიდრე სასწრაფოდ დააქორწინეს ამ გვარის სხვა შტოს წარმომადგენელ ქალზე, თანაც ამისთვის მისი ქმართან გაყრა დასტირდათ. და რა? ეს პროექტიც ამ ქორწინებასთან ერთად ჩამასალა. მოსკოვში გამუდმებით ექცენტრ შემცვლელს საქართველოში, მაგრამ ეს ძებნა უპერსპექტივოა. გადახედეთ, რა რეიტინგი აქვთ ამ ადამიანებს საქართველოში, და ყველაფერი წათელი გახდება.

ბოლო დროს მოსკოვსა და თბილისს შორის არ არსებობს არანაირი კონტაქტი, გამონაკლისია – საეკლესიო ხაზი. გაგონილი მაქვეს, რომ საქართველოს ხელისუფლებას გულზე არ ეხატება საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ეს პირდაპირი კავშირი. უკომენტაროდ.

ბთ, სადაც უფრო ძლიერები ვართ. ვიდრე რუსეთში ილაპარაკებენ, რომ საქართველოში კარგი რეფორმები გატარდა, ჩვენ მოვაბულები ვიქენებით. იმიტომ, რომ რეფორმები და დემოკრატია – ეს ერთი და იგივეა. და იმიტომ, რომ რუსეთში ეს არ არის. და კიდევ იმიტომაც, რომ ჩვენ და თქვენ უკვე განსხვავებული ფასეულობები გვაცეს. იცით, გივი თარგამაძემ 2008 წლის აგვისტოში რუს სამხედროებს 50 ათასი დოლარი შესთავაზა, გორში სტალინის ძეგლი რომ დაენგრიათ. მაშინ ხომ არაფიცალური კონტაქტები იყო, და ფულით რუსებისგან რაღაცების გამოსყიდვა შეიძლებოდა. გორი ხომ დაბომბეს, მაგრამ სტალინის ქანდაკებისთვის ხელი არ უხლიათ.

რა უპასუხეს გივი თარგამაძეს?

შეურაცხყოფილები დარჩნენ. სხვა

ყველაფერში შეეძლოთ ფული აეღოთ, მაგრამ ამაში – არა.

ანუ, გინდათ თქვათ, რომ ჩვენ საბჭოეთის დროინდელი ფასეულობები გვაქვს, თქვენ კი – ევროპული?

თქვენ თვითონ ამბობთ ამას. მესხვანაირად ვიტყვი. მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ორი გზა – ან დასავლური კულტურისკენ მიმავალი, ან – არსაით. ჩვენ პირველი გზით მივდივართ. თქვენ? კარგი რა მოხდა თქვენს ქვეყანაში ბოლო წლების მანილზე? მეზობლებს წაეწინებეთ. თქვენი ეშინიათ. ერთმანეთისაც გეშინიათ. თქვენი საზოგადოება მიღებიასთან საომარ მდგომარეობაშია. რა აშენდა თქვენთან ბოლო ათი წლის განმავლობაში? ამიტომაც თქვენ საქართველოს ოშე ვერ მოუგებთ.

ომის მოსაგებად შენების ცოდნა აუცილებელი არ არის.

აუცილებელია. ბოლო ათი წლის განმავლობაში თქვენთან მხოლოდ სოჭის პროექტი გაჩნდა. ჩვენ თავიდან ავაშენეთ მთელი ქალაქები. სხვა მიზეზიც არსებობს. თქვენს ჩინოვნიკებს დასავლეთის ეშინიათ, რადგან იმ აზრით გაიზარდნენ, რომ „ცერეული კაბეზეზ“ ძლიერია. კიდევ იმიტომ, რომ დასავლეთის უნდა გეშინოდეს, თუკი ფული დასავლეთის ბანკებში გაქვს შენახული.

აი, თქვენ ამბობთ, რომ აშენებთ, მაგრამ აფხაზეთში, თქვენ კი არა, რუსი ინვესტორები აშენებენ. სამხრეთი ოსეთშიც ასევე რუსი სამხედროები დგანან, და თქვენ იქაც ვერ აშენებთ. იქ როგორლა პპირებთ გამარჯვებას?

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ბედი აფხაზეთსა და სამხრეთი ოსეთში კი არ წყდება, არამედ ადამიანების – ქართველების, რუსების გორებაში. რაც უფრო წარმატებული იქნება ჩვენი შსს-ს, ჯანდაცების, განათლების რეფორმება, მთ მეტად დაუახლოვდება ცხინვალი თბილის; რადგან მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რაიმე აშენდეს. ეს იგივეა, ქვიშაზე რომ აიშენ სახლი. შეიძლება აშენდეს ყაზარმები, მაგრამ ინვესტიციები იქარ ჩაიდება.

სოჭის ოლიმპიადა აფხაზეთის მიმართ
ინტერესსა აძლიერებს.

ოცნებას კაცი არ მოუკლავს. იქ
საზოგადოება არ არსებობს. ბაღაფში
პრეზიდენტი იმიტომ კი არ გახდა, რომ
არჩევნები მოიგო, არამედ იმიტომ,
რომ კრემლთან საერთო ენა გამონახა. მითხარით, რატომ არ ატარებს ბაღაფზი
რეფორმებს? იქ გადაწყვეტილების
მიღების თავისუფლება არ არსებობს; კრემლზე არიან დამოკიდებულები. იქ
დემოკრატია არ არის.

საქართველოში არის დემოკრატია?

თქვენი აზრით, არ არის?

მე მგონი, უკრაინაში არის დემოკრატია,
საქართველოში კი – არა.

რატომ?

თქვენ თავისუფალი ტელევიზია არ
გაქვთ.

ჩართეთ ტელევიზიორი და ნებისმიერ
ოპზიტიონერს ნახავთ, რომელიც
მოგწონთ.

ჰო, მაგრამ ეს ხელისუფლების მიერ
კონტროლირებული არხებია. უკრაინაში
კი უამრავი არხია, რომელიც ხელისუ-
ფლებას ერ ექვემდებარება.

და ამიტომ იქ დემოკრატია? ეს
რა დემოკრატია, როდესაც ისეთი
კანდიდატი იმარჯვებს, რომელმაც
3%-ით მეტი ხმა დააგროვა, ეს 3% კი
იმის დამსახურებაა, რომ ერთ ოლქე-
ბში კი ყველა მივიღა. ნამდვილი დე-
მოკრატია ის არის, როდესაც ხელისუ-
ფლება წესიერად ატარებს არჩევნებს.
საქართველოში თუ გინახავთ ისეთი
რეგიონი, სადაც არჩევნებზე დასწრე-
ბის მაჩვენებელი 97% იყო?

უკრაინაში არსებობს კანონი,
რომელის მიხედვითაც, თუკი „გა“-ს
თანამშრომელი 200 გრივენზე ნაკლებ
ქრთამს აიღებს, ავტონიმსპექციაში 500
დოლარის ჯარიმას გადაიხდის, და
შეუძლია სამსახური გააგრძელოს. ესაა
დემოკრატია? ვერც კი ნარმომიდებენია
ეს როგორ შეიძლება მოხდეს. ჩვენთან
მობილურ ტელეფონებსაც კი აღარ

იპარავენ, იმიტომ რომ ამისთვის 5
წლით ციხეში სვამები.

თქვენ მკაცრი მეთოდებით გინდათ
კანონიერებისა და დემოკრატიის დანერ-
გვა. უკრაინაში კი ეს სხვაგვარად ხდება.

უკრაინაში კანონს არ ამკვიდრებენ,
ამიტომაც არის იქ კანონთან პრო-
ბლემები. დემოკრატიული უკრაინა –
კლიმატი. უბრალოდ, ხუთოსნები არ
უყვართ. სამოსნები უყვართ. ამიტომ,
როდესაც იუშჩენკომ ნააგო, ყველამ
თქვა, რომ ეს კარგია, და ეს დემოკრა-
ტია. საქართველოში კი სააკაშვილმა
რომ მოიგო, ყველამ თქვა, რომ ეს
დემოკრატია არ არის.

ეს კლიმე დასავლეთს აქვს?
ყველას.

იქნებ დასავლეთს ნაწილობრივ ახარებს
კიდეც იუშჩენკოს დამარცხება, იმიტომ
რომ რუსეთსა და უკრაინას შორის კონ-
ფლიქტი აღმოიფხვრა, საქართველოსა
და რუსეთს შორის კი – არა.

იანუკოვიჩი ექვს თვეში წაეჩინა ბე-
ბა მოსკოვს, როგორც კი ფულისა და
თანამდებობების გაყოფაზე დაიწყე-
ბა ლაპარაკი. როდესაც პუტინი მას
ვინმე თავისიანის დანიშვნას, ან ვინმეს
ინტერესის ლობირებას მოსთხოვს,
მთელი მათი მეგობრობა დასრულდება.
ჩვენთანაც ასე იყო.

თითქოს გულგატეხილები ხართ დასავ-
ლელ პარტნიორებზე?

არა, რატომ? გონიერ დასავლეთს ჩვენ
უკავარვით. უბრალოდ, გადაწყვეტილე-
ბებს თავადვე ვიღებთ. არავის ვუსმენთ.
იყავით კარალეთში ჩვენს სპეციაზიზე?
იქ ჩვენი სპეცდინიშნულების რაზი
თქვენი სამხედროების პირისპირ დგასა.
მათთვის „კობრა“-ს ჯავშანმანქანები
შევიძინეთ, თუმცა ევროპელები წინააღ-
მდეგი იყვნენ, – რუსების პროვოცირება
რად გინდათო. მაგრამ არ დაფუკე-
რეთ ევროპელებს, და ახლა იმ ზონაში
მოკლულები აღარ გვყავს.

ანუ ევროპელებს ყოველთვის არ უნდა
უსმინო?

მე ვიტყოდი, რომ – თითქმის
არასდროს. მა

რუსულიდან თარგმნა ნინო სვანიძემ



გამოიცერეთ უკრნალი ლიბერალი

გეზდური ვერსია

12 ნოემბერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნოემბერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნოემბერი – 1 ნები
90 ლარი

PDF ვერსია

12 ნოემბერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნოემბერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნოემბერი – 1 ნები
50 ლარი

უკრნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:

23 37 31, (899) 48 62 41

ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია

ელ-ფოსტით: info@liberali.ge

306 ასე ჯვების ბატონ-პატიო?



ვააა, აღმასრულებელი ხელისუფლება სულ სხვა კაიფი ყოფილაო, – ეს სიტყვები ზურაბ ადეიშვილს აღმოხდა შორეულ 2004 წელს, იუსტიციის მინისტრად დანიშვნიდან რამდენიმე დღეში. შეუზღუდავი ძალაუფლებით მუდმივი „კაიფი“ ძალიან მაღე იქცა მიხეილ სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ცხოვრების სტილად.

სოზარ სუბარი

ეს ჩანს ყველაფერში და ჩანს შე მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ინტერვიუებშიც, რომლებიც უურნალებმა „ვლასტმა“ და „კომერსანტმა“ დაბეჭდეს 2010 წლის მარტშა და აპრილში.

დემოკრატიულ ქვეყანაში ეს ინტერვიუები კარგი მასალა იქნებოდა სერიოზული საბრალდებო დასკვინისთვის, მაგრამ მერაბიშვილი დარწმუნებულია, რომ მას არაფერი ემუქრება. ამიტომაც „კაიფობს“ ლალად და უდარდებად, ყველასა და ყველაფერზე – რეფორმებზე, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების მისეულ პროგრამაზე, რომელსაც წარმატებით ახორციელებს, არჩევნებზე, რესერვზე, ევროპაზე, პოლიციის „შეშუშულ“ შენობებზე და რესა ოკუპანტებთან თანამშრომლობის ფაქტებზე, უფრო ზუსტად იმაზე, როგორ სთავაზობდა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე ქრთამს რეს ოკუპანტებს ქალაქ გორის დაბომბვისა და სტალინის ძეგლის დანგრევის სანაცვლოდ. და მათ, ოკუპანტებმა, როგორ არ აიღეს შეთავაზებული ქრთამი – 50 ათასი დღლარი.

დემოკრატიულ ქვეყანაში მსგავს ინტერვიუს მინისტრის სასწრაფოდ გადაყენება და, დიდი ალბათობით, მთავრობის გადადგომა მოჰყვებოდა.

დაიწყებოდა გამოძიება დანაშაულის აშკარა ნიშნებზე, რაც ნათლად ჩანს შე მინისტრის სიტყვებიდან, თუმცა, დანაშაულის ნიშნებზე ქვემოთ. ახლა კი მთავარზე – რატომ იყო მინისტრი ასეთი გულაბდილი? ამ დღეებში ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ბევრმა სცადა, თუმცა, ყველა ვერსია

Коммерсант.ru
НОВОСТИ ОНЛАЙН

КАРТИНА ДНЯ | ГЛАВНОЕ | ПОЛИТИКА | БИЗНЕС | В МИРЕ | ПРОИСШЕСТВИЯ | ОБЩЕСТВО | КУЛЬТУРА | СПОРТ | НОВОСТИ
Темы: Ситуация на Украине | Белоруссия в отношении с Россией | Отношения России и США | Ситуация в Грузии | Министерство иностранных дел Грузии

Новости | Видео | Блоги | Акции | Блоги | Текущие | Столкновения | Радио | Видео | Источники | Документы

Глава МВД Грузии: война пока не закончена
Вано Мерабишвили готовит "Ъ" кадровые перестановки в МВД Грузии



Министр внутренних дел Грузии **ВАНО МЕРАБИШВИЛИ**, которого считают близкайшим к Саакашвили, рассказал "Ъ" о том, как грузинские власти видят шансы на местные выборы, а также об отношениях Тбилиси с Россией и Западом.

— Предстоящие местные выборы могут стать для власти сюрпризом?

— Не думаю. Потому что у нас [партии власти — "Ъ"] рейтинг высокий — большие половины таких государств, где в столице у правящей партии 64%. Это не только потому, что мы хорошо себя представляем. И эти выборы рейтинг не очень хороши для нас.

— Почему?

— Придет на выборах сильный [противник]. Шучу.

— Вы знаете, в чем причина такого рейтинга власти?

— В успешных реформах в первую очередь.

— А если следующим президентом Грузии станет один из лидеров оппозиции, к примеру Ираклий Аласания, курс на реформы?

— Аласания не станет президентом. У него нет шансов. Аласания — это революционный лидер.

ალბათ ორ უკიდურეს ხედვას შორის თავსდება.

ვერსია პირველი: ვანო მერაბიშვილმა ამ ინტერვიუთი გააკეთა გამოკვეთილი განაცხადი პრეზიდენტობაზე და ძალიან კონკრეტული მესიჯებიც დააგზავნა ყველა მიმართულებით. მას აქვს ყველაზე მეტი რესურსი და რეალური ძალაუფლება, ძალას კი საქართველოში ჯერჯერობით ისევ ყველა ლირებულებაზე მეტად აფასებენ. ამავე დროს ვანო ყველაზე კომფორტული პარტნიორი იქნება მიშასთვის იმ ახალ გარემოში, რომლის შექმნასაც აპირებენ 2013 წლიდან (როცა სააკაშვილს პრეზიდენტობის ვადა ამოენურება) და რომელიც, დიდი ალბათობით, მსგავსი იქნება პუტინ-მედ-

■ ახალი თითქოს არაფერი თქმულა, თითქოს ყველად ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ სიახლე მაინც იყო – გამაოგნებელი სიახლე – თკუპანტებისთვის ქრთამის შეთავაზება, საკუთარი ქალაქის დაბომბვის სანაცვლოდ.

ვედევის ვარიანტისა (ვერსიის ავტორი ვასილ მალლაფერიძე).

ვერსია მეორე: ეს ინტერვიუები, ისევე როგორც 13 მარტის „ტელეიმედის“ მოდელირებული ქრონიკა, ხელისუფლების სრული არაადეკვატურობისა და რუსეთის მიმართ პანიკური შიშის გამომჟღვნება. შესაბამისად, არანაირი ლრმა ჩანაფიქრი მათში არ უნდა ვეძებოთ (ავტორი დავით ზურაბიშვილი).

ფაქტი ისაა, რომ ამ ინტერვიუებში შეს მინისტრი დაუფარავად ამბობს იმას, რაც რეალობაა:

► რომ არც საქართველოს ხელისუფლება და არც პირადად ვანო კანონს არ ცნობენ; მეტიც, კანონი არის ის, რასაც ვანო გადაწყვეტს. და თუ კანონი არ შეესაბამება ვანოს (მით უფრო – მიშას) ხედვას, მით უარესი კანონისთვის;

► რომ საქართველოს ხელისუფლებაში არ აინტერესებთ ევროპის აზრი და ამას ალარ მალავენ (მათ შორის, პრეზიდენტი სააკაშვილიც მრავალ განცხადებასა თუ ინტერვიუში). თუკი ევროპა არ ინონებს მართვის სააკაშვილისეულ ავტოკრატიულ სტილს და მის არაპროგნორიზირებად, პროვოკაციულ გამოხტომებს, აღარც მიშასა და მის გარემოცვას აინტერესებს ევროპის აზრი;

► რომ მომავალი არჩევნების შედეგი ვანომ წინასწარ იცის, ხოლო არჩევნების შედეგებით მანიპულირება მისი ჩვეული საქმეა (მინისტრის მინანერი, – ეხუმრობო, – ამ აზრს ვერ არბილებს, რადგან მრავალმა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ დაადასტურა, რომ საქართველოს ხელისუფლებას საარჩევნო მანიპულაციები არ უკვირს);

► რომ მან წინასწარ იცის, ვინ იქნება შემდეგი პრეზიდენტი, ოღონდ ჯერ არ ამხელს, თქვენთვის ამის ცოდნა ცოტა ნააღრევიაო. პასუხი მარტივია – „Поживем-увидим“;

► რომ საქართველოს ხელისუფლება ერევა (ან ცდილობს ჩაერიოს) ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში და „პირველი კავკასიური არხი“ ამგვარი მანიპულაციებისთვის გამოიყენება.

მერაბიშვილის ინტერვიუები გაუღენთილია ძალის დემონსტრირებით და მუქარით (დავიჭროთ, დავსჯით...), ხოლო ჟურნალისტის მთავარი დასკვ-

ნა შემდეგია: თქვენი პოლიციის შენობები პოტიომკინის სოფლებია, პოლიციელები – უცხოპლანეტელები, ხოლო ამ შეშის შენობების ირგვლივ სიღატაკე მეფობსო...

ახალი თითქოს არაფერი თქმულა, თითქოს ყველამ ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ სიახლე მაინც იყო – გამაონებელი სიახლე – ოკუპანტებისთვის ქრთამის შეთავაზება, საკუთარი ქალაქის დაბომბვის სანაცვლოდ. იმ დროს, როდესაც ათეულობით ადამიანი უგზოუკვლიდ იყო დაკარგული, ან ოკუპანტების ტყვებაში იმყოფებოდა; როცა ათეულობით გვამი ოკუპირებულ ტერიტორიაზე იყო დარჩენილი და სახელმწიფო მათი გადმოსვენებისთვის არაფერს აკეთებდა; როდესაც ატენის ხეობაში შეზინული 30 ათასზე მეტი ადამიანი ხელისუფლების მხრიდან სრულიად უყურადღებოდ – სურსათისა და წამლების გარეშე იყო დარჩენილი; როცა ათეულ ათასობით დევნილი მშეირი და დაუბინავებელი იყო, ვანო მერაბიშვილი აღიარებს, რა „პრობლემის“

■ დემოკრატიულ ქვეყანაში მსგავს ინტერვიუს მინისტრის სასწრაფოდ გადაყენება და, დიდი ალბათობით, მთავრობის გადადგომა მოჰყვებოდა.

გადაწყვეტას ცდილობდა საქართველოს ხელისუფლება: „პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძემ 2008 წლის აგვისტოში რუს სამხედროებს შესთავაზი 50 000 ათასი იმისათვის, რომ მათ დაებომბათ სტალინის ძეგლი გორში. მაშინ ხომ იყო არაოფიციალური კონტაქტები და ფულით შეიძლებოდა რაღაც საკითხებზე რუსების ნამოყვანა. ხოდა აი, გადავწყვიტეთ, ფულის სანაცვლოდ, სტალინის ძეგლის მოშორება...“

ოკუპანტებმა უარი თქვეს ვანდალურ აქტზე, არ აიღეს ქრთამი და არ დაბომბეს ძეგლი, რომელიც ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დგას. მინისტრის ამ განცხადებაში, გარდა ქრთამის მიცემის მცდელობისა, ნათლად ჩანს სს კოდექსის 309-ე (ან-

ტიკონსტიტუციური ხელშეკრულების ან მოლაპარაკების წარმოება, ითვალისწინებს 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღვეთას) და 310-ე (საგარეო უშიშროების ხელყოფა, ითვალისწინებს 8-იდან 12 წლამდე თავისუფლების აღვეთას – „უცხო ქვეყანასთან ან უცხოეთის ორგანიზაციასთან ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომლის მიზანია საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების ან აგრესის სხვა აქტის მომზადება ან განხორციელება, აგრეთვე სხვაგვარი ქმედება ასეთი აქტის პროვოცირების მიზნით“) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ერთადერთი შედეგი, რაც მერაბიშვილის ინტერვიუს ამ ეტაპზე მოჰყვება, ეს არის ორდღანი ქარიშხალი ქართულ მედიაჭიქიაში. თუმცა, თავად ინტერვიუ უფრო სერიოზულ შედეგებზე გათვლილი და გრძელვადიან პერსპექტივაში მან შეიძლება მრავალნაირად იჩინოს თავი.

ამ ინტერვიუთი ვანო ცდილობს,

ყველას – ხალხსაც, ოპოზიციასაც, ეკლესიასაც, უცხოეთსაც – კიდევ ერთხელ მკაფიოდ დაანახოს, ვინ არის აქ ბატონ-პატრონი და ვის უნდა ელაპარაკონ, ვისი ეშინოდეთ, ვისი აზრი უნდა გაითვალისწინონ...

უფრო გრძელვადიან პერსპექტივი კი ეს ინტერვიუ საპატიო ადგილს დაიკავებს ხელისუფლების არაადეკვატურ ქმედებათა ისეთ ჯაჭვში, როგორიცაა ქუთასში „დიდების მემორიალის“ აფეთქება, უკრაინის არჩევნებზე „სადამკვირვებლო“ სპეცრაზმების გადასხმა, 13 მაისის იმიტირებული სატელევიზიო ომი და, თავის მხრივ, დააჩქარებს ხელისუფლების ცვლილებას.

და კიდევ, მსგავსი ინტერვიუები მომავლის პროკურორებსაც გაუადვილებს საბრალდებო დასკვნების წერას. ■

ისევ ცენტრ- ბანდათავისუფლები მოძრაობა

ზურაბ ნოღაიდელის ირგვლივ შექმნილი „ექვსპარტიული წარმონაქმნი“ თბილისს მერად – ზვიად ძიძიგურს, და საკრებულოს თავმჯდომარედ – კობა დავითაშვილს სთავაზობს.

ნინო რობაქეიძე

9 აპრილს ვერის პარტიის საკალათბურთო სასახლეში საქართველოს ქველი შინდისფერი დროშები ერთი წუთით მხოლოდ მაშინ აფრიალდა, როცა „ეროვნულმა საბჭომ“ პირველი არჩევითი მერის თანამდებობაზე კონსერვატიული პარტიის ლიდერის, ზვიად ძიძიგურის კანდიდატურა დაასახელა.

„ზვიად ძიძიგური, დიახაც, არის ოპოზიციის საერთო კანდიდატი. ის ოპოზიციურად განწყობილი ყველა პოლიტიკური ძალისთვისაც მისაღებია“, – განაცხადა კობა დავითაშვილმა, რომელიც პრამერში ძიძიგურის კონკურენტი იყო, ახლა კი მასთან ერთად საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის იბრძოლებს.

„ეროვნულმა საბჭომ“ მერიბის კანდიდატი დედაქალაქში 15 000 მისამართზე მისვლის შემდეგ გამოავლინა. საერთო ჯამში, 12 000 ამომრჩევლის აზრი შეჯამდა. ზვიად ძიძიგურმა ხმათა 51,9% მიიღო. კონსერვატორების ლიდერმა 5 833 ხმით დაამარცხა „ხალხის პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი, რომელმაც 5 414 ხმა მიიღო.

ოპოზიციური პრამერის საარჩევნო ბიულეტენებზე ქალაქის მერიბის კანდიდატებს შორის გია მაისაშვილის გვარიც ეწერა. „მომავლის პარტიის“ ლიდერმა, საქართველოში არყოფნის გამო, პრამერში მონაწილეობაზე ბოლო წუთს თქვა უარი, თუმცა მისი გვარის ბიულეტენებიდან ამოღება ვეღარ მოესწრო.

„გაითვალისწინეთ, რომ გია მაისაშვილი ალარ მონაწილეობს პრამერში“, – ამ ფრაზით აფრთხილებდნენ პრამერის შერჩევაში მოხვედრილ ამომრჩეველს პარტიული აქტივისტები, რომლებსაც ამომრჩევლისთვის ბიულეტენების გადაცემა ევალებოდათ. თუმცა, როგორც



ზურაბ ნოღაიდელი „ეროვნული საბჭოს“ ყრილისაზე, თბილისი, 9 აპრილი 2010

„ეროვნული საბჭოს“ ლიდერები, ისე პარტიული აქტივისტებიც ამომრჩევლების გამოკითხვის დაწყებამდე ვერ ჩამოყალიბდნენ აპოზიციურ პრამერში მონაწილეობდნენ თუ სოციოლოგიურ გამოკითხვაში. ამიტომაც, კარზე ზარის დარცვის შემდეგ პარტიული აქტივისტები ამომრჩეველს ხან სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობაზე ითანხმდებდნენ, ხან პრამერში.

ექსპერტების აზრით, არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვას სოციოლოგიურ გამოკითხვასთან საერთო თითქმის არაფერი ჰქონდა. „იმისათვის, რომ გამოკითხვას სოციოლოგიური გამოკითხვის სტატუსი ჰქონდეს, აუცილებელია, პროცესში პროფესიონალები იყვნენ ჩართული. თუ სწორად განისაზღვრება კვლევის ამოცანა, სწორად შეირჩევა დიზანი და დაცული იქნება მთავარი – რეპრეზენტატულობის პრინციპი, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს 5 000 რესპონდენტს გამოკითხავთუ 15 000-ს“, – განმარტავს ACT კვლევის ბიზნესის განვითარების დირექტორი ნიკა ჯავახიშვილი.

„გვინდოდა, ამომრჩეველისთვის თანამონაწილეობის განცდა გავვეჩინა. ამიტომაც არის მნიშვნელოვანი გამოკითხვის მასშტაბი – ვეცადეთ, მივსულიყვანით ყველა უბანში, ყველა ქუჩაზე და ყველა ეზოში“, – აცხადებს „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსათვის“ თავმჯდომარის მოადგილულევან როინიშვილი.

ამომრჩეველს, რომელიც შემთხვევითი შერჩევით გამოსაკითხთა სიაში მოხვდა, სამი ბიულეტენის შევსებას სთხოვდნენ. პირველით მერობის ყველაზე ძლიერი კანდიდატი ირჩეოდა; მეორე ბიულეტენზე თერთმეტი პარტიის დასახელება იყო ჩამონერილი და ამომრჩეველი ქალაქის საკრებულოში პრიორიტეტით სიით ასარჩევ პარტიას აძლევდა ხმას; მესამე ბიულეტენი კი ყველა რაიონში სხვადასხვანაირი იყო და მასზე იმ კანდიდატების გვარები და სახელები ენერა, რომელიც პრამერის მომხრე პარტიის მარტივი კონკურენტულ რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატად ნარადგინეს.

კითხვაზე – „ხვალ რომ თბილისის საკრებულოს №7 (კრანისი, ფონიჭალა) ოქტომბერის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევნები იყოს, ვის მისცემდით ხმას“

– სავარაუდო პასუხებია:

- ბართია ლევან, „კონსერვატიული პარტია“;
- ბუბუტეიშვილი გიორგი, „მამულიშვილი“;
- მამათელაშვილი როლანდი, „ხალხის პარტია“;
- ყელბერაშვილი ალექსანდრე, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“;
- ფაზივ ალიევი, „შენთვის, საქართველო“.

ბლად მიიღოს მონაწილეობა. ამიტომაც თერთმეტი პარტიის მიერ მსარდაჭერილი პრამერი თბილისში რეალურად მხოლოდ სამხა ჩაატარა. ზურაბ ნოლადელის, ზვიად ძიძიგურის და კობა დავითაშვილის პარტიული აქტივიდან თბილისელები 750-კაციანმა ჯგუფმა გამოკითხა. პარტიული აქტივისტები სამკაციან ჯგუფებად იყვნენ დანაწილებული, თითოეულ ჯგუფში სამივე პარტიის წარმომადგენელი შედიოდა.

პრამერის ორგანიზატორების გან-



ზვიად ძიძიგური „ეროვნული საბჭოს“ კრილობაზე, თბილისი, 9 აპრილი 2010

ფოტო: ლევან გურგაშვილი

ჩვენ მიერ ამავე საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან ჩატარებული პატარა ექსპერიმენტის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ათიდან ათმა ამომრჩეველმა ეს სახელები და გვარები პირველად გაიგო. თუმცა, ეს არ იქნებოდა პრობლემა, პრამერში მონაწილე პარტიის თვითონ რომ იყვნენ ცნობილები. ჩვენი ექსპრიმენტის მონაწილე ათი ამომრჩევლიდან ცხრამ მხოლოდ „კონსერვატიული პარტიისა“ და „ხალხის პარტიის“ გახსენება შეძლო. სახელები „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსათვის“ და „მომავლის პარტია“ მათთვის არაფრისმთქმელი აღმოჩნდა.

„გეოტქა, შვილო, რომ ნოლადიდელის და მაისაშვილის პარტიება. ეგ ხალხი კი ვიცი, მაგრამ პარტიებს ყველას ერთნაირი სახელი აქვთ“, – მითხვა ექსპრიმენტის ერთ-ერთმა მონაწილემ.

პრამერის მომხრე 11 პოლიტიკური სუბიექტიდან უმრავლესობას არანაირი რესურსი არ აქვს იმისათვის, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში დამოუკიდე-

ცხადებით, ამ პრაქტიკამ, რომელიმე პარტიის სასარგებლოდ შედეგების გაყალბება გამორიცხა. თუმცა, დანარჩენი რგა პოლიტიკური სუბიექტის წარმომადგენლებმა 25 საარჩევნო ოლქიდან ჯერჯერობით მხოლოდ სამ ოლქში გაიმარჯვეს. მიუხედავად ამისა, პრამერის შედეგების გამოცხადების შემდეგ პრეტენზია „ეროვნული საბჭოს“ შემადგენლობიდან არც ერთ პოლიტიკურ სუბიექტს არ გამოუთქვამს.

„ეროვნულმა საბჭომ“ ზვიად ძიძიგურის დასახელებით უკვე ფორმალურადაც წერტილი დაუსვა ბოლო დღეებში კიდევ ერთხელ განახლებულ თბილიციურ კონსულტაციებს მერობის საერთო თბილიციურ კანდიდატზე. ირაკლი ალასანიას გუნდის წევრის, სოზარ სუბარის მიერ ინიცირებული მოლაპარაკებების უშედეგოდ დასრულების შემდეგ „ეროვნული საბჭო“ „სააკაშვილის რეუიმის დასამათავრებლად ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის მესამე და დასკვნით ტალღას იწყებს“. █

ბზა ლიხსევი ეამაჩხისაცნ



რომელია ის გონივრული გზა, რომელიც ოპოზიციამ დარჩენილ მოკლე წინასაარჩევნო პერიოდში უნდა აირჩიოს?

იაგო კაჭკავიშვილი, სოციოლოგი

ოპოზიციურ პოლიტიკურ ველში დღეს რამდენიმე ნიშა არსებობს:

1. „ალიანსი საქართველოსთვის“ და მისი მხარდამჭერი პარტიები/პოლიტიკოსები (მაგ., „საქართველოს გზა“, გოგა ხაინდრავა)
2. ე.წ. „პრაიმერისტები“
3. ისინი, ვინც არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს
4. საპარლამენტო ოპოზიცია
5. ლევან გაჩეჩილაძე

თითოეულ ამ ნიშას გარკვეული თავისებურებები აქვს, რომელთაგან გამოსაყოფა შემდეგი:

ზემოთ ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალა – „ალიანსი“ – ქმნის ინსტიტუციურ ერთობას. „პრაიმერისტებს“ ჯერჯერობით ინსტიტუციური კავშირი არ შეუკრავთ (ანუ, ერთ ბლოკად არ ჩამოყალიბებულან), თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ საერთო იდეათა წრე გარკვეულნილად მოხაზეს – ეს, პირველ რიგში, გულისხმობს რუსეთთან დაახლოებას და სკაპტიციზმს ნატო-ში განვირინებასთან დაკავშირებით. დანარჩენ პოლიტიკურ ჯგუფებს გაერთიანებებს ვერ ვუწოდებთ, რადგან მათ მხოლოდ ის ემპირიული ნიშნები აერთიანებთ, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ, ან პარლამენტის წევრები არიან.

განსხვავებულია, აგრეთვე, არჩევნებში მონაწილეობას არ იღებენ, ან პარლამენტის წევრები არიან:

► „პრაიმერისტების“ და ლევან გაჩეჩილაძის მთავარი წინასაარჩევნო გზავნილი სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლაა. ეს არის საქართველოში უკვე ტრადიციულად ქცეული ამომრჩეველთა „ნეგატიური მობილიზაციის“ ფაქტორის გამოყენება. მათვის მიუღებელი და უინტერესობა წებისმიერი

დისკუსია იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ჩანაცვლებს სააკაშვილის ხელისუფლებას და რა იქნება ხელისუფლების შემდეგ;

► ქრისტიან-დემოკრატები აქცენტს სოციალურ პროექტებზე სვამენ (უფასო წყალი, იაფი გაზი, ელექტროენერგია) და ხელისუფლების შეცვლა მხოლოდ იარაღად მიაჩინათ ამ პროე-

ცელილებებს შესთავაზებს საზოგადოებას.

თითოეული ნიშის რეიტინგს თუ გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ ყველაზე რეიტინგული პოლიტიკური ძალები თავმოყრილია „ალიანსში“, ე.წ. „ბოიკოტისტებში“ (მხედველობაში მყავს, პირველ რიგში, ლეიბორისტები და ეროვნული ფორუმი) და სა-



ირაკლი ალასანა



ქტების შესასრულებლად (მეორე მხრივ, ქრისტიან-დემოკრატები აშკარად დგანან იმ რისკის წინაშე, რომ მათი წინასაარჩევნო ლოზუნგები პოპულიზმად მოინათლოს, ვინაიდან ისინი ჯერჯერობით არაფერს ამბობენ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აპირებენ აღნიშნული სოციალური პროექტების განხორციელებას);

► „ალიანსს“ ჯერ კიდევ არ დაუწყისა თავისი წინასაარჩევნო კამპანია. თუმცა, უნდა ვიფიქროთ, რომ ისიც აქცენტს გააკეთებს არა „ნეგატიურ მობილიზაციაზე“, არამედ პოზიციურ

პარლამენტო იპოზიციის იმ ნაწილში, რომელსაც ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა წარმოადგენს. როგორც საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ბოლო გამოკითხვები (მედიაში გავრცელებული მონაცემები) აჩვენებს, ჯერ მხოლოდ ამ პოლიტიკურ ძალებს, ჯამში, ქ. თბილისში იპოზიციური ელექტორატის 30-35% უკავია. დანარჩენ იპოზიციის ხვედრითა წილი 5-10%-ის ფარგლებში მერყეობს. მეორე მხრივ, ხელისუფლების პოლიტიკური გავლენა დაახლოებით 40%-ია. აქედან ძალზე მარტივია იმის და-

ნახვა, რომ ცალკე აღებულ არც ერთ ოპოზიციურ ძალას, დამოუკიდებლად, დღევანდელი კონფიგურაციით, პოლიტიკური „წონით“ და პოლიტიკური აქტიურობით, პრაქტიკულად არ აქვს შანსი, რომ ადგილობრივ არჩევნებში, თუნდაც თბილისში, დაამარცხოს ხელისუფლება. სწორედ ეს ვითარება ახდენს ოპოზიციურ ძალებში იმის გამაფრებულ პროცესისას, რომ რაც შეიძლება მეტი დამატებითი ოპოზიციური სარჩევნო ხმა დაუკავშირდეს რომელიმე პოლიტიკურ ძალას თუ პოლიტიკოსს.

არჩევნებში მონაწილე იორგე ბერიძეს გადაბირების რამდენიმე გზა მოსინჯა (ან მოსინჯვის პროცესში):

1. რომელიმე პოლიტიკური ძალა მართავს კონსულტაციებს სხვებთან და ცდილობს, მოიპოვოს მათგან მხარდაჭერა მერობის საკუთარი კანდიდატის

ან მეთოდოლოგიის შესამუშავებლად საერთო კანდიდატის გამოვლენისთვის, არამედ მიზანმიმართული მუშაობა ამომრჩეველზე, მისთვის თავის მონიშვნება და მათი დამატებითი ნაკადის გადმომინება (ამ გზას ცველაზე თანმიმდევრულად „ქრისტიანულ-დემოკრატიული“ მოძრაობა მისდევს);

4. შეიცვალოს პოლიტიკურ ძალთა არსებული კონფიგურაცია ანუ მათი დღევანდელი ინსტიტუციური პროფილი - დაახლოებულმა პარტიებმა პოლიტიკური ბლოკი შეკრან, არსებული ბლოკები გაფართოვდნენ და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზათა მოსინჯვის პროცესში სერიოზული როლი აკისრიათ იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც არჩევნებს ბოკიყოფს უცხადებენ. მართალია, ამ ძალებს უშუალო კავშირი არა აქვთ წინასაარჩევნო კამპანიასთან, მაგრამ მათ ძალუდით არჩევნების შედეგებზე სერიოზული

მიმართულებით, პოზიტიური შედეგი გამოიღო - IRI-ს ბოლო გამოკითხვის მიხედვით, ისინი ამოვარდნენ ზოგადობაზიციური კალაპოტიდან (რეიტინგების შემცირების თვალსაზრისით) და არათუ შეინარჩუნეს პოლიტიკური „წონა“, არამედ რამდენადმე გაიუმჯობესეს კიდევ (მაგ. თბილისში 2009 წლის ნოემბერში „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ რეიტინგი 6% იყო, ახლა, რამდენადაც ითქვა, 7-10%-ის ფარგლებში თავსდება).

არადა, ამინიციურ ფრონტზე, უკვე კარგა ხანია, მთავარი შეტევა ძირითადად იმ მიმართულებით ვითარდება, რომ ან ირაკლი ალასანია გახდეს სხვებისთვის მისალები კანდიდატი, ან იორგე ბერიძე არსებული მეთოდოლოგიაზე, რომელიც ერთ საერთო კანდიდატს გამოავლენს. დაბჯეითებით შეიძლება ითქვას, რომ როგორც ერთი, ისე მეორე განზრახვა უპერსპექტივოა და რაი-



ლევან გაჩეჩილაძე



გორგი თარგამაძე

ფოტო: ლევან გაჩეჩილაძე

სასარგებლოდ (ამ გზას, ძირითადად, „ალიანსი“ მიმართავს);

2. პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართოს „სუფთა ფურცლიდან“ და მოიძებნოს ისეთი მეთოდი (სოციოლოგიური გამოკითხვა, წინასარი არჩევნები), რომელიც გამოავლენს ოპოზიციის საერთო კანდიდატს (ამ გზას სწორხაზოვნად „პრაიმერისტები“ და ლევან გაჩეჩილაძე მიმართავს, თუმცა, „ალიანსიც“ ზიგზაგისებურად და საკმაოდ წინააღმდეგობრივად ერთვება ამ პროცესში);

3. არავითარი კონსულტაციები რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერად

გავლენის მოხდენა, რამდენადაც მათზე „მიბმულია“ ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი და თანაც მეტ-ნაკლებად მყარი ნაწილი, რომელიც არჩევნების მიმართ იმ პოზიციას დაიჭერს, რასაც მისი რჩეული პარტია.

თუ, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, თითოეული ამ გზის ეფექტურობას შევაფასებთ, უნდა ითქვას, რომ უფრო წარმატებული აღმოჩნდა მესამე სტრატეგია. ეს კარგად ჩანს ქრისტიან-დემოკრატების მაგალითზე: ამ პარტიის თანმიმდევრულობამ, ამომრჩევლებისთვის თავის მოწოდების

**■ ლევან გაჩეჩილაძე
დღეს არის ლამის
ერთადერთი ფიგურა,
რომლის მხარდაჭერაც
რომელიმე პოლიტიკურ
ძალას მხარდამჭერებს
გაუმრავლებს. თუმცა,
ცხადია, ილუზია, რომ ლევან
გაჩეჩილაძის მხარდაჭერა
საკმარისია...**

მე სერიოზული წარმატების საწინდარი ვერ იქნება. რაც შეეხება მეოთხე გზას (პოლიტიკური კონფიგურაციების შეცვლა), ამ მიმართულებით აქტიურობა ნაკლებია, თუმცა, ეს პერსპექტივაც უნაყოფოდ გამოიყენება. ერთადერთი დადებითი შედეგი, რომელიც სხვათათვის ალასანის მიმღებლობაზე ან კონფიგურაციის ცვლილებებზე ზრუნვამ გამოიღო, სალომე ზურაბიშვილის და მისი პარტიის მიერ ალასანის მხარდაჭერა, და სულ ახლახან „ალიანსი“ ბლოკში განხევრიანებაა. თუმცა, საფიქრებელია, რომ არჩევნებამდე ეს იქნება ერთადერთი და უკანასკნელი მონაპოვარი აღნიშნული მიმართულებებით.

განსაკუთრებით უპერსპექტივოა საერთო ოპოზიციური კანდიდატის ძეგა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პოლიტიკური პროექტი გარეგნულად ეფექტურად გამოიყენება, მისი რეალიზაცია წმინდა წყლის ილუზია და მიზანში ისეთ სროლას ჰგავს, რომელიც წინდაწინვე განწირებია მარცხისთვის.

რა მაძლევს ამის თქმის უფლებას? ზემოაღნიშნული ოპოზიციური პოლიტიკური ნიშებიდან თითქმის ყველა

არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთად შეყრაც არარეალურია, რადგან მათ შორის არანაკლებ ძლიერი წყალგამყოფია – ამჯერად საქართველოს ხელისუფლების სახით. არასაპარლამენტო ოპოზიცია, როგორც წესი, ქრისტიან-დემოკრატებს ან, მით უფრო, თორთლაძის პარტიას ხელისუფლების სატელიტ პოლიტიკურ ძალებად მიიჩნევს და ამით წვაგს ყველა ხიდს მათთან მისასვლელად. მეორე მხრივ, ქრისტიან-დემოკრატებიც არანაკლებ მწვავე „ხურდას“ უბრუნებენ, მათივე შეფასებით, „ქუჩის ოპოზიციას“.

► არასაპარლამენტო ოპოზიციის ორი – არჩევნებში მონაწილე და არჩევნების მაბოკონტირებელი – ნაწილის გაერთიანებაც, როგორც ჩანს, არარეალურია. ისინი ერთმანეთისთვის მხოლოდ პოლიტიკური რევერსანსების გაცვლით არიან დაკავებულები და მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებში ერთმანეთის მხარდაჭერას არ აპირებენ.

ასეთი გაერთიანებები არარეალურია არა მხოლოდ პოლიტიკური ძალების ამბიციებიდან გამომდინარე, არამედ იდეოლოგიებისა და პოზიციების არათავსებადობის თვალსაზრისითაც.

შეუწყობს ხელს, რადგან ამომრჩეველი არ მიიღებს წაგებულ თამაშში მონაწილეობას.

ერთადერთი ლაბილური ფიგურა, რომელსაც სხვადასხვა ძალასთან მიესვლება, არის ლევან გაჩერილაძე – სწორედ ამით უნდა აიხსნას მასზე და მის მხარდაჭერაზე გამძაფრებული მოთხოვნა და აპელირება. ლევან გაჩერილაძე დღეს არის ლამის ერთადერთი ფიგურა, რომლის მხარდაჭერაც რომელიმე პოლიტიკურ ძალას მხარდამჭერებს გაუმრავლებს. თუმცა, ცხადია, ილუზიაა, რომ ლევან გაჩერილაძის მხარდაჭერა საკმარისია რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის ადგილობრივ არჩევნებში გასამარჯვებლად.

სად არის გამოსავალი? რომელია ის გონივრული გზა, რომელიც ოპოზიციამ დარჩენილ მოყლე წინასაარჩევნო პერიოდში უნდა აირჩიოს? ესაა მხოლოდ და მხოლოდ მიზანმიმართული მუშაობა ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველზე, მათთვის (წევატიური მობილიზაციის პარალელურად) პოზიციური და დასაბუთებული პროექტების შეთავაზება, რომ არა მხოლოდ საკუთარი ამომრჩეველი შეინარჩუნო, არამედ სხვისი ამომრჩეველიც გადაიბირო.

■ სად არის გამოსავალი? ესაა მხოლოდ და მხოლოდ მიზანმიმართული მუშაობა ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველზე, მათთვის პოზიციური და დასაბუთებული პროექტების შეთავაზება, რომ არა მხოლოდ საკუთარი ამომრჩეველი შეინარჩუნო, არამედ სხვისი ამომრჩეველიც გადაიბირო.

„თვითკმარია“, ანუ არათუ ერთმანეთთან, არამედ ხშირად ერთმანეთის შიგნითაც კი პოლიტიკური თანამშრომლობის (მოახლოებული არჩევნების კონტექსტში) მზადყოფნას არ ავლენს. იგულისხმება თანამშრომლობის ის ფორმები, რომლებიც არჩევნებში ხმების ერთ ფოკუსში თავმოყრის პოტენციას შეიცავს. უფრო კონკრეტულად:

► „ალიანსის“ (და საერთოდ, ნებისმიერი სხვა პოლიტიკური სუბიექტის) გაერთიანება „პრამერისტებთან“ შეუძლებელია, რადგან მათ შორის ისეთი ძლიერი წყალგამყოფია, როგორიცაა ნოლაიდელი და მისი პარტია. „ალიანსი“ ნოლაიდელს ვერ შეეგუება, ხოლო პრამერისტები ნოლაიდელს ვერ ჩამოიცილებენ;

► საპარლამენტო ოპოზიციის და

ქაოტურმა და არარაციონალურმა კოლაბორაციონიზმმა რომელიმე პოლიტიკურ ძალას, არათუ წარმატება შეიძლება მოუტანოს, არამედ საარჩევნო სმებიც დაკარგვინოს. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა (მაგ., გოგა ხაინდრავამ), რომელიც არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას სკეპტიკურად უყურებს, რადგან ფიქრობს, რომ გაყალბება გარდაუვალია, ასე კურიოზულად გამოხატა თავისი მხარდაჭერა მერობის ერთ-ერთი კანდიდატის მიმართ: „მე მოვუწოდებ ამომრჩეველს, რომ მხარი დაუჭიროს ალასანის, თუმცა ვთვლი, რომ არჩევნები მხოლოდ ისეთ შედეგს მოიტანს, რაც მერაბიშვილს უნდა“. ცხადია, ასეთი პოზიცია, ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველთა მობილიზაციას კი არა, მის ნიპოლიზმის შეუწყობს ხელს, რადგან ამომრჩეველი არ მიიღებს წაგებულ თამაშში მონაწილეობას.


არამედ სხვისი ამომრჩეველიც გადაიბირო და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გადაიბირო ამომრჩეველთა ჩამოუყალიბებელი წარმატები კურიოზული პროექტირებული და დასაბუთებული პროექტების შეთავაზება, რომ არა მხოლოდ საკუთარი ამომრჩეველი შეინარჩუნო, არამედ სხვისი ამომრჩეველიც გადაიბირო.

ცხადია, ეს ურთულესი ამოცანა (თანაც ამ წინასაარჩევნო ცაიტნოტში). თუმცა, „გამარჯვების ფორმულა“ მხოლოდ ამ ტიპის პოლიტიკურ მოღვაწეობაში შეიძლება დაიძებნოს. ბოლოს და ბოლოს, ღრმულები გამარჯვების გარდა, არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი ფორმულაც – „ლირსეული დამარტებება“. ■

სიძულვილის ცნა ცნება ისახაზოების

სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის შემთხვევაში, ისინი, ვინც ამ ხერხს მიმართავენ, იძულებული გახდებიან, რომ ყველაფრის უმცირესობებზე დაბრალების ნაცვლად, ან პრობლემების ლოგიკურ და რაციონალურ მოგვარების გზებზე ისაუბრონ, ან საერთოდ შეწყვიტონ მაღალი ტრიბუნიდან ქადაგება.

გორგი ცხადაია



speech), მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, არ არის კრიმინალიზირებული, რადგან ამერიკის უზენაესი სასამართლო თვლის, რომ მისი კრიმინალიზება ენინაალმდეგება კონსტიტუციის პირველ შესწორებას და გამოხატვის თავისუფლების პრინციპს.

საქართველოში სიძულვილის ენაც და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულიც აქტუალური თემებია, რაზეც ხშირად საუბრობენ არასამთავრობო ჯგუფები. ისინი პრობლემებს არ აზიადებენ. მედიაში სისტემატიურად ისმის რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციული ფრაზები. 2008 წლის, კონრად ადენაუერის ფონდის კვლევის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 19.1% მხარს უჭერს აგრესიას რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ. 32.4% – მათი ლიტერატურის განადგურების მომხრეა. ბოლო ხანებში, გახშირდა სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული მსგავსი „კამპანიები“. მაგალითად, სოციალურ ქსელ ფესტუაზე შეიქმნა სპეციალური გვერდი „სიკვდილი ჰომოსექსუალებს“, ახლად დაფუძნებული სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის ლიდერი მაღაზ გულაშვილი კი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში არ ერიდება სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ შეურაცხმულფელი კომენტარების გამოთქმას. ერთულ მედიაში ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც დამაცირებელ კონტენტში ხდება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების მოხსენებაც. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბოლო ხანებში მომხდარი ინციდენტი, როდესაც „ტელემედის“

გადაცემა „სიმართლის დროში“ ერთეულთ სტუმარს დაუსვეს კითხვა, რცხვენდა თუ არა მას საკუთარი ეთნიკური წარმომავლობის. აღნიშნულის გამო „ტელემედის“ მოგვიანებით ბოდიშიც მოიხადა. ერთი სიტყვით, ისეთი ფაქტები, რაც თითქმის ყველა დასავლურ ქეყანაში სიძულვილის ენად ანუ hate speech-ად ჩაითვლებოდა, საქართველოში კრიმინალიზირებული არ არის. რამდენად მიზანშენონილი იქნება, არსებული სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, მსგავსი კანონმდებლობის მიღება, შეცვლის თუ არა ეს რეალობას და რა გზები არსებობს იმისთვის, რომ მსგავსი ცვლილებები განხორციელდეს?

პირველ რიგში, მხედველობაში უნდა მივიღოთ განსხვავებები ამერიკულ და ევროპულ მიდგომებს შორის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკაში სიძულვილის ენა კრიმინალიზირებული არ არის, თუმცა მთელ რიგ შემთხვევებში, არსებობს საზოგადოებრივი კონსენსუსი, რომელიც ფაქტობრივად უკრძალავს საჯარო პირებს, მათ შორის უურნალისტებს, დისკრიმინაციული კომენტარების გაყეთებას. მაგალითად, ცნობილი რადიო კომენტატორ რაშ ლიმბოს შემთხვევა, როდესაც მან ორაზოვანი კომენტარი გააკეთა აფროამერიკელი ფეხბურთელის მისამართით, რის შემდეგაც ლიმბო თანამდებობიდან გადადგა. ამავე დროს, იგივე რაშ ლიმბო რადიოს ეთერში ლაპარაკობდა ამერიკაში საზოგადოებრივ ტრანსპორტში სეგრეგაციის დაბრუნების აუცილებლობაზე, ანუ თეთრებანინებისა და შავებანინებისთვის განსაზღვრული სივრცების გამოყოფაზე. ბევრმა ლიბერალმა აქტივისტმა

საქართველოს კანონმდებლობა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონცეფციას არ ცნობს. არ ისჯება სიძულვილის ენაც, ანუ გარკვეული ჯგუფის, უმთავრესად უმცირესობებს, წინააღმდეგ გამოთქმული დისკრიმინაციული ხასიათის გამონათქვამები.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული და სიძულვილის ენა ორი სხვადასხვა კატეგორია. სიძულვილის ენა გულისხმობს არა რაიმე კონკრეტულ დანაშაულს, არამედ გარკვეული ჯგუფის მიმართ გამოთქმულ შეურაცხმყოფულ და დამცირავ მოსაზრებებს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული (ე.ნ. hate crime) თითქმის ყველა დასავლურ ქვეყანაში ისჯება და წარმოადგენს განსაუთრებით დამამძიმებულ გარემოებას. ხოლო სიძულვილის ენა (hate

ლიმბოს ეს ფრაზა „სიძულვილის ენად“ შეაფასა, მაგრამ ამას ლეგალური დავა არ მოჰყოლია.

ევროპაში სიძულვილის ენის მიმართ რადიკალურად განსხვავებული მიდგომაა. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობაში არსებობს *Volksverhetzung*-ის ცნება, რომელიც გულისხმობს სიძულვილის ენის კრიმინალიზაციას. განსაკუთრებულად ისჯება ჰოლოკოსტის უარყოფა და იკრძალება ნაცისტური გერმანიის განდიდება. შვეიცარიაში სიძულვილის ენის გამოყენება სამწლიანი თავისუფლების აღვეთით ისჯება.

ევროპული და ამერიკული გამოცდილების განხილვა ნიმუშავს ორი განსხვავებული მოსაზრების გამოკვეთას: პირველი, რომ საზოგადოებამ თავად უნდა მოახდინოს სიძულვილის ენის მარგინალიზაცია, და მეორე, რომ საკანონმდებლო ზომები აუცილებელია იმისთვის,

ჯგუფებს გადააბრალონ. ამ რეალობაში მალხაზ გულაშვილს შეუძლია თამამად თქვას, რომ ქართველი ადამიანის უფლებების დამცველნი იცავენ უმცირესობის უფლებებს და არ იცავენ უმრავლესობისას. ამის თქმის საბას მას აძლევს ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განუვითარებლობა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, მსგავსი ლოგიკა, უმთავრეს შემთხვევაში, მოსახლეობის გარკვეულ ფენტბზე ჭრის. გულაშვილის ნინალმდევ ისეთი ფართო, მასობრივი კამიანის დაწყება, რომელშიც ათასობით ადამიანი იქნება ჩაბმული, ამ შემთხვევაში, თითქმის შეუძლებელია, რადგან თავად ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებსაც, რომ არაფერი ვთქვათ მოსახლეობის ფართო მასებზე, საქართველოში უამრავი ზოგადი პრობლემა აწერებთ, მალხაზ გულაშვილის არცთუ ისე გონივრული გამოს-

ბრივი მოძრაობები და საუკუნოვანი ბრძოლა, არამედ კონსენსუსი ქართულ მედიაში, არასამთავრობოებსა და ხელისუფლებაში, რომლის საფუძველიც უნდა იყოს იურისტებსა და სამართლის სპეციალისტებს შორის დავა დეფინიციების განსაზღვრისა და მართებულობის ირგვლივ.

ამ პრობლემის მოგვარებაში გადამწყვეტი როლი შეიძლება შესარულონ საქართველოს ევროპელმა მეგობრებმა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქვეყნის კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებით. ეს ფაქტორი დამატებით და მნიშვნელოვან წნებს შეუქმნის საქართველოს ხელისუფლებას. ევროკავშირის და ეუთო-ს ნარმომადგენლებმა 19 მარტს უკვე გააკეთეს ზოგადი განცხადება და მთავრობებს ინტერნეტში გაცემელებული ისეთი აქტების გამოძიება ურჩიეს,

■ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ამერიკელმა ხალხმა გაიარა რასიზმის თითქმის ორასწლოვანი ისტორია, რომ სამოქალაქო უფლებების აქტი მიეღოთ. საქართველოს 21-ე საუკუნეში მსგავსი ფუფუნება არ აქვს; ჩვენთვის უფლებული იქნება ევროპის პატარა თუ დიდი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და სიძულვილის ენის ამგვარად პრევენცია.

რომ მოსახლეობის დაუცველმა ჯგუფებმა – უმცირესობებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. აშშ-ში, ევროპისგან განსხვავებით, მიაჩნიათ, რომ საზოგადოებრივი კონსენსუსი მიიღწევა მოქალაქეთა მასობრივი აქტივობის შედეგად. მაგალითად, იმისთვის, რომ სეგრეგაცია და რასისტული დისკრიმინაცია საბოლოოდ დამთავრებულიყო, ამერიკას დასტირდა სამოქალაქო უფლებების ამოქმედება, რომლის შედეგადაც მიიღეს სამოქალაქო უფლებების აქტი (1964). ევროპაში პრობლემების პირდაპირ საკანონმდებლო გზით მოგვარებას ანიჭებენ უპირატესობას. ჩვენს შემთხვევაში, მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ ფონს თუ მივიღებთ მხედველობაში, სიძულვილის ენა, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაისმის, მასობრივი აღშეფთების საბაზი არ ხდება. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მატერიალური პრობლემების მოგვარებას უნდება, როთაც წარმატებით სარგებლობები ექსტრემისტები და ცდილობები, დისკრიმინაციული ენით გზა გაიკვალონ – ყველა პრობლემა მოსახლეობის გარკვეულ

ვლის გარდა.

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, გამოსავალი ისეთი კანონმდებლობის მიღებაა, რომელიც სიძულვილის ენის კრიმინალიზაციას მოახდენს. ამ შემთხვევაში, ის ადამიანები, რომლებიც სიძულვილის ენას მიმართავენ, იძულებული გახდებიან, რომ, ყველაფრის უმცირესობებისთვის გადაბრალების ნაცვლად, ან საზოგადოების წინაშე მდგარი პრობლემების ლოგიკურ და რაციონალურ მიგვარებს გზებზე ისაუბრონ, ან საერთოდ შეწყვიტონ მაღალი ტრიბუნიდან ქადაგება.

აუცილებელია, რომ აქტიურად დაიწყოს სიძულვილის ენის კრიმინალიზაციის ლობირება საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ამაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ მედიას, ადგილობრივ და უცხოურ არასამთავრობო ორგანიზაციებს. პირველ ეტაპზე, მართებული იქნებოდა, თუ მოხდება ქართულ მედიაში უკვე არსებული უამრავი ფაქტის შეკრება და გაანალიზება, ხოლო შემდგომ საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობა. ამას არ დასტირდება მასო-

რომლებიც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულსა და სიძულვილის ენას შეიცავს. საქართველოს პრობლემა ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ინტერნეტში შესგავსი დანაშაულებების რეგულირება: საქართველოს კანონმდებლობა საერთოდ არ ცონბს ამ ორ სამართლებრივ კონცეფციას.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ამერიკელმა ხალხმა გაიარა რასიზმის თითქმის ორასწლოვანი ისტორია, რომ სამოქალაქო უფლებების აქტები აქტი მიეღოთ. საქართველოს 21-ე საუკუნეში მსგავსი ფუფუნება არ აქვს; ჩვენთვის უფლებული იქნება ევროპის პატარა თუ დიდი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და სიძულვილის ენის ამგვარად პრევენცია. ეს ხელს შეუწყობს არა მხოლოდ უმცირესობების პრობლემების მოგვარებას, არამედ მთლიანად პოლიტიკური და მედია დისკურსის რაციონალიზაციას. ევროპას ერთხელ უკვე ჰქონდა იმის გამოცდილება, თუ როგორ დააბრალეს ფაშისტებმა ყველა პრობლემა ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებს. ■

ბიზნესის წარმატების სიმახუთობის სახელმიწოდებების ნაჩარატებობის

ბიზნესის კეთების სიმარტივის და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსებით აპელირება და მათ მიერ ასახული ცვლილებების პროგრესად მონათვლა უტრირებაა. სინამდვილეში, ყველაზე შინაარსობრივი ინდექსის მიხედვით, ზოგადი რეალობა ბევრად უფრო მწვავეა, ვიდრე ის 2006 წელს იყო.

ლაშა ჭოჭუა

ალბათ ხშირად მოგისმენიათ იმ ინდექსების შესახებ, რომლებშიც საქართველოს წარმატებებია ასახული. რამდენად გამოხატავს გავრცელებული რეიტინგები ზოგად რეალობას, ძნელი სათქმელია, თუმცა გარკვეული დასკვნების გამოტანა შესაძლებელია. ესა თუ ის ინდექსი კონკრეტული, ხშირად ერთმანეთისგან განსხვავდებული მოვლენების დინამიკას ითვალისწინებს. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ წარმატებამ და წარუმატებლობამ ერთსა და იმავე რეალობაში იარსებოს.

განვიხილოთ რამდენიმე ცნობილი ინდექსი.

ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი

მოცემულ ინდექსს მსოფლიო ბანკის კვეთი ითვლის.

ინდექსი ითვალისწინებს 10 კომპონენტს: 1. ბიზნესის დაწყებასთან დაკავშირებულ პროცედურებს; 2. სამშენებლო საქმიანობისთვის საჭირო ნებართვების მიღებასთან დაკავშირებულ დროით და ფინანსურ დანახარჯებს; 3. დასაქმებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს; 4. საკუთრების რეგისტრაციის და 5. კრედიტის აღების სიმარტივეს; 6. ინვესტორთა დაცვის ხარისხს; 7. გადასახადებთან დაკავშირებულ პროცედურებს და მის მოცულობას შემოსავლებთან მიმართებაში; 8. საქონლის ექსპორტ-იმპორტისთვის საჭირო

დოკუმენტების რაოდენობას, დროს და ხარჯებს; 9. საკონტრაქტო ურთიერთობებს – კომერციული დავების მოგვარებისთვის საჭირო პროცედურებს, დროით და ფინანსურ ხარჯებს; 10. ბიზნესის დახურვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინდექსის მიხედვით, 2010 წელს საქართველომ მე-11 ადგილი დაიკავა, რაც დიდწილად განპირობებულია მონინავე პოზიციებით პირველ 4 კომპონენტში, დანარჩენ კომპონენტებთან

დაკავშირებით კი ქვეყნის პოზიცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება პირველ 4 კომპონენტში დაფიქსირებულ მიღწევებს.

ინდექსი ტექნიკურია თავისი მნიშვნელობით. მისი მიზანია რეგულირების ტევირთზე ყურადღების გამახვილება. შესაბამისად, ინდექსით ასახული წარმატებები არ შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური განვითარებისკენ გადადგმულ სერიოზულ ნაბიჯებით. ვერც იმას ვიტყვით, რომ განვითარებული

ბიზნესის წარმატების სიმახუთობის ინდექსი

კოდერი	მარტინი მიმოხილვის მიზანი	მარტინი მიზანი	სამარტინო სამარტინო									
სინგაპური	1	4	2	1	16	4	2	5	1	13	2	
ა. ჟელანდია	2	1	5	15	3	4	1	9	26	10	17	
პრინცენგი, ჩინეთი	3	18	1	6	75	4	3	3	2	3	13	
აშ	4	8	25	1	12	4	5	61	18	8	15	
ლიდიგრიტანეთი	5	16	16	35	23	2	10	16	16	23	9	
დანია	6	28	10	9	47	15	27	13	6	28	7	
ირლანდია	7	9	30	27	79	15	5	6	21	37	6	
კანადა	8	2	29	17	35	30	5	28	38	58	4	
ავსტრალია	9	3	62	1	34	4	57	47	27	16	14	
ნიუვეგა	10	35	65	114	8	43	20	17	9	4	3	
საქართველო	11	5	7	9	2	30	41	64	30	41	95	
ტაილანდი	12	55	13	52	6	71	12	88	12	24	48	
საუდის არაბეთი	13	13	33	73	1	61	16	7	23	140	60	
ისლანდია	14	33	31	56	13	30	73	31	73	2	16	
სამონია	15	91	45	40	54	15	16	123	17	20	1	
ფრანგი	16	30	47	132	27	30	57	71	4	8	5	
გერმანია	17	10	42	36	66	87	12	12	19	66	73	
შეველუონი	18	43	19	117	20	71	57	42	7	51	18	
კორიას რესპ.	19	53	23	150	71	15	73	49	8	5	12	

ქვეყნის უმრავლესობა ამ ინდექსის მიხედვით მოწინავე ადგილზეა. მაგალითად, გერმანია 25-ე ადგილზეა, საფრანგეთი – 31-ზე, ესპანეთი – 62-ზე. ბოლო დროის კველაზე სწრაფად ზრდადი ქვეყნები კი, ჩინეთი და ინდოეთი, შესაბამისად, 89-ე და 133-ე ადგილზე იკავებენ.

ეპონომიკური თავისუფლების ინდექსი

ინდექსს ითვლის „ჰერიტიჯ ფაუნდეიტენი“.

ინდექსი მოიცავს 10 კომპონენტს: 1. ბიზნესის თავისუფლება; 2. ვაჭრობის თავისუფლება; 3. ფინანსური თავისუფლება; 4. მთავრობის ხარჯები; 5. მონეტარული თავისუფლება; 6. ინგენიერიული თავისუფლება; 7. ფინანსური თავისუფლება; 8. საკუთრების უფლებები; 9. კორუფციისგან თავისუფლება; 10. სამუშაო ძალის თავისუფლება.

ინდექსის მიხედვით, 2010 წელს საქართველო 26-ე ადგილზეა. თუმცა, ცვლილებების შესახებ საინტერესო ინფორმაციას ინდექსის კომპონენტების დინამიკა იძლევა.

ჯამური მაჩვენებლის გამოყვანაში თითოეულ კომპონენტს ერთი და იგივე წონა ენიჭება, ხოლო თავად კომპონენტი 0-100 სკალით ფასდება. რაც უფრო თავისუფლია ქვეყანა ამა თუ იმ მიმართულებით, მით უფრო ახლოსაა შეფასება 100-თან. 2006 წელთან შედარებით, წარმატების მთავარი მიზეზები არის ცვლილებები ბიზნესის თავისუფლების მაჩვენებელში, გაუმჯობესდა მდგომარეობა ვაჭრობის თავისუფლების და ინვესტიციების თავისუფლების კუთხით. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არის ცვლილებები საკუთრების უფლებების და კორუფციისგან თავისუფლების კუთხით. საკუთრების უფლებების დაცვის კუთხით შეინიშნება მცირედი პროგრესი, 2006 წლის 30-დან 2010 წელს, მაგრამ ამ კონკრეტულ რიცხვს სიტყვებში თუ გადავიყვანთ, თავად ფონდის მეთოდოლოგით, ნიშნავს, რომ „საკუთრების უფლებები ნაკლებად დაცულია, „... და რომ „ექსპროპრიაცია შესაძლებელია“. კორუფციისგან თავისუფლების კუთხითაც არის მცირედი პროგრესი: თუ 2006 წელს აღნიშნული კომპონენ-

ეპონომიკური თავისუფლების ინდექსი

მოცული რიტუალი: 26

რეპიონალური რიტუალი: 43-დან 80-14



საქართველოს ეპონომიკური თავისუფლების ინდექსის 10 კომპონენტი

▲ 87.9 ბიზნესის თავისუფლება	საჭ. 64.6	■ 70.0 ინკუსტიციურის თავისუფლება	საჭ. 49.0
▲ 89.1 ვაჭრობის თავისუფლება	საჭ. 74.2	■ 60.0 ფანანსური თავისუფლება	საჭ. 48.5
▲ 89.1 ფინანსური თავისუფლება	საჭ. 75.4	▲ 40.0 საკუთრების უფლებები	საჭ. 43.8
▼ 65.3 მთავრობის ხარჯები	საჭ. 65.0	▲ 39.0 კორუფციისგან თავისუფლება	საჭ. 40.5
▼ 70.2 მონეტარული თავისუფლება	საჭ. 70.6	▼ 93.7 სამუშაო ძალის თავისუფლება	საჭ. 62.1

■ ქვეყნის განვითარება არ არის მხოლოდ ეკონომიკური პროცესი, მით უფრო, არ არის განპირობებული მარტივი ტექნიკური ფაქტორებით. ქვეყნის განვითარება ბევრად კომპლექსური პროცესია და შეფასებების დროს სისტემურ მიღებობას საჭიროებს.

ტი შეფასებული იყო 20-ით (რაც ნიშნავს, რომ კორუფციის დონე ძალიან მაღალია), 2010 წელს შეფასება არის – 39. არის კომპონენტები, სადაც მდგომარეობა გაუარესდა 2006 წელთან შედარებით. მაგალითად, მთავრობის ხარჯების კომპონენტის შეფასებამ 2006 წლის 90.8-დან დაინია 2010 წლის 65.3-მდე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავრობის ხარჯების ზრდის კვალბაზე, სავარაუდოდ, ბიუროკრატია იზრდება. ამგვარად, აღნიშნულმა ცვლილებებმა, შესაძლოა, გამოიწვიოს მწარმოებლურობის კლება, რესურსების გადამისამართება კონკრეტული მიმართულებით, „გამოდევნის ეფექტი“ კაპიტალის ბაზარზე და მაღალი ინფლაცია.

ინდექსის კომპონენტებს შორის ყველაზე ცუდი მდგომარეობა გვაქვს საკუთრების უფლებების დაცვის და კორუფციის კუთხით. გარემოში, სადაც არ არის დაცული კერძო საკუთრება და არის კორუფცია, მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტის შესაქმნელად საკუთრების უფლებების დაცვა და კორუფციის აღმოფხვრა აუცილებელ, მაგრამ არასაკმარის პირობებს წარმოადგენს, თუმცა ამ ფაქტორების უგულებელყოფა პირდაპირ ურთყამს სტიმულებს, რომლებიც სამენარმეო უნარების და იდეების წარმატებულ ბიზნესებში გადაზრდას იწვევს.

სახელმიწოდებრივი თავისუფლები

ინდექსის ითვლის მშვიდობის ფონდი

(The Fund for Peace).

ინდექსი მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ კომპონენტებს. უფრო კონკრეტულად, შედგება 12 მაჩვენებლისგან, რომლებიც ასახავს ინფორმაციას დემოგრაფიული პრობლემების, ლტოლვილთა მასობრივი გადაადგილების, ადამიანური რესურსების გადინების, არათანაბარი ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური აქტივობის სწრაფი ან მნშვნელოვანი შემცირების, ხელისუფლების დელეგიტიმაციის, მთავრობის მიერ განეული მომსახურების ხარისხის შემცირების, ადამიანის უფლებების დარღვევების, უსაფრთხოების სისტემის, ელიტ-ჯგუფების ფორმირების და სხვა სახელმწიფოების მხრიდან ინტერვენციების შესახებ. ინდექსის გამოყვანით, ფონდის მთავარი მიზანია ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ჩამოშლის რისკიანობის დადგენა.

თითოეული მაჩვენებელი ფასდება 10-ბალიანი სკალით. ჯამური ქულა გამოიყვანება ინდივიდუალური მაჩვენებლების მარტივი დაჯამებით. რაც უფრო ახლოს არის მცირედი პროგრესი: 10-ბალიანი სკალით, გამოყვანის 4 დონეს: ძალიან საზიგათო (ჯამური ქულა 90-სა და 120-ს შორის),

სახიფათო (60-90), ზომიერი (30-60) და მდგრადი (0-30). 2006-2008 წლების განმავლობაში საქართველოს ჯამური ქულა იყო, შესაბამისად, 82.2, 82.3 და 82.8 და ამ ხნის განმავლობაში ქვეყანა შედიოდა სახიფათო ქეყენების 82.8 და ამ ხნის განმავლობაში ქვეყანა შედიოდა სახიფათო ქეყენების (2006-2008 წლებში, მე-

60, 58 და 57 პოზიციები). 2009 წელს კი ქეყნის ჯამურმა ქულამ შეადგინა 91.8 და საქართველო გადავიდა ძალიან სახიფათო ქეყენების ჯგუფში, 33-ე პოზიციაზე. ყველა მაჩვენებლით მდგომარეობა გაუარესდა, თუმცა ნებატიური ცვლილებების დიდი ნაწილი

სახალინის რეგიონის მართვის ინდექსი

დანართი	ინდექსი	2007	მდგრადი სიმარტივები	სიმარტივები და სამარტივებები	სიმარტივები და სამარტივებები	დანართი													
სომალი	1	114.7	9.8	9.9	9.7	8.5	7.7	9.5	10.0	9.9	9.8	9.9	9.9	10.0	10.0	10.0	9.8	9.8	9.8
ზომბავე	2	114.0	9.8	9.1	9.1	10.0	9.7	10.0	9.8	9.8	9.8	9.9	9.7	9.7	9.5	9.5	7.6	7.6	7.6
სუდანი	3	112.4	9.0	9.8	9.9	9.0	9.6	7.0	9.8	9.5	9.5	9.8	9.7	9.5	9.8	9.7	9.8	9.8	9.8
ჩადა	4	112.2	9.3	9.4	9.8	7.8	9.3	8.3	9.8	9.6	9.5	9.5	9.9	9.8	9.7	9.7	9.7	9.7	9.7
კონგოს დემ. რესპ.	5	108.7	9.7	9.6	8.9	8.1	9.3	8.3	8.6	9.2	9.0	9.7	8.7	8.7	9.6	9.6	9.6	9.6	9.6
ერაყი	6	108.6	8.7	8.9	9.7	9.1	8.6	7.6	9.0	8.4	9.3	9.7	9.6	10.0	10.0	10.0	10.0	10.0	10.0
ავღანეთი	7	108.2	9.3	8.9	9.6	7.2	8.4	8.3	9.8	8.9	8.8	9.9	9.1	10.0	10.0	10.0	10.0	10.0	10.0
აფენტ-აურიკის რესპ.	8	105.4	8.9	9.0	8.6	5.7	9.1	8.4	9.3	9.3	8.9	9.6	9.5	9.1	9.1	9.1	9.1	9.1	9.1
ვაინა	9	104.6	8.5	7.1	8.2	8.6	8.9	8.7	9.8	9.2	9.0	9.4	9.2	8.0	8.0	8.0	8.0	8.0	8.0
პაკისტანი	10	104.1	8.3	8.6	9.6	8.3	8.8	6.4	9.1	7.5	8.9	9.5	9.6	9.5	9.5	9.5	9.5	9.5	9.5
კოტ-დ'იუარი	11	102.5	8.6	7.8	9.0	8.4	8.1	8.3	9.1	8.0	8.5	8.5	8.5	9.7	9.7	9.7	9.7	9.7	9.7
პაკტი	12	101.8	9.3	5.8	7.3	8.6	8.2	8.9	9.2	9.5	8.5	8.4	8.3	9.8	9.8	9.8	9.8	9.8	9.8
ბურმა	13	101.5	9.0	8.8	8.9	6.0	9.5	8.2	9.5	9.0	9.0	8.4	8.7	6.5	6.5	6.5	6.5	6.5	6.5
კუნა	14	101.4	9.0	9.0	8.6	8.3	8.8	7.5	9.0	8.0	8.2	8.0	8.8	8.2	8.2	8.2	8.2	8.2	8.2
ნიგერია	15	99.8	8.5	5.3	9.7	8.3	9.5	6.6	9.2	9.0	8.6	9.4	9.6	6.1	6.1	6.1	6.1	6.1	6.1
ეთიოპია	16	98.9	9.4	8.0	8.2	7.7	8.8	8.3	7.9	8.2	8.5	7.5	8.8	7.6	7.6	7.6	7.6	7.6	7.6
ჩრ. კორეა	17	98.3	8.5	6.0	7.2	5.0	8.8	9.6	9.8	9.6	9.5	8.3	7.8	8.2	8.2	8.2	8.2	8.2	8.2
იუმენ	18	98.1	8.9	6.9	9.4	8.4	9.0	8.0	8.5	8.0	7.6	8.0	8.9	6.5	6.5	6.5	6.5	6.5	6.5
ბანგლადეში	19	98.1	8.8	7.9	7.7	7.4	8.9	8.2	8.3	8.5	7.7	8.4	9.0	7.3	7.3	7.3	7.3	7.3	7.3
ადმ. ტიმორი	20	97.2	8.4	9.0	7.3	5.7	6.8	8.4	9.4	8.4	7.0	9.0	8.8	9.0	9.0	9.0	9.0	9.0	9.0
უკანას	21	96.9	8.7	9.3	8.0	6.5	8.7	7.6	8.0	8.0	7.7	8.2	8.2	8.0	8.0	8.0	8.0	8.0	8.0
გრ. ლანკა	22	96.7	7.5	9.3	9.8	6.9	8.5	6.1	9.0	6.6	8.5	9.2	9.2	6.1	6.1	6.1	6.1	6.1	6.1
ნიგერი	23	96.5	9.5	6.4	8.5	6.3	7.6	9.2	8.7	9.5	8.2	7.4	7.1	8.1	8.1	8.1	8.1	8.1	8.1
ბურუნდი	24	95.7	9.2	8.1	7.5	6.5	8.4	8.0	7.5	9.0	7.6	7.3	7.7	8.9	8.9	8.9	8.9	8.9	8.9
ნეპალი	25	95.4	8.3	6.8	8.7	6.0	9.3	8.5	8.0	7.4	8.7	8.1	8.4	7.2	7.2	7.2	7.2	7.2	7.2
კამერუნი	26	95.3	8.0	7.5	7.2	8.0	8.9	6.9	9.2	8.0	8.0	7.8	8.7	7.1	7.1	7.1	7.1	7.1	7.1
გვინეა-ბისაუ	27	94.8	8.6	6.5	5.8	7.0	8.5	8.5	8.6	8.7	8.0	8.5	8.0	8.1	8.1	8.1	8.1	8.1	8.1
მალავი	28	93.8	9.3	6.3	5.9	8.3	8.5	9.1	8.3	8.8	7.5	5.6	7.8	8.4	8.4	8.4	8.4	8.4	8.4
ლობანი	29	93.5	7.0	9.0	9.2	7.2	7.4	6.3	7.8	6.2	6.9	9.1	9.1	8.3	8.3	8.3	8.3	8.3	8.3
კონგოს რესპ.	30	93.1	8.9	7.8	6.5	6.1	8.0	8.0	8.6	8.8	7.9	7.8	7.1	7.6	7.6	7.6	7.6	7.6	7.6
უბარდა	31	92.8	7.9	5.3	7.4	7.0	8.7	7.2	9.0	6.6	9.2	9.0	9.0	6.5	6.5	6.5	6.5	6.5	6.5
სიერა ლეონი	32	92.1	8.9	6.9	6.6	8.5	8.4	8.6	7.4	8.7	7.0	6.1	7.7	7.3	7.3	7.3	7.3	7.3	7.3
საქართველო	33	91.8	6.4	8.3	8.5	6.0	7.5	6.0	9.0	6.3	7.5	7.9	8.9	9.5	9.5	9.5	9.5	9.5	9.5
ლამბერია	34	91.8	8.6	8.0	6.1	6.8	8.5	8.2	7.0	8.5	6.7	6.9	7.9	8.6	8.6	8.6	8.6	8.6	8.6
ბურუნდი ფასო	35	91.3	9.0	6.0	6.1	6.5	9.0	8.2	7.9	9.0	6.5	7.5	7.6	8.0	8.0	8.0	8.0	8.0	8.0
ერითრეა	36	90.3	8.6	7.0	5.8	6.5	6.0	8.6	8.6	8.6	7.9	7.4	7.7	7.6	7.6	7.6	7.6	7.6	7.6
ტაჯიკისტონი	37	90.3	8.2	6.4	6.9	6.5	7.3	7.5	8.9	7.6	8.6	7.5	8.4	6.5	6.5	6.5	6.5	6.5	6.5
ირანი	38	90.0	6.5	8.5	7.6	6.8	7.4	5.5	8.3	6.0	8.9	8.6	9.1	6.8	6.8	6.8	6.8	6.8	6.8

მოდის ლტოლვილთა მასობრივი გადა-ადგილების, არათანაბარი განვითარების, ეკონომიკური აქტივობის შემცი-რების, მთავრობის დელეგიტიმისი, ადამიანთა უფლებების დარღვევის და საგარეო ინტერვენციის ფაქტორებზე. რაც შეეხება ელიტურ-კულტურული მომინდობრების მომძლავრება, რელიგიური თემებით აპელირება, ამ მიმართულებით მდგომარეობა წლიდან მდგრად ურესდება. მაჩვენებელი 2006 წლის 7.1-დან გაიზარდა 8.9-მდე, 2009 წლის.

რატომ არ აისახა ბოლო ინდექსით ნაჩვენები ტენდენციები სხვა ინდექსებიში? მარტივი მიზეზის გამო – მარტივების შორის სახელმწიფოებრივი ნარუმატებლობის ინდექსის დათვლისას. ზოგადად, ქვეყნის განვითარება ბევრად კომპლექსურ პროცესია, და შეფასებების დროს სისტემურ მიღებობას საჭიროებს. ინდექსების დესკრიფიციული ანალიზი ვერ იძლევა სერიოზული დასკვნების გაკეთების საშუალებას, თუმცა, ერთი რამ ცხა-დია: ბიზნესის კეთების სიმარტივის და ეკონომიკური თავისუფლების ინდექ-სებით აპელირება და მათ მიერ ასახული ცოლილებების პროგრესად მონა-თვლა უტრირებაა. სინამდვილეში, ყველაზე შინაარსობრივი ინდექსის მი-ხედვით, რეალობა ბევრად უფრო მწვა-ვება, ვიდრე ის 2006 წელს იყო. ■

ინფორმაცია ინდექსის შესახვაზე შესაძლებელი ინდონოთ:

ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი - <http://www.doingbusiness.org/economyrankings/>

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი - <http://www.heritage.org/Index/Explore.aspx>

სახელმწიფოებრივი ნარუმატებლობის ინდექსი - http://www.fundforpeace.org/web/index.php?option=com_content&task=view&id=391&Itemid=549

განსილული ინდექსები არ არის სრული ჩამონათვალი, არსებობს სხვადასხვა ტიპის ინდექსები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, უკეთესად ასახავენ რეალობას ამა თუ იმ მიმართულებით, თუმცა აქ მოყვანილი ინდექსები შერჩეულია მათდამი გამოხატული ინტერესის მიხედვით.

"ხელი ხელს ჰქონს" და ობივა ეთია - "ნაზომნალები მოძრაობას"

ქუთაისის თვითმმართველობას რამდენიმე ფავორიტი კერძო კომპანია ჰყავს. სწორედ ეს ფირმები ფინანსდებიან ბიუჯეტიდან მილიონებით, სანაცვლოდ კი, აღნიშნული კომპანიები სახელისუფლებო პარტიის საარჩევნო ფონდებს აფინანსებენ.

მათა მეცხვარიშვილი, სპეციალურად სტუდია „მონიტორისათვის“



ამ დროისთვის ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტი 61 654 200 ლარს შეადგენს. სწორედ ამ თანხით ხორციელდება ქუთაისში მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პროექტები, რისთვისაც ხელისუფლება სახელმწიფო შესყიდვებს კერძო კომპანიებისგან ახორციელებს.

საბიუჯეტო სახსრებით ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვის პროცესს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი არ ეცულირებს. ამ კანონით, ტენდერის გარეშე ერთ პირთან მოლაპარაკების ფორმა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ლირებულება არ აღემატება 50 000 ლარს, ხოლო სამუშაოს სავარაუდო ლირებულება – 100 000 ლარს. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, სახელმწიფო შესყიდვა უნდა განხორციელდეს ტენდერის გზით. მიუხედავად ამისა, ქუთაისის თვითმმართველობა თითქმის ყველა მსხვილ სახელმწიფო შესყიდვას არა ტენდერის, არამედ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ახორციელებს.

„თუკი არსებობს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, რომ მიენიჭოს ქუთაისის მერიას ერთ პირთან მოლაპარაკების ხელშეკრულების გაფორმება, ეს დასაშვები ხდება მოქმედი კანონმდებლობით, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის კანონის დარღვევა, მაინც შეგვიძლია მიგრინით კორუფციის მნიშვნელოვან წყაროდ“, –

აცხადებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი თამარ კორძაია.

ქუთაისის მერიაში განმარტავენ, რომ ერთ პირთან მოლაპარაკების ხელშეკრულებებს კერძო ფირმებთან კანონით დადგენილ მონეტარულ ზღვარზე მეტ თანხაზე საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე აფორმებენ.

„ჩვენ თხოვნით მივმართავთ ხოლმე საქართველოს მთავრობას, რომ ნება დაგვრთოონ, სახელმწიფო შესყიდვა განვახორციელოთ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და ამის საფუძველზე ვაფორმებთ ხელშეკრულებებს ფირმებთან. სახელმწიფო შესყიდვის ამ ფორმას ვიყენებთ იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომლებიც შემჭიდროებულ ვადებში უნდა განხორციელდეს. ტენდერის ჩატარება დიდ დროსთან არის დაკავშირებული, ერთ პირთან მოლაპარაკებით კი ეს პროცესი დროში აღარ იწელება“, – აცხადებს ქუთაისის მერის პირველი მოადგილე მერაბ მეშვეობინი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება გაფორმებულია 760 000 ლარზე), „ტორპედოს“ სტადიონის (ერთ პირთან მოლაპარაკების ხელშეკრულება გაფორმებულია 2 მილიონ ლარზე), პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა (მა დროისთვის ერთ პირთან მოლაპარაკების ხელშეკრულებები გაფორმებულია 2 მილიონზე მეტ ლარზე) და სხვა.

შესყიდვები ერთ პირთან

მოლაპარაკებით

2010 წელს ყველაზე სოლიდური შეკვეთები ქუთაისის თვითმმართველობისგან თბილისურ ფირმას – შპს „დაგ“ ერგო წილად. სწორედ „დაგი“ შეირჩა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით „ტორპედოს“ სტადიონის უეფა-ს სტანდარტებთან დასასახლოებლად. სტადიონის რეკონსტრუქციისთვის „დაგმა“ ქუთაისის ბიუჯეტიდან 2 მილიონი ლარი მიიღო.

„შპს „დაგი“ შეირჩა მისი გამოცდილებისა და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით. მას მანამდე ყველა სამუშაო აქვს პირნათლად შესრულებული“, – აცხადებს ქუთაისის მერის აპარატის

რომ ფავორიტი ფირმების წარმატებას სახელმწიფო შესყიდვებთან მიმართებაში საერთო არაფერი აქვს შეთავაზებულ დაბალ ფასებთან: „ის ფირმები, რომლებიც იგებენ ტენდერებს, ან ერთ პირთან მოლაპარაკებით ხდებიან სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების განმკარგველები, ოფიციალურად ან არაოფიციალურად არიან „ნაციონალური მოძრაობის“ დამფინანსებლები“, – აცხადებს ნაკაშიძე.

შპს „დაგი“ მართლაც ფიგურირებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ფონდის შემომწირველთა ნუსაში. მაგალითად, 2008 წლის 14 მარტს, საპარლამენტო არჩევნებამდე ორიოდე თვით ადრე, ამ ფირმამ „ნაციონალურ მოძრაობას“ 20 000 ლარი შესწირა; 2007 წლის 21 დეკემბერს კი, საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ეს ფირმა მმართველ პარტიას 40 000 ლარით შეეწია.

„არანაირი შეხება არა აქვს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ფირმა იყო „ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველი იმასთან, რომ ჩვენ ვიღებთ სახელმწიფო შეკვე-

■ ქუთაისში ერთ პირთან მოლაპარაკების ხელშეკრულება გაფორმებულია: დახურული საცურაო აუზი – 1 600 000 ლარზე, ჩოგბურთის კორტები – 760 000 ლარზე, „ტორპედოს“ სტადიონი – 2 მილიონ ლარზე, პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობა – 2 მილიონზე მეტ ლარზე და სხვა.

კანონი იმისთვისაა, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციებმა წინასარ დაგეგმონ მომავალი წლის შესყიდვები. ეს პრაქტიკა კი, როდესაც მთავრობა აპელირებს ვადების შემჭიდროების აუცილობლობაზე, ნიშავს იმას, რომ ამ ქვეყნაში სრული უგეგმობა სუფეს და ხელისუფლებას არა აქვს დაგეგმილი, რა უნდა გააკეთოს“, – აცხადებს თამარ კორძაია.

არის თუ არა ვადების შემჭიდროება გადაუდებლად აუცილებელი იმ პროექტებთან დაკავშირებით, რაც წელს ქუთაისში ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხორციელდება? – ამის საილუსტრაციით ამ პროექტების მოკლე ჩამონათვალს გაგაცნობთ: ამ პროექტებს შორისაა, მაგალითად, ქუთაისში დახურული საცურაო აუზის (ერთ პირთან მოლაპარაკების ხელშეკრულება გაფორმებულია 1 600 000 ლარზე), ჩოგბურთის კორტების (ერთ პირთან მოლაპარაკების

მთავარი სპეციალისტი ქეთი დეისაძე, თუმცა ჩვენს შეკითხვაზე, დაესახელებინათ ამ ფირმის მიერ „მანამდე პირნათლად შესრულებული სამუშაოები“ ქუთაისში, მერიას პასუხი არ აღმოაჩნდა. გავარკვიეთ მხოლოდ ის, რომ შპს „დაგი“ ქუთაისში წელს კიდევ ერთ ობიექტს არემონტებს: ოფიციალური ინფორმაციით, ქუთაისის ოპერის თეატრის რეაბილიტაციისთვის გამოცხადებულ ტენდერში ამ კომპანიამ დაბალი ფასის გამო გაიმარჯვა – სამუშაოებს, რომლისთვისაც მერაბმ 3 675 500 ლარი გამოყო, შპს „დაგი“ ნახევარ ფასად – 1 700 218 ლარად ასრულებს.

„ჩვენ მცირე მოგებაზე ვართ ორიენტირებულები და ამიტომ ვთავაზობთ ასეთ დაბალ ფასებს“, – აცხადებს შპს „დაგის“ დირექტორი მიხეილ შარანგია. ქუთაისის საკრებულოს რესპუბლიკულ დეპუტატს ვიკა ნაკაშიძეს მიაჩინა,

თებს. როგორ ფიქრობთ, ჩვენ 40 ათასი რომ შევნირეთ, ამის გამო მოგვცეს 1.5 მილიონი! მე აქ რაიმე პარალელ ვერ ვალებ“, – აცხადებს შპს „დაგის“ ხელმძღვანელი მიხეილ შარანგია.

„ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ფონდის შემომწირველებს შორის აღმოვაჩინეთ სს „ხეროც“, რომელმაც წელს ქუთაისის ბიუჯეტიდან 80 000 ლარი მიიღო გზების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამახადებლად. აღნიშნული კომპანია მმართველ პარტიას 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ 8000 ლარით შეეწია.

„ასეთი ფაქტები ხშირია, როდესაც ის ფირმები იღებენ სახელმწიფო დაკვეთებს, რომელიც შემომწირველებს იღებენ პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში. ხდება ისე, რომ ჯერ შემომწირულობებს იძლევიან ფირმები და მერე

იღებენ სახელმწიფო შეკვეთებს, და პირიქითაც. მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ ეს არის კორუფციის ნაირსახეობა”, – აცხადებს თამარ კორძაია.

ბოლო წლების განმავლობაში ქუთაისში კიდევ არა ერთმა ფირმამ მიიღო სახელმწიფო დაკვეთა, რომელთა შემონირულობებიც ასახულია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ფონდების ანგარიშებში. მაგალითად, 2008 წელს ქუთაისის ისტორიული უბნის კეთილმოწყობისთვის ერთ პირთან მოლაპარაკების ხელშეკრულების საფუძველზე შპს „დფს“-ზ 934 278 ლარი მიიღო ბიუჯეტიდან, იმავე პერიოდში კი ეს ფირმა მმართველი პარტიის საარჩევნო ფონდს 100 000 ლარით შეეწია. 75 000 ლარი გაიღო „სამშენებლო კომპანია თბილისმა“ 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მმართველი პარტიის სასარგებლოდ, ქუთაისის ბიუჯეტიდან კი ამ ფირმამ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით 2008 წელს 5 100 000 ლარი მიიღო. სს „სამშენებლო კომპანია თბილისმა“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ფონდს 2006 წელს 100 000 ლარი შესწირა.

ქუთაისში პრეზიდენტის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ კიდევ ერთი პროექტი ხორციელდება – „ქუთაისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი“, რისთვისაც 20 მილიონი აშშ დოლარია გამოყოფილი. მართალია, ამ პროგრამისთვის გამოყოფილ თანხებს არა ქუთაისის თვითმმართველობა, არამედ „მუნიციპალური განვითარების ფონდი“ განკარგავს, მაგრამ ყურადღებას იპყრობს იმ ფირმების ნუსხა, რომლებიც ქუთაისში ამ პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებს ახორციელებენ. მათ შორისაა შპს „ნუ ენერვა“ (რომელსაც 2008 წელს ქუთაისში, 28 ქუჩის ნებლის სისტემის რეაბილიტაციისთვის 5 604 364 ლარი გადაერიცა). აღნიშნულმა ფირმამ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ფონდში 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისთვის 130 000 ლარ შესწირა. მისმა ქვეყანტრაქტორმა ფირმამ ქუთაისში – შპს „სერვისმა“ კი – 50 ათასი ლარი.

საკრებულოს დეკუტატები და სახელმოწვდომი შესყიდვები

2007 წლის 2 ივლისს ქუთაისის თვითმმართველობაში კონსტიტუციური

უსაფრთხოების დეპარტამენტმა სპეციალისტი ჩაატარა და მერიის შენობიდან 27 ხელბორკილიანი „ჩინოვნიკი“ გამოიყვანა. მათ შორის საკრებულოს უმრავლესობის წევრი ზვიად მანდარია, რომელსაც ბრალი სხვა პირის მიერ განზრას დაამაჟულის წაქეზებაში დაედო. გამოძიებამ წარმოადგინა სატელევიზიო საუბრის ჩანაწერი მანდარიასა და სატენდერო კომისიის ერთ-ერთ წევრს შორის, რომლითაც დგინდებოდა ის ფაქტი, რომ საკრებულოს დეპუტატმა ზეგავლენა მოახდინა სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებაზე და ამ გზით მოიპოვა დედამისის ფირმამ 40 ათასლარიანი კონტრაქტი ქუთაისის თვითმმართველობისგან. ამ ფაქტის შემდეგ შეიცვალა ის, რომ მანდარია დაიჭირეს, მალე გაათავისუფლეს და საბოლოოდ საკრებულოდან განწვევას დააჯერეს. საკრებულოში კი დღემდე რჩებიან ადამიანები, რომლებიც პირდაპირ და ირბად მონანილებენ ბიზნეს კომპანიებში და უპრობლემოდ მოიპოვებენ საბიუჯეტო დაფინანსებას ამ კომპანიებისთვის.

ერთ-ერთი ასეთი კომპანია გახდავთ სს „იბერია 21“, რომლის ერთ-ერთი მფლობელი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრია საკრებულოს დეპუტატი, უმრავლესობის წევრი – ნესტორ (ბადრი) ფრუიძე.

„მე ვარ ამ ფირმის 60%-ის მფლობელი, უფრო სწორად ვაკონტროლებ 60%-ს, ყველა აქცია ჩემი არ არის“, – აცხადებს ბადრი ფრუიძე.

სს „იბერია 21“ მიმდინარე წელს ქუთაისის მერიის დაკვეთით რამდენიმე პროექტს ახორციელებს. მაგალითად, დახურული საცურაო აუზის მშენებლობისთვის ამ ფირმამ ერთ პირთან მოლაპარაკებით ბიუჯეტიდან 1 600 000 ლარი მიიღო. ასევე, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით და 760 000 ლარად აშენებს ეს კომპანია ქუთაისში ჩიგბურთის კორტებს. 440 000 ლარი სს „იბერია 21“-მა ტენდერის გზით მოიპოვა და ამ თანხით ტანგარჯოშის დარბაზს აშენებს. აღნიშნულ ფირმას სახელმწიფო დაკვეთები ქუთაისის ბიუჯეტის დაფინანსებით გასულ წლებშიც აქვს შესრულებული: 2009 წელს სს „იბერია 21“-მა ერთ პირთან მოლაპარაკებით სამი ხელშეკრულება გააფორმა ქუთაისის მერიასთან და საერთო ჯამში, 2 764

174 ლარი მიიღო; 2008 წელს კი – 480 000 ლარი.

„როდესაც საკრებულოში შემოდის რამე საკითხი ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, თქვენ ვერ ხარმოიდგნთ, როგორი ვნებათალელვა ახლავს ამ განხილვებს საკრებულოში, რადგან თითქმის არ არსებობს სფრო, რომლის ლობირება არ ხდებოდეს უმრავლესობის წევრების მიერ, ყველაზე რბილად რომ ვთქვათ, – აცხადებს საკრებულოს წევრი „რესპუბლიკური პარტიიდან“ ვიკა ნაკაშიძე.

„არა, ბატონი, რა ლობირებაზე საუბარი? დაბალი ფასებით მოიგო ჩემმა კომპანიამ და მოიპოვა ეს ხელშეკრულებები“, – აცხადებს ბადრი ფრუიძე.

დაბალ ფასებზე ამახვილებს ყურადღებას საკრებულოს კიდევ ერთი დეპუტატი ვლადიმერ (ნუერი) კვერნაძეც, როდესაც მას იმ ხელშეკრულებებზე ვეკითხებით, რომლებიც ქუთაისის მერიამ შპს „მეოხთან“ გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების მიზნით. სწორედ ნუერი კვერნაძის მიერაა დაფუძნებული წლების წინ შპს „მეოხი“. ის გახლდათ შპს „მეოხის“ 100%-იანი წილის მფლობელი, თუმცა 2010 წლის 27 იანვრიდან ამ ფირმის 100%-იანი წილის მფლობელი მისი მეუღლე ნანა კვერნაძეა. ნუერი კვერნაძე საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ჯერ კიდევ 2009 წლის 24 ივლისს დაინშნა და ამისთვის ის ხელფასსაც იღებს (700 ლარზე მეტი ხელფასის სახით+213 ლარი – დანამატის სახით ყოველთვიურად), თუმცა ამ ფაქტი მისთვის რატომდაც ხელი არ შეუშლია, რომ თან ბიზნეს-საქმიანობაც ენარმოებინა. შპს „მეოხმა“ 2010 წელს ერთ პირთან მოლაპარაკების გზით 129 478-ლარიანი კონტრაქტი მოიპოვა და ამ თანხით ქუთაისის მერიის შენობის მეოთხე სართულზე 25 ოთახი გაარმონდა. ნელსვე, აღნიშნულმა ფირმამ ქუთაისში ტერიტორიაზე არსებული ლვარსადენების მოვლა-პატრონობის მომსახურებისთვის გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა და შედეგად 11 000 ლარი მოიპოვა ქუთაისის ბიუჯეტიდან. შპს „მეოხის“ დირექტორის, აკაკი კუხალაშვილის თქმით, თითქმის მთლიანად სახელმწიფო შეკვეთებზეა დამოკიდებული: „ახლახან დავინიშებულ ჭის თავების წარმოება, რომ გავიტა-



კომპანიის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტიდან
სახელმწიფო დაკვეთების შესასრულებლად
მიღებული თანხები

ამავე კომპანიის მიერ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ შენირული თანხები სხვადასხვა არჩევნების წინ

2 000 000	შპს „დაბი“	20 000
1 700 218	შპს „დაბი“	40 000
80 000	სს „ხარო“	8 000
934 278	შპს „დატს“	100 000
5 100 000	სკ „თბილისი“	75 000
5 604 364	შპს „ნიუ ენერგი“	130 000

ეუროპის ადგილობრივი ბიუჯეტი



ნოთ თავისუფალ ბაზარზე“, – აცხადებს კუხალაშვილი. მისივე თქმით, შპს „მეოხი“, რომელსაც მხოლოდ 18 თანამშრომელი ჰყავს, მრავალპროფილიანი ფირმაა და, შესაბამისად, სახელმწიფო დაკვეთებს სხვადასხვა სფეროში იღებენ, როგორიცაა ელმორააგების ქსელის რებილიტაცია, მშენებლობა, სარემონტო სამუშაოები და ა.შ.

„რა კავშირი აქვს ჩემს საკრებულოში ყოფნასთან ამ ფირმის საქმიანობას, ვერ ვხვდება?! ამ ფირმას მანამდეც საკმაოდ დიდი სახელმწიფო დაკვეთები ჰქონდა, სანაც მე საკრებულოს წევრი გავხდებოდი. თანაც, ამ ფირმის მფლობელი აღარ ვარ, ჩემი მეუღლის არის ეს ფირმა“, – აცხადებს ნუკრი კვერნაძე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტის თამარ კორდაიას თქმით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულია, რომ დაუშვებელია, შესყიდვისას მასში მონაწილეობის მსურველმა ან/და მონაწილე პირმა შემსყიდველ ორგანიზაციას (მის სელმდვანელს, თანამშრომელს) ან სახელმწიფო მართვის სტრუქტურებს და მათ წარმომადგენლებს მიმართოს თხოვნით შუამდგომლობის შესახებ, ან მოახდინოს მათზე პირდაპირი ან ფარული ზეგავლე-

ნა ნებისმიერი გზით, რათა მოიპოვოს მისთვის ხელსაყრელი ხელშეკრულების დადგების უფლება.

„მართალია, ეს ძალიან ზოგადი დებულებაა, მაგრამ საუბარია პირდაპირ და ირიბ ზეგავლენაზე. ამ შემთხვევაში, საკრებულოს წევრს, რომელიც აკონტროლებს მერიას (გაკონტროლება კი ნიშნავს იმასაც, რომ ამონტებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებსაც), აქვს ფარული ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა, რომ თუნდაც მისი მეუღლის ფირმის სასარგებლოდ მოიპოვოს ხელშეკრულება“, – აცხადებს თამარ კორდაია.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქუთაისში 2010 წელს თითქმის ყველა მნიშვნელოვან პროექტს თბილისური კომპანიები ახორციელებენ საბიუჯეტო სახსრებით. გამონაკლისი მხოლოდ ეს ორი ფირმა (შპს „მეოხი“ და სს „ბერია 21“), ვისგანაც ქუთაისის მერიამ წელს სახელმწიფო შესყიდვა განახორციელდა.

„ჩვენ მრავალწლიანი გამოცდილება გვაქვს გზების რეაბილიტაციის კუ-

თხით, მაგრამ ვერც შარშან და ვერც წელს ვერც ერთ ტენდერში ვერ მოვიპოვეთ გამარჯვება. სამაგიეროდ, ისეთ ფირმებს გაამარჯვებინეს, რომლებსაც ამ კუთხით არანაირი გამოცდილება არ გააჩინათ“, – აცხადებს შპს „არადანის“ ხელმძღვანელი მამუკა თევდორაძე.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებისას, ქუთაისის მერიისთვის, გამოცდილებას რომ არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, თუ როგორ შეირჩა ქუთაისში პარლამენტის მშენებლობისთვის „დიდების მემორალის“ დემონტაჟის განმხორციელებული ფირმა. შპს „საქმილსადენშენს“ გასულ წელს ქუთაისის მერიამ ისე გაუფორმა 600-ათასლარიანი კონტრაქტი ძეგლის აფეთქების თაობაზე, რომ ამ ფირმას ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა. საბოლოო ჯამში კი, ძეგლის დემონტაჟა და აფეთქებას, რაშიც ქუთაისის მერიამ 470 280 ლარი გადაიხადა, ორი ადამიანი ემსხვერპლა. ─



ურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში.
ურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მსარდაჭერით.



ფოკუსი: ყირგიზეთი 2010

მოხიბი "სახაცხო ჩვილისა"

2010 წლის გაზაფხულზე ყირგიზეთი ისევ სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე დადგა.

ალექსანდრ მორგოლისი, სპეციალურად „ლიბერალისტვის“, ბიშკეკი 2010 წლის 9 აპრილი

8 აპრილს, დილით, ახალი „სახალხო რევოლუციის“ მეორე დღეს ბიშკეკმა ძალაგამოცლილმა გამოიღვია. დილის 6 საათსა და 15 წუთზე ფიქტური კომენდანტის საათი დასრულდა. ქუჩებში მუნიციპალური ტრანსპორტი არ ჩანდა. კანტიკუნტად ჩავლილი მიკროავტობუსები იმ მგზავრებს აგროვებდნენ, ვისთვისაც სულ ერთია ხელისუფლებისთვის ბრძოლა და კლანური გარჩევები. მგზავრებს შორის უმრავლესობა რუსულენოვანია, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები. საბჭოთა თაობა სამსახურში მიდის. სალონის კუთხეში მჯდომი ქალი უფროსს ურეკავდა და უხსნიდა, თუ რატომ აგვიანდებოდა.

წინა დღეს ყირგიზეთში მთავრობა ისევ რევოლუციით შეიცვალა. ფიქტური პრეზიდენტი კურმანბეკ ბაკიევი გაქცა და ქვეყანას დროებით მთავრობა მართავს. როზა ოტუნბაევამ თავი ყირგიზეთის ახალ მმართველად გამოაცხადა.

ბაკიევის ოპოზიცია სისხლიანი არეულობის შედეგად აღმოჩნდა ხელისუფლებაში. ოპოზიციის მხარდამჭერებისა და სამხედროების შეტაკე-

ბას ყირგიზეთში 100-მდე ადამიანს სიცოცხლე ემსხვერპლა, დაახლოებით 1500 კი დაიჭრა. 9 და 10 აპრილი ყირგიზეთში გლოვის დღედ გამოცხადდა.

ამ მდგომარეობამდე ბიშკეკი და ყირგიზეთის ქალაქები იპოზიციისა და ხელისუფლების დაპირისპირების შედეგად მივიდა. საპროტესტო გამოსვლები 2010 წლის 6 აპრილს დაიწყო.

7 აპრილს მომიტინგებს ბიშკეკში რეგიონების მოსახლეობა შეუერთდა. აქციის მონაწილეებმა გაერთიანებული ძალებით სამთავრობო შენობები დაიკავეს. ხელისუფლებამ კი მათ წინააღმდეგ ცეცხლის გახსნის ბრძანება გასცა, თუმცა მილიციამ ხალხის ნაკადის შეჩერება მაინც ვერ შეძლო.

გორკის ქუჩაზე ნგრევის კვალი მოჩანს. ჩამტვრეულია მაღაზიის მინები. გზაჯვარედინი შესაფუთი ქალადით, მანეკენებით, ფეხსაცმლის ყუთებით და ლუდის ბოთლებითაა მოფენილი. შენობების თავზე კვამლი ჩანს. გზას საგადასახადო ინსპექციის თითქმის უკე დამწვარ შენობამდე მიყვავართ. მას შემდეგ, რაც ბაკიევის ხელისუფლებამ თავი სამხრეთ რეგიონს -

ჯალალ-აბადს შეაფარა, ოპოზიციამ დროებითი მმართველობა გამოაცხადა. მილიცია მათ მხარეს გადავიდა; შეცვალეს გენერალური პროკურორი, დაითხოვეს პარლამენტი, გადაიბარეს პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტის ფუნქციები.

დროებითმა მთავრობამ ქვეყნის მართვა საკუთარ თავზე აიღო ნახევარი წლით, მომავალ არჩევნებამდე. ისინი უკე ბაკიევის კაბინეტში გეგმავენ საჭირო ქმედებებს იმ სახელმწიფო საკუთრების ბიუჯეტების დასაბრუნებლად, რომლებიც ბაკიევის ოჯახის წევრებმა ჩაიგდეს. როზა ოტუნბაევამ განაცხადა, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაწევს ელექტრო და სითბური ენერგიის ტარიფებს, ასევე საკვები პროდუქტების ფასებს შეამცირებს. დროებითი მთავრობის გენერალურმა პროკურატურამ ბაკიევის ოჯახის წევრების წინააღმდეგ საქმე აღძრა. იძებნებიან პრეზიდენტის ძმა უანიბეკ ბაკიევი (პრეზიდენტის დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი), შვილები - მაქსიმ (პრეზიდენტის ადმინისტრაციის საინგესტიციო სამსახურის ყოფილი უფროსი) და მარატ (ეროვნული



რევოლუცია ყირგიზეთში, ბიშექე, 6-8 აპრილი 2010

უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსი) ბაკიევები.

„არსებობს ჩვენებები, რომელთა საუჯდელზეც, მოქალაქებისთვის ცეცხლის გახსნა ამ ადამიანების ბრძანებით მოხდა, ამიტომ უნდა დაისაჯონ!“ – განაცხადა ყირგიზეთის ახალმა გენერალურმა პროკურორმა ბაიტემირ იბრაემა. თუმცა, როგორც დროებითი მთავრობის წევრებმა განაცხადეს, ბაკიევის ძმამ თავი სამხრეთის რეგიონს, ოშს შეაფარა, შვილებმა კი ქვეყანა დატოვეს.

ახალი ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა კენეშბეკ დუშბაევმა განაცხადა, რომ ბაკიევი ჯალალაბადში ერთ ადგილას არ ჩერდება. მის გარშემო ყოველთვის დაცვის 15-20 წევრია. „ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია მივიღოთ ზომები, მაგრამ ამ ნაბიჯს არ გადავდგამთ“, – ამბობს დუშბაევი.

დროებითმა მთავრობამ კურმანბეკ ბაკიევს გადადგომა მოსთხოვა. „სანაცვლოდ, მის პირად უსაფრთხოებას და ქვეყნის მშვიდობით დატოვებას ჩვენ უზრუნველვყოფთ“, – განაცხადა როზა აოტუნბაევამ. თუმცა ბაკიევმა, გადადგომის ნაცვლად, ოპოზიციას მოლაპრაკებებს დაწყება შესთავაზა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბიშექში დაბრუნების შემთხვევაში, მას მოკლავენ და შეტაკებების დროს დაღვრილ სისხლზე პასუხს აგებინებნ.

„მე ქვეყანაში უნდა დავრჩე და სამქალაქო ომს შევუშალო ხელი. ამის საფრთხეს ქვეყნის ჩრდილოეთ და

სამხრეთ ნაწილებს შორის დაპირისპირება ქმნის!“ – განაცხადა ბაკიევმა „ბიბისი“-სთან სატელეფონო საუბარში. მან მთელი პასუხისმგებლობა ოპოზიციას დააკისრა.

მიუხედავად იმისა, რომ ყირგიზეთში დროებითმა მთავრობამ სიტუაციის კონტროლი თავის თავზე აიღო, მდგომარეობა არ განმუხტულა. ქვეყანა

ორად გაიყო. ჩრდილოეთი ნაწილი, დედაქალაქი ბიშექე და 4 რეგიონი ახალმა „სახალხო რევოლუციამ“ მოიცვა. სამხრეთის სამი რეგიონი – ბატკენი, ოში და ჯალალ-აბადი ისევ ბაკიევის გავლენის ქვეშ დარჩა. ცენტრალური აზის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანა სამქალაქო ომის საფრთხის ნინაშე დადგა. □

ყიჩიბიზეთში ახალი ბაზის მომავალი ბანეომანი

<p>რევოლუციამ, რომელიც ყირგიზეთში პრეზიდენტის კურმანბეკ ბაკიევის გაუცევით დასრულდა, თავიდან დააყენა დღის წესრიგში რესუსტისა და ამერიკის დაპირისპირება ცენტრალური აზისათვის ბრძოლაში. დაპირისპირების მიზეზი ყირგიზეთში მდგრადი აღმოჩნდა, რომ ამერიკის ბაზის ყირგიზეთში არსებობის ვადები შემცირდეს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ დროებითმა მთავრობამ აღმოჩნდა, რომ „მანასი“ გასულ კონიგენტს ამარავებს. პოლიტიკოსების ის ჯავუფი, რომელმაც ყირგიზეთში აღმოჩნდა, რომ ამერიკულ ბაზაზე ყირგიზეთში ამარავებს. მოთხოვნით, „სატრანზიტო ტო ცენტრი“ დაარქესა) შემოსავლის კარგი წყარო მართვა, მოუთითებს, რომ „მანასის“ ბაზაზთან დაკავშირებული გეგმები, შესაძლებელია, შეცვალოს. ომურბეკ ტაკებაევმა, რომელიც ქვეყნის ახალ კონსტიტუციაზე მუშაობს,</p>	<p>სააგნიტო „რომელიც“ განუცადა: „თქვენ დანახუთ, რომ [წუსტში] არ დაუბალავთ სიხარული ბაკიევის წავლის გამო. ანუ ახლა იმის დღიდ ალბათობაა, რომ ამერიკის ბაზის ყირგიზეთში არსებობის ვადები შემცირდეს“. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ დროებითმა მთავრობამ აღმოჩნდა, რომ „მანასი“ გასულ კონიგენტს ამარავებს. წელში მანასის ბაზის ყირგიზეთში ამარავებს. მოთხოვნით, „სატრანზიტო ტო ცენტრი“ დაარქესა) შემოსავლის კარგი წყარო მართვა, მოუთითებს, რომ „მანასის“ ბაზაზთან დაკავშირებული გეგმები, შესაძლებელია, შეცვალოს. ომურბეკ ტაკებაევმა, რომელიც ქვეყნის ახალ კონსტიტუციაზე მუშაობს,</p>	<p>რომ „მანასი“ უნდა დაი-სუროს, რის შემდეგაც მან რესეპსიგნ 2 მილიონდ დოლარის კრედიტი მიიღო. თუმცა ამერიკელებმა ბაზის შესანარჩუნებლად ყირგიზეთის პრეზიდენტს ტერიტორიის არენდის გადასახადი 17 მილიონდან 60 მილიონმდე გაუზარდეს. ამ ხელშეკრულებას ვადა 2010 წლის ივლისში გადის. ესპერტების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ამერიკის ბაზა ყირგიზეთში ფუნქციონირებას განაგრძობს, რადგან ეს ერთადერთი მიზეზია, რომ ამერიკელებმა ამ ქვეყნის მიმართ ინტერესა შეინარჩუნონ. ამავე დროს ყირგიზეთის ახალ მთავრობას გაუჭირდება, უარი თქვას შემოსავლის ამ წყაროზ.</p>
---	--	--

შეუა აზიის ცენტრში მდებარე, ყოფილ საბჭოთა, პატარა სახელმწიფო – ყირგიზეთში 2010 წლის აპრილში კიდევ ერთხელ შეიცვალა მთავრობა. ახალი ხელისუფლების დროებითმა ხელმძღვანელმა როზა ოტუნბაევამ პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა: „რაც გნებავთ, ის უწოდეთ 2010 წლის აპრილის მოვლენებს – რევოლუცია ან სამოქალაქო მასების გამოსვლა“.

ქვეყანაში მომხდარი მოვლენების შეფასებისას ჯერ კიდევ ყველა ფრთხილობას. სახელმწიფოს ნომინალურად მოქმედმა ხელმძღვანელმა, რომელიც ბიშკეკიდან გაქცევის შემდეგ ქვეყნის სამხრეთში, თავის საგვარეულო სოფელში დაიმაღლა, ყირგიზეთში მოხდარ მოვლენებს შეიარაღებული გადატრიალება უწოდა.

თავად კურმანბეკ ბაკიევი ხელისუფლებაში ხუთი წინ მოვიდა „ტიტების რევოლუციის“ შედეგად, რომელიც საქართველოსა და უკრაინის რევოლუციების კვალდაკვალ მოხდა. მაშინ გადაყენებულმა პრეზიდენტმა ასკარ აკაევმაც მომხდარს გადატრიალება უწოდა და აშშ „ტიტების რევოლუციის“ დაფინანსებაში დაადანაშაულა. ამჯერად კი, ანალიტიკოსებისა და პოლიტიკური ძალების აზრით, ამ ყველაფერში მოსკოვის ხელი ურევია.

ოფიციალურმა მოსკოვმა სასწრაფოდ განაცხადა, რომ ის, რაც ყირგიზეთში ხდება, ყირგიზეთის საშინაო საქმეა, და რუსეთს ამ ყველაფერთან არავითარი საერთო არ აქვს. თუმცა, რუსეთის ხელისუფლებამ ერთ-ერთმა პირველმა გამოხატა ახალი დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერა. რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა ყირგიზეთის მოვლენების შეფასებისას განსაკუთრებულად აღნიშნა, რომ ყველაფერში დამნაშავეა პრეზიდენტი ბაკიევი, რომელმაც ქვეყანა თითქმის საოჯახო კომპანიად აქცია.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ორი წლის მანძილზე პრეზიდენტი ბაკიევი მკევთრად აკრიტიკებდა თავის წინამორბედ აკაევს ქვეყნის ოჯახური მართვის გამო, მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იგივე განმეორდა. პრეზიდენტ ბაკიევის უფროსი ვაჟი ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე გახდა.



ასკარ აკაევი

პოლიტიკური კრიზისის მიზანები

მოვლენის მოცოლი

სახელმწიფოს კლანური მართვა, ტარიფებისა და ფასების მკვეთრი ზრდა, კონსტიტუციის უგულებელყოფით პრეზიდენტის უფლებამოსილების მატება და კორუფცია გახდა იმ მღლელვარების მიზეზი, რამაც ყირგიზეთი ხელისუფლების შეცვლამდე მიიყვანა.

ალმაზ კალეტი, სპეციალურად „ლიბერალისტების“, ბიშკეკი

ფაქტობრივად, ის ქვეყნის ყველა ძალოვან სტრუქტურას აკონტროლებდა. უმცროსი ვაჟი, მაქსიმ ბაკიევი პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახალ, საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელობდა. მათ გარდა, მთავრობის სახლში ბაკიევების ოჯახის კიდევ 5 წევრი იყო.

მაქსიმ ბაკიევს ყირგიზული ბიზნესის რუს კარდინალს უწოდებდნენ. ყველა საგარეო ინვესტიცია მხოლოდ მის სააგენტოში აკუმულირდებოდა. პრაქტიკულად, პრეზიდენტის უმცროსი ვაჟის უწყებამ ქვეყნის ხელისუფლება შეცვალა და მას მხოლოდ ნომინალური ფუნქციები დაუტოვა. სააგენტოს მოკლე, მაგრამ

საეჭვო მუშაობის პერიოდში მომხდარი უკანონობის გახმაურების შიშით, ხელისუფლებამ დამოუკიდებელ რადიოსადგურ „აზატიკასა“ და ზოგიერთ დამოუკიდებელ გაზეთს მაუწყებლობა აუკრძალა.

ჰიდროენერგეტიკული და ენერგოგამანარილებელი კომპანიების გასხვის საეჭვო ტენდერების შედეგად ყირგიზეთში თბო და ელექტროენერგიის ტარიფები 10-15-ჯერ გაიზარდა. ამასთან, ბოლო ორი წლის მანძილზე, ზამთარში, ვითომდა ჰიდროელექტროსადგურებზე წყლის უმარისობის გამო, მთელ ქვეყანაში 12-15 საათით თიშავდნენ ელექტრობას. მარტიდან მოიმატა გაზის ტარიფმაც.



კურმანბეკ ბაკიევი



რობა მტკუნბაევა

ტარიფების ზრდამ საკვები პრო-დუქტებისა და ყველანაირი მომსახურების გაძვირება გამოიწვია, რაც მკვეთრად აისახა ქვეყნის თითქმის ყველა მოქალაქის ცხოვრების დონეზე. ამ ყველაფერს უკმაყოფილების მკვეთრი მატება მოჰყვა. წელს, ობერვალში ოპოზიციამ გადაწყვიტა, მოქალაქების უკმაყოფილებით ესარგებლა, და 2006-2007 წლის წარუმატებელი აქციებისთვის რევანში აეღო.

4 წლის წინ მასობრივი სამოქალაქო მდელოვარების დროს, როდესაც ხალხი პრეზიდენტ ბაკიევისთვის იმპირიუმის ითხოვდა, ხელისუფლებამ დაჭერებითა და დარბევით ოპოზიციის შეჩერება შეძლო.

ახლანდელი ოპოზიცია, რომელიც ხელისუფლებაში 7 აპრილს მოვიდა, ნამყვანი ოპოზიციური პარტიების ლიდერები არიან. ზოგიერთი მათგანი მანამდე ბაკიევის მთავრობის შემადგენლობაში იყო, მაგრამ, პოლიტიკური უთანხმოების გამო, ოპოზიციაში გადავიდნენ. ოპოზიციის მასობრივ გამოსვლებს სათავეში ედგა რომა ოტუნბაევა, რომელსაც ექსპრეზიდენტმა აკაევმა 2005 წელს რევოლუციის „ლოკომოტივი“ უწოდა. რომა ოტუნბაევა აკაევისა და ბაკიევის მთავრობებში საგარეო საქმეთა მინისტრად მუშაობდა, მაგრამ თითოეულ ამ პრეზიდენტთან პოლიტიკური უთანხმოების გამო, დატოვა ეს პოსტები. რომა ოტუნბაევა საბჭოთა დროში საბჭოთა კავშირის ელჩი იყო იუნესკო-ში.

ოპოზიციის ძირითადი მოთხოვნა
იყო, პრეზიდენტ ბაკიევის გაუქმებისა
და ძმების თანამდებობიდან მოხსნა,
ტარიფების შემცირება, ბოლო ტენდე-
რების შედეგების გაუქმება და კონს-
ტიტუციური რეფორმების ჩატარება.
ააამისოდ ოპოზიციამ ხელისუფლებას
ვადა 24 მარტამდე მისცა, ნინაალმდევ
შემთხვევაში კი, მთელ ქვეყანაში სა-
პროტესტო აქციების ჩატარებით დაი-
მუქრა.

କାଶୁର୍ବାଦ, ବେଳିସିଉପ୍ଲଟ୍ଟେବାମ ଜ୍ୟୁର୍ଜୁଲ-
ତ୍ରାଣୀ (ଆରାମଫ୍ଯୋର୍ମିକ୍ରାଇଲ୍ୟାର୍ଡ ସାବାଲ୍କୋ କର୍ଜେ-
ହା) ହିଆତାରା, ରନ୍ଧର୍ମେଲ୍ଟିଂଚ ଏରିକ ଏରତିକ
କରିବୁଥିବୁଲ୍ଲି ସାକିତ୍ଥୀ ଏବଂ ଗାନ୍ଧୁର୍ବାଦା-
ତ. ମାନାମଧ୍ୟ କେ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତିର୍ଦ୍ଦୁର୍ଭବମା ତାଵ୍ରି-
ତ ଅଫିନିକ୍ସିପ୍ରାକ୍ରିଓଲା ଏବଂ ଉପ୍ଲଟ୍ଟେବା-
ମିସିଲ୍ଲେବିଲ୍ସ ରେଫରମିନିର୍ଭେବିଲ୍ସ ମନ୍ଦର୍ମୁଖି-
ବାରାଦଗିନ୍ଦା. ଏମ ପର୍ଯ୍ୟନ୍ତିର୍ଦ୍ଦୁ ତାନାବ୍ରତାଦ,
ପର୍ଯ୍ୟନ୍ତିର୍ଦ୍ଦୁର୍ଭବିଲ୍ସ ଗାନ୍ଧାଦାଦଗମିଲ୍ସ ଶ୍ରେଷ୍ଠତତ୍ତ୍ଵ-
ବାଶି, ମତ୍ତେଲ୍ଲି କାଲାଉପ୍ଲଟ୍ଟେବା ସାବେଲ୍ମନ୍ତି-

■ მიუხედავად იმისა, რომ
პირველი ორი წლის მანძილზე
პრეზიდენტი ბაკიევი
მკვეთრად აკრიტიკებდა თავის
ნინამობებედ აკაევს ქვეყნის
ოჯახური მართვის გამო, მისი
ხელისუფლებაში მოსვლის
შემდეგ იგივე განმეორდა.

ଓৰ ৱাৰ্ষিকৰ গুড়াৰেছৰমা, রোমেলমাত্ৰ, ক্যেৰেন্সিৰ কৰ্মসূচিৰুচিৰ দারলণ্ডেওয়াত, সাৰ্বেলন্ডিওফৰ আৰালি মেতাৰুণি উন্নদা দানৰ্শনৰে। অগুলোৰুণ্ডৰিও অন্দালিকৃতকু-
ৃষ্ণৰ আঠৰিত, অঘৰাৰাৎ মৰ্হা অগুলোৰুণ্ডা
নীৱাঙ্গি কৰণীসুজুল্লেখৰাশি পৰ্যবেক্ষণ-
ত্বৰ পুঁজিৰোৱা গুণীস মৰাসবলৈলাৎ।

სახელმწიფოს მართვაში ოჯახურობა, ტარიფებისა და ფასების მკვეთრი ზრდა, კონსტიტუციის უგულებელყოფით პრეზიდენტის უფლებამოსილების მატება, კორუფციის ზრდა და მეზობელ ქვეყნებთან დაძაბული ურთიერთობა – სწორედ ეს გახდა იმ მღელვარების მიზეზი, რამაც ყირგიზეთი ხელისუფლების შეცვლამდე მიიყვანა. 2005 წლის მოვლენებისგან განსხვავებით, ამჯერად ხელისუფლება უფრო სისხლიანად შეიცვალა. ასამდე დალუპული და 400-ზე მეტი დაჭრილი. ყირგიზეთი მღელვარებით ელოდება გარდაქმნას, რომელიც ჯერ კიდევ ბუნდოვანია. **█**

ფინანსი ამისშინა

ტელეამნისტრია ქვეყნის ბიუჯეტს დაახლოებით 36 მილიონი ლარი დაუჯდება.

დავალიანების მქონე ტელეკომპანიების ვინაობას მთავრობა არ ამხელს.

ანიტა თვაური



ფოტო ლეიტონ ბერებეგაძი

„ჩვენ გვაქვს უფლება, ვიცოდეთ, რა ოდენობის თანხა უნდა ჩამოაწეროს სახელმწიფომ კონკრეტულ მაუწყებელს“, – ამ სათაუროთ, ახალგაზრდა ორისტთა ასოციაციამ ტელეამნისტრის შესახებ კანონზე დასკვნა გამოაქვეყნა. ტელეკომპანიების ფინანსური ამნისტრის შესახებ ორი კანონპროექტი ჯერ საპარლამენტო კომიტეტში არ განუხილავთ, თუმცა მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტი ბევრ კითხვას და შენიშვნას აჩენს. დოკუმენტს თან ახლავს განმარტებითი ბარათი, რომელშიც მითითებულია, რომ ამ ღონისძიების შედეგად ბიუჯეტის საშემოსავლო წაწლილი დაახლოებით 36 ლარით მცირდება. სწორედ ამ ოდენობის ვალი ჩამოეწერება ქვეყანაში მაუწყებელ 50-მდე ტელევიზიას.

თანხის სიდიდის მიუხედავად, ხელი-სუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იმ ტელეკომპანიების ვინაობას, რომელთაც სახელმწიფოს წინაშე ვალი დაუგროვდათ, ვერ დაასახელებენ. ჩინონები დასტურად საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლს იშველიერენ და აცხადებენ, რომ კონკრეტული არხების კომერციული საიდუმლოების გაცემის უფლება არ აქვთ.

„მესმის, რომ თქვენ გსურთ, გაიგოთ ინფორმაცია ამ ტელეკომპანიების შესახებ, მაგრამ ამ სურვილის გამო, ჩვენ კანონის ფარგლებს ვერ გავცდებით. საზოგადოებრივი ინტერესი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ კომერციული საიდუმლოება გავამჟღავნოთ“, – ამბობს პარლამენტის იურიდიული კომიტე-

ტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი.

თუმცა, სულ რაღაც ერთი წლის წინ ხელისუფლებამ თავისსავე არგუმენტს დაუბრულებლად „გადაბიჯა“. 2009 წლის 29 აპრილს მთავრობა 4 ორგანიზაციას ვალების რესტრუქტურიზაციაზე დათანხმდა. მაშინ ტელეკომპანია „გურიას“, ქუთაისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრს, ბათუმის გემთსაშენ ქარხანას და ტელე-რადიო კომპანია „თრიალეთს“ დაგროვლი ვალები რამდენიმე წელზე გადაუნანილეს. ამ განკარგულების გამოქვეყნებისას კი საჯარო გახადეს, როგორც კომპანიების სახელწილები, ისე მათი ვალები და ამ ინფორმაციის კანონიერად გასაიდუმლობა აზრადაც არ მოსვლიათ.

პავლე კუბლაშვილი დღეს ამ ფაქტს

იმით ხსნის, რომ ამ კომპანიებმა ინფორმაცია საკუთარი დავალიანებების შესახებ თავად წარმოადგინეს და ინფორმაციის გაცემის შესახებ თანხმობაც თავად განაცხადეს. თუმცა, ოურისტი გიორგი ბურჯაანაძე განმარტავს, რომ თუკი კანონიერებაზე მიდგება საქმე, კომპანიის თანხმობაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მისი კომერციული საიდუმლოების გამუდავნების უფლება აქვს. „ეს სახელმწიფოს მესაკუთრის თანხმობის შემთხვევაშიც კი ეკრძალება“, – დასხენს ბურჯაანაძე და აცხადებს, რომ ახლა, დაგემილი ტელეკამინისტრის შემთხვევებში, 122-ე მუხლით მანიპულირება არასწორია. რეგიონული და ნაციონალური ტელემაუწყებლების ვალების გაქვითვა ბიუჯეტს იმხელა თანხას აკლებს, რომ აუკლებელია, ინფორმაცია საჯარო გახდეს.

საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლი, რამდენიმე წელია, მართლაც იქცა კერძო კომპანიების კომერციული ინტერესების დაცვის მექანიზმად. ეს მუხლი კომპანიებისთვის გახდა თუნდაც იმის გარანტი, რომ მათ შესახებ ინფორმაციას კონკურენტი კომპანიები ბოროტად არ გამოიყენებენ. ამნისტიის შესახებ ინფორმაციის დაფარვის მიზნით, დღეს ამ მექანიზმს მთავრობასთან ერთად ნაციონალური მაუწყებლებიც იყენებენ. თუკი რეგიონული ტელევიზიები, საკუთარი სურვილით, დიად ასახელებენ სახელმწიფოს წინაშე დაგროვილი ვალების ოდენობას, ნაციონალური მაუწყებლების აპსოლუტური უმრავლესობა ვალების დასახელებისგან თავს იკავებს. „რესთავი 2“-სა და „იმედში“ აცხადებენ, რომ ეს მათი კომერციული საიდუმლოებაა და ვალების არსებობას არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. ვალების შესახებ „ლიბერალთან“ საუბარს თავს არიდებენ ტელეკომპანია „საქართველოში“, „რეალ-ტუ“-ში, საპატრიარქოს ტელევიზია „ივერიაში“, „პირველ სტერეოსა“ და „მზეში“. მხოლოდ ყოფილ „ალანიაში“ (დღევანდელი „რეგიონ-ტუ“) აცხადებენ დიად, რომ დავალიანება არ აქვთ. საზოგადოებრივ მაუწყებლებები ინფორმაციის დაფარვისას კი ფინანსთა სამინისტროში ისევ 122-ე მუხლით გათვალისწინებულ კონფიდენციალურობას იმიზეზებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ არს გამჭვირვალე ხარჯთალრიცხვას კანონი აცხლებულებს.

მედიასამართლის სპეციალისტი ნინო ცუხმიშვილი განმარტავს, რომ მართალია, საგადასახადო კოდექსის 122-ე მუხლი ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციაზე უარის თქმის საშუალებას აძლევს, მაგრამ ეს მუხლი წინააღმდეგობაში მოდის ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსთან და საქართველოს მაუწყებლობის შესახებ კანონთან, რომლის მიხედვითაც, საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსები ლია ინფორმაციაა. ცუხმიშვილი მიიჩნევს, რომ ფინანსთა სამინისტროს მთლიანი კანონმდებლობა უნდა გაეთვალისწინებინა და არ უნდა დაყრდნობოდა ერთ კანონს.

ნაციონალური არხების მოტივიც – დაიცვან საკუთარი კომერციული საიდუმლოება, ამ შემთხვევაში ხელოვნურია. ახალგაზრდა იურისტთა ასლციაციაში მიიჩნევენ, რომ რადგან კერძო კომპანიების სახელმწიფო ვალებს პატიობს, ამ ინფორმაციის გამუდავნებამ შეუძლებელია, ზიანი მიაყენოს მათ კომერციულ ინტერესებს.

36-მილიონიანი ამნისტიის გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ წინა პლაზე, კომპანიების ინტერესებზე მეტად, მოქალაქეების უფლებები ინაცვლებს. „ეს 36 მილიონი ლარი ბიუჯეტის საშემოსავლო ნანილს აკლდება. ბიუჯეტი კი არის საჯარო დოკუმენტი, და მე, როგორც მოქალაქემ, უნდა ვიცოდე, სად მიდის ჩემი გადასახადები“, – ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასლციაციის ხელმძღვანელი თამარ ხიდაშელი და დასხენს, რომ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ ტელეკომპანიას რა დავალიანება აპატია სახელმწიფომ, ლია უნდა იყოს.

„მოქალაქეს შეუძლია, ეჭვევეშ დააყენოს დასახელებული 36 მილიონი ლარის წარმოშობა. რა გარანტია გვაქს, რომ ეს თანხა არ არის, ვთქვათ, 30 მილიონი, ხოლო დანარჩენ 6 მილიონ ლარს სახელმწიფო თვითნებურად არ განკარგავს? ვერავინ ვერ მოგვცემს ამის გარანტიას, თუ ტელევიზიების დავალიანებების შესახებ ინფორმაცია არ იქნება საჯარო“, – ამბობს გიორგი ბურჯაანაძე.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამნისტია ტელეკომპანიების ფინანსური პრობლემების მიგვარების საკუთრესა გზა არ არის, მაგრამ ამ გადაწყეტილების მიღების აუცილებლობას შექმნილი ვითარებით ხსნიან. „ტელეკომპანიები ან დაიხურე-

ბიან, ან უნდა ვაპატიოთ ეს ვალი. ჩვენ არჩევანი მედიის სასარგებლოდ გავაკეთეთ“, – ამბობს პავლე კუბლაშვილი.

ტელეკომპანიებით მცირეთანხებს მოცავდა, თუკი ვალებს მხოლოდ რეგიონულ მაუწყებლებს ჩამონერდნენ, რადგან 17 რეგიონულ ტელევიზიას საგადასახადო ვალი საერთოდ არ აქვს, რვა რეგიონული ტელეკომპანიის საერთო დაგალიანება კი ორ მილიონს არ აღემატება. აქედან ჩანს, რომ დაგალიანების უდიდესი ნანილი ნაციონალურ მედიაზე მოდის. პავლე კუბლაშვილი ამბობს, რომ პრეზიდენტმა ნაციონალური ტელეკომპანიების დავალიანების შესახებ კანონის არაფერი იცოდა და ეს მხოლოდ მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც ფინანსთა სამინისტრომ ტელეკომპანიების დაგალიანებების შესწავლა დაიწყო. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ საპარლამენტო ანგარიშში ნაციონალური მაუწყებლები პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის შემდეგ, მეორე დღესვე „ჩაემატა“.

მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ კანონ-პროექტში საერთო ფინანსური ვალის დაახლოებით მდენობად 36 მილიონი ლარია დასახელებული, პარლამენტი პარლამენტში გუბლაშვილი აცხადებს, რომ ეს მონაცემები დასახუსტებელია.

ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის, თუა ბეგიაშვილის ინფორმაციით, სამინისტრომ ტელეკომპანიების დაგალიანებები მათი საგადასახადო ბარათების შეჯამებით გამოითვალი. ეს ბარათები ფინანსთა სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაში ინახება და მისი გახსნის უფლება მხოლოდ თავად კომპანიას და სამინისტროს აქვთ.

„ლიბერალის“ კითხვაზე, დაეზუსტებინათ საგადასახადო ამნისტიით გათვალისწინებული თანხა, ფინანსთა სამინისტროდან აფიციალურ სისტემაში ინახება და მისი გახსნის უფლება მხოლოდ თავად კომპანიას და სამინისტროს აქვთ. „ლიბერალის“ კითხვაზე, დაეზუსტებინათ საგადასახადო ამნისტიით გათვალისწინებული თანხა, ფინანსთა სამინისტროდან აფიციალურ სისტემაში ინახება და მისი გარანტიას გარანტიას დასახელებული არ განკარგავს? ვერავინ ვერ მოგვცემს ამის გარანტიას, თუ ტელევიზიების დავალიანებების შესახებ ინფორმაცია არ იქნება საჯარო“, – ამბობს გიორგი ბურჯაანაძე.

ხელისუფლების ბუნდოვანი პასუხები და კერძო ნაციონალური მაუწყებლების ფუმილი საზოგადოებას შესაძლებლობას ართმევს, განსაზღვროს, კონკრეტულად რა მიზნით და რამდენად კანონიერად ნარიმართება საგადასახადო ამნისტიის პროცესი. ■

N1 სახელმწიფო უნივერსიტეტი

წინასაარჩევნო კამპანია, უკვე ერთი კვირაა, ოფიციალურად დაიწყო. უურნალი „ლიბერალი“ კამპანიის დასრულებამდე, თითქმის ორი თვის განმავლობაში დააკვირდება საღამოს საინფორმაციო გამოშვებებს.

რუსულან რუსაძე



ფოტო: ილია სარავალაძე

მიხეილ სააკაშვილი და გიგი უგულავა გმირთა მოედანზე შეენებარე ესტაკადის დათვალიერებისას, თბილისი, 9 აპრილი 2010

ხუთი არხის („რუსთავი 2“, „იმედი“, „კავკასია“, „მაესტრო“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“) მთავარი ახალი ამბების ანალიზი საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ, რაზეა ფოკუსირებული მედია – კანდიდატთა პროგრამებზე, თუ მათ წინასაარჩევნო სტრატეგიაზე, მერობის რომელ კანდიდატს რა დრო ეთმობა, რა თემებს წამოწევენ წინ

მაუწყებლები, და რა წყაროებს ეყრდნობიან ახალი ამბის გადაცემისას.

ძველი ექსპერიმენტია, იელის უნივერსიტეტის მევლევრებმა ერთი და იგივე საინფორმაციო გამოშვების ვიდეოჩანანერში ახალი ამბების მიმდევრობა გადაანაცვლეს. სამ ჯეუფს სამი სხვადასხვა გამოშვება ანახეს, სხვადასხვა პირველი სიუჟეტით. საინფორ-

მაციო გამოშვების ნახვის შემდეგ კი ექსპერიმენტის მონაწილეებმა მნიშვნელოვანი საკითხები იმ მიმდევრობით ჩამოწერეს, როგორც ეს მათ მიერ ნანახ საინფორმაციო გამოშვებაში იყო. ექსპერიმენტმა დაადასტურა მედიის უნარი, განსაზღვროს იმ ამბების რიგითობა, რომლის მიხედვითაც საზოგადოება ახალ ამბებს ანიჭებს მნიშვნელობას.

წინასაარჩევნო პერიოდის ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ საინფორმაციო გამოშვებების პირველი ბლოკებიდან გაქრა გიგი უგულავა, რომელსაც IRI-ს რეიტინგების მიხედვით, მერობის კანდიდატთა რეიტინგში 46 პროცენტი აქვს.

ახლანდელი მერი, რომელსაც მმართველი პარტია კვლავ დაასახელებს მერობის კანდიდატად, წინა კვირის მთავარ ახალ ამბებში უკვე აღარ ჩნდება. და ეს მაშინ, როცა „იმედის“ და „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებების პირველ ბლოკში აქამდე გიგი უგულავას ერთადერთი „კონკურენტი“ მხოლოდ ქვეყნის კრიმინალური ქრონიკა იყო.

თუმცა, გიგი უგულავს პირველი ბლოკებიდან გაქრობა მაინც მოჩვენებითია. არ აქვს მნიშვნელობა, რა თემაზეა საინფორმაციოს პირველ ბლოკში გასული სიუჟეტი, უგულავა №1 ტელეამბავში მაინც „მონაწილეობს“.

ავტოქარხნის ტერიტორიაზე მომხდარი ავადკატასტროფა 6 აპრილის „ქრინიკის“ და „კურიერის“ პირველი ახალი ამბავი იყო. „რუსთავი 2“-ზე სიუჟეტის წარდგენისას წამყვანმა აღნიშნა, რომ შემთხვევის ადგილზე ქალაქის მერიც მივიდა. „იმედზე“ კი პირველი ადამიანი, რომელიც დამწვარი თვითმფრინავის კადრს მერე გამოჩნდა, გიგი უგულა-

ვა იყო. 20 წამის განმავლობაში კადრი უცვლელი იყო – მერი და მერის საგანგებო სამსახურის უფროსი ინციდენტის ადგილზე მომხდარის დეტალებს ეცნობოდნენ. სატელევიზიო სიუჟეტის სტრუქტურაში საშუალოდ ამდენივეა კომენტარის ქრონომეტრაჟიც. მართალია, გიგი უგულავას ავიაკატასტროფის შესახებ გასულ არც ერთ სიუჟეტში კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ მისი „საქმე ლაპარაკის ნაცვლად“, არა-ნაკლებ მეტყველი იყო.

მით უფრო, რომ საინფორმაციო გამოშვებათა მეორე და მესამე ბლოკებში ქალაქის მერი უკვე საკუთარ აზრსაც აფიქსირებს. რაზეც უნდა იყოს სიუჟეტი – მერის შეამდგომლობით კომპანია „ჯორჯიან ბეიქერის სოფი“ იაფი კრედიტის გაცემაზე, თუ ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმზე, მერის გზავნილი ერთი და იგივეა: „მეტს დავასაქმებთ“ და „კიდევ ბევრია გასაკეთებული“. ორივე ფრაზა უგულავას პერსპექტივაში დაანახვის საშუალებას აძლევს მაყურებელს. მაშინ როდესაც მერობის სხვა კანდიდატები ჯერ კიდევ ერთმანეთთან პარტნერებს, გამარჯვების მოპოვების სტრატეგიაზე კამათობენ, უგულავა მუშაობს – ყველა კადრი, რომელშიც იყო ჩანს, მხოლოდ მის სამუშაო პროცესს ასახავს.

გიგი უგულავა „სამუშაო ამბლუაში“ იყო 9 აპრილის „ქრონიკის“, „კურიერისა“ და „მოაბის“ მეორე ბლოკებში გასულ ვრცელ სიუჟეტებშიც, რომლებიც რიყებზე მშვიდობის სიდის გახსნასა და გმირთა მოედანზე მშენებარე ესტადის დათვალიერებას ეძღვნებოდა.

მიხედვითაც თბილისში, ესტადის გასწორივ, ნიუ იორკის ცენტრალური პარკის ტიპის გამნვანებული ტერიტორია შეიქმნება.

ნაციონალურ არხებზე პირველ ბლოკში ხვდება ყველა სხვა:

ზურაბ ნოლაიდელი, საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარე გასვლებით რეგიონებში და „რუსული ფულით“;

ნოლაიდელის გუნდთან მიერთების მოსურნე კახი კალაძე, „კალა-კაპიტალის“ ბიზნესის ჩავარდნით და ავტოგოლების კადრების ფონზე ნანინანარმეტყველები კარიერის დასასრულით (მეორე დღეს კი ფეხბურთელი „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებაში ითხოვდა „რუსთავისგან“ და „იმედისაგან“ სრულად გაეშვათ მასთან სატელფონო ინტერვიუ, რათა მაყურებელს სრული წარმოდგენა შექმნდა მის პოზიციასა და გეგმებზე);

ნიკა ივანიშვილი, რომელმაც ოპოზიციას „ცხვრიში“ უწოდა, „ქრონიკის“ ანონსში კი ეს ტერმინი გადაცემის პროდიუსერებმა კიდევ უფრო დახვეწეს და ოპოზიციას „პოლიტცხვრები“ დაარკვეს;

ქართლოს ლარიბაშვილი მნიშვნელოვანი გზავნილით, რომ ქვეყნის პირველი პირობისკენ გზა მერობაზე გადის;

გია მაისაშვილი უარით მერობის კანდიდატობაზე და ხელგაშლილი ცეკვისა და ვარჯიშის კადრების ფონზე;

და ბოლოს, ყველანი ერთად: ლევან გარეჩილაძე, ირაკლი ალასანია, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი, სოზარ სუბარი, ნინო ბურჯანაძე, კახა კუკავა, დავით გამყრელიძე. სიუჟეტები, რომ-

ველი არხი სთავაზობს მაყურებელს. „მოამბეში“ ძირითადად სოციალური ამბებია პირველ სიუჟეტებად, საარჩევნო თემებს ნინ უსწრებს მაგალითად C ჰეპატიტით დაავადებულთა მკურნალობაზე ვრცელი სიუჟეტი, მაშინ როცა „მოამბე“ დაახლოებით ერთი თვის ნინ ნომერ პირველ სიუჟეტად შესთავაზა მაყურებელს ამ თვაზე ვრცელი მასალა და ამ ამბავმა მაშინ „მოამბის“ ეთერში ლარსის სასაზღვრო პუნქტის თემაც კი დაჩრდილა. სამაგიროდ, „მოამბე“ კეირაში სამჯერ მიუძღვნის თვითმმართველობის არჩევნებს „მოამბე პლას“, რომელშიც მერობის კანდიდატებს მონვევენ. როგორც წამყანამა აღნიშნა, კანდიდატები შეეცდებიან, თავი მოაწონონ ამომრჩევლებს.

გარკვეული თემები წარმატებით გამოდგება იმის ინდიკატორად, რომელი არხი რა მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას ამ ორა თვის განმავლობაში. პრეზიდენტის და გიგი უგულავას ვაზიტი ქალაქის სამშენებლო ბიბეჭიტებზე, 9 აპრილს „რუსთავი 2“-სა და „იმედის“ დღის საინფორმაციო გამოშვებების მთავარ ამბად იქცა, „მაესტრომ“ და „კავასამა“ კი პრეზიდენტისა და მერის სეირნობას ქალაქში ერთ-ერთი უკანასკნელი სიუჟეტი მიუძღვნეს.

ვანო მერაბიშვილის ინტერვიუ „კომერსანტან“, სათაურით „ომი ჯერ არ დამთავრებულა“, „მაესტროს“ და „კავასამის“ ძირითადი ახალი ამბავი იყო 7 აპრილს. ნაციონალურმა ტელეარხებმა კი იგი მეორე ბლოკებში გადაიტანეს და თანაც განსხვავებული აქცენტებითა და ნაწყვეტებით.

■ გიგი უგულავას პირველი ბლოკიდან გაქრობა მაინც მოჩენებითა. არ აქვს მნიშვნელობა, რა თემაზეა საინფორმაციოს პირველ ბლოკში გასული სიუჟეტი, უგულავა №1 ტელეამბავში მაინც „მონაწილეობს“.

მერის გზავნილი იდენტური იყო, რომ ნებისმიერი ინფრასტრუქტურული სიახლე მეტ ინვესტიციას ნიშნავს, რაც მეტი თბილისელის დასაქმებას შეუწყობს ხელს. როგორც „ქრონიკის“ უურნალისტმა აღნიშნა, ქალაქის დათვალიერების შემდეგ გიგი უგულავამ პრეზიდენტისგან შეეხებაც დაიმსახურა. პრეზიდენტმა ქალაქის მერს მართლაც მოუწონა „ბრწყინვალე იდეა“, რომლის

ლებიც ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის გამოვლენას ეხება დაახლოებით 10-დან 15-მდე კომენტარს შეიცავს. იქმნება ილუზია, რომ უურნალისტები ყველა მხარის პოზიციას წარმოაჩენენ, რეალურად კი სრულიად წარმოუდგენელია, მაყურებელი სიუჟეტში გადმოცემულ ამბავში გაერკვეს.

ახალი ამბების მიმდევრობაში ყველაზე განსხვავებულ სტრუქტურას პირ-

სამეფო ქორწინება რომ რუსული პროექტი იყო, და გიგი თარგამაც რომ რუსებს 50 000 დოლარს სთავაზობდა სტალინის ძეგლის აფეთქების სანაცვლოდ, მხოლოდ „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებაში მოხვდა.

ნოლაიდელის პასუხს მერაბიშვილის ამ ინტერვიუზე კი „ქრონიკამ“ საარქივო მასალაც მიაშველა მისი პერსონალური უკეთ „გასასხველად“: „მალე სააკვი-

ლისა და მერაბიშვილის ნეკროლოგებს წაიყითხავთ", „ფეხებს მივამტვრევთ" და „სიცოცხლის ფასად დაუჯდებათ", – იმუქრებოდა ნოლაიდელი „ქრონიკის" საარქივო მასალაში.

„თემა-ინდიკატორი" იყო სიუჟეტებიც სტამბა „თბილისელების" წინ გამართული აქციის შესახებ. შპს 2002 წელს დაფუძნდა და მისი შემოწმება პირველად 25 მარტს გადაწყვიტა ფინანსთა სამინისტრომ. ამბავი ყველა არხის საინფორმაციო გამოშვებათა მთავარ ბლოკში მოხვდა, თუმცა „მასტროსა" და „კავკასიაზე" სიუჟეტის ძირითადი ღერძი სტამბის დალუქება იყო აქციის მონაწილეთა დაკვების ვრცელი კადრებით. ნაციონალურ მაუწყებლებზე კი სიუჟეტები პოლიციასა და აქციის მონაწილეთა შეხლა-შემოხლის კადრებითა და ოპოზიციის წევრთა მუქარის ფრაზებით დაიწყო: „ბიშკეკი მოგენატრებათ", „საქართველოში რევოლუციის სუნი მცემს". მხოლოდ სიუჟეტების მეორე ნაწილში იყო გადმოცემული, რამ გამოიწვია ოპოზიციის წევრთა უკამაყოფილება და რას აპროტესტებდნენ აქციის მონაწილეები ქუჩის გადაკეტვით.

სტამბის დახურვაა მთავარი ამბავი, თუ ოპოზიციონერ პოლიტიკოსთა მუქარები? – სიუჟეტის ძირითადი თემისა და ფონის გადანაცვლებით, არხები თავიანთი პოლიტიკური ლიიალობის დემონსტრირებას ახერხებდნ.

კადრში გამოჩენის რაოდენობა არ ნიშნავს ხარისხს. საინფორმაციო გამოშვებათა მთავარ ახალი ამშებში ოპოზიციის სახეების ასე უხვად და ნეგატიურ კონტექსტში გამოჩენა კი, მეორე და მესამე ბლოკებში გადამალული გიგი უგულავას სასარგებლოდ მუშაობს.

P.S. გასული კვირის მედიამონიტორინგის სტატისტიკა იხილეთ უურნალის ვებგვერდზე ყოველ სამშაბათს. ■



სტატია მომზადებულია IFES, U.S. AGENCY FOR INTERNATIONAL DEVELOPMENT-ის ფინანსური მხარდაჭერით.

რელიგია და პოლიტიკა

ნინება უცხი, ხობოს პირა-ტენისობრივი

ნინასაარჩევნო რელიგიურობის პრაქტიკა მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ეკლესია პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმაციის წყარო იქნება.

მარიკა ქოჩიაშვილი

„იერუსალიმიდან ჩამოგვიტანეს ღვთაებრივი ცეცხლი, ქრისტე აღდგა, ქრისტე აღდგა, ქრისტე აღდგა!" – მიესალმა ილია II სამებაში აღდგომის შესახვედრად მისულ ათასობით ადამიანს და საკურთხევლისკენ შებრუნდა. ბოლომდე მიბრუნებული არც იყო, რომ არქიდიაკონმა დემეტრემ შეახერა და ყურში რაღაც ჩასრუჩეულა. პატრიარქი მრევლისკენ შემობრუნდა, სტიქაროსანმა მიკროფონი ისევ ახლოს მიუტანა. „წმინდა ცეცხლი ჩამოიტანა ვიცე-მერმა მამუკა ახვლედიანმა“, – თქვა პატრიარქმა გამორჩენილი ფრაზა და საკურთხეველში შევიდა. უწმინდესის ეს სიტყვები მილიონობით ქართველმა გაიგო, რომელიც იმ ღამეს სადღესასწაულო წირვას პირდაპირ ეთერში ადვენტიდა თვალს.

სასულიერო სემინარის ყოფილი სტუდენტი, ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის ცერემონიალს პირველად არ დასწრებია. თუმცა, წელს ეს რიტუალი მას არა მხოლოდ სულიერ გაძლიერებაში, არამედ პოლიტიკურ წინავლაშიც დაეხმარება. წინასაარჩევნო კამპანია დაწებულია. მამუკა ახვლედიანი 30 მაისს მთაწმინდის მაჟორიტარად იყრის კენჭს.

„ეს წინასაარჩევნო რელიგიურობის დემონსტრირება, – აცხადებს ომბუდსმენის აპარატის ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი ბექა მინდიაშვილი, – საქართველოში პოლიტიკოსებისთვის საპატრიარქოს ლიიალობის მოპოვება აღდგომის ცეცხლივითაა. ერთი მხრივ, ეს არის მისტიფიკაცია,

ანუ გულწრფელი ამ დისპოზიციაში არავინაა, მეორე მხრივ კი – პოლიტიკური ექსკულუზიურობის ბეჭედი“.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს ბეჭედი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელში აღმოჩნდა. 2008 წელს, აღდგომის ღამეს, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, აეროპორტში მისულ უურნალისტებს წმინდა მინიდან წმინდა ცეცხლით დაბრუნებული ღამაში ჟვანია შეეგება. ჟვანია 21 მაისის არჩევნებში ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდა კენჭს. ის-რაელში საქართველოს ყოფილი ელჩი სამშობლოში აღდგომამდე ცოტა ხნით ადრე აქტიურ პოლიტიკაში ჩართვის ამბიციით დაბრუნდა.

„ამ საკითხს მორიდებულად და ფაქტზე ვუდგები. ხაზი რომ გავუსვა იმას, რომ ცეცხლი მე ჩამოვიტანე, დაევალოს ვასები იმ ვირს, რომელზედაც მაცხოვარი იერუსალიმში შესვლისას იჯდა. წარმოიდგინეთ, ამ ვირს რომ ჰერონებოდა, რომ მთელი იერუსალიმის მოსახლეობა მას უგებდა ბზის ტოტებს ჟექვეშ“. „

იმ წელს სააღდგომო წირვის დაწყებისას პატრიარქმა მას ცეცხლის ჩამოტანისთვის საჯაროდ გადაუხადა მაღლობა.

ბექა მინდიაშვილი მიიჩნევს, რომ მართლმადიდებლობა პოლიტიკური პიარკამპანიის წანილია იმ დღიდან, როცა დამოუკიდებელ საქართველოში პირველი არჩევნები ჩატარდა. „უკვე მეოცე წელია, ხელისუფლებაც და



წმინდა ცეკვლი იერუსალიმიდან თბილისის ეკვე-მერია მამუკა ახვლედაშვილისა ჩამოიტანა, 4 აპრილი 2010

ოპოზიციაც ერთმანეთს ეკლესიისადმი კეთილგანწყობის ჩვენებაში ეჯიბრებიან. ეს მნიშვნელოვანია პოლიტიკური აქტორებისთვის, ვინაიდან საპატიოარქოს მინიჭებული აქვს ხელისუფლების თუ ოპოზიციის აქტივობების ღეგიტიმატორის ფუნქცია".

"რასაკვირველია, ამ რიტუალში პოლიტიკოსის ჩართვა წინასაარჩევნო პიარია, მაგრამ მიმართა, რომ აბსოლუტურად მისაღები ხერხია. ეს მამუკა ახვლედიანის მოგონილი არ არის და ამან ხელი შეუწყო ლაშა ჟვანიას პოლიტიკურ კარიერასაც. მრევლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ახლოს იქნები ეკლესიასთან", – ამბობს „სოციალისტური პარტიის" ყოფილი ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი. შევარდნაძის ეპოქის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, 2003 წლის აღდგომის დამისახურის ბიზნესმენ მამუკა ჯანქარაძესთან ერთად კერძო თვითმფრინავი იქირავა იმისთვის, რომ საქართველოში წმინდა ცეკვლი აღდგომის ღმესვე ჩამოეტანათ.

იმ წელს, წოემბრის საპარლამენტო არჩევნებში რჩეულიშვილის „სოციალისტური პარტია" გამარჯვებისთვის იძრმდა. რჩეულიშვილი აცხადებს, რომ წმინდა ცეკვლის ჩამოტანა წინასაარმოვის პიარ-ტექნოლოგია არ

ყოფილა, მაგრამ იმასაც აღიარებს, რომ რეიტინგის გაზრდაში დაეხმარა. „ბევრ ადამიანს არ ვუყვარდი და ისინი ამის შემდეგ ჩემ მიმართ უფრო ლოიალურები გახდნენ. გაუკვირდათ კიდეც ჩემი ამ ამპლუაში დანახვა".

თეოლოგ კახა კურტანიძეს მედავითნე მამუკა ახვლედიანი საბერძნებოში შაბათობით წირვის ქართულ ენაზე ჩატარებაში ეხმარებოდა.

„მამუკა ჩემი მეგობარია და დარწმუნებული ვარ, მისი დამოკიდებულება წმინდა ცეკვლის მიმართ არ არის მხოლოდ გამოყენებითი. ამ შემთხვევაში ეს აღბათ იყო სასარგებლო და სასიამოვნო ერთად", – ამბობს იგი.

რამდენადაც მოსახლეობის 84 პროცენტი მართლმადიდებლად თვლის თავს და ეკლესიას ყველაზე ავტორიტეტულ ძალად მიიჩნევს, მსგავს რიტუალებში მონაწილეობა საზოგადოებაზე გავლენას ახდენს. პოლიტიკოსი ამით მოსახლეობის უმრავლესობას უჩვენებს, რომ მათ ფასეულობებს იზიარებს.

„არსად წერია, რომ პოლიტიკოსს წმინდა ცეკვლის ჩამოტანის უფლება არ აქვს. ეს არ არის მთავარი, მნიშვნელოვანი ისაა, რომ წმინდა ცეკვლი ჩამოგვიტანება", – ამბობს 27 წლის ახალგაზრდა, რომელიც სამების ტაძარში ხარების წირვას ესწრება. ■

■ „ეს წინასაარჩევნო

რელიგიურობის

დემონსტრირებაა,

პოლიტიკოსებისთვის

საპატრიორქოს ლოიალობის

მოპოვება აღდგომის

ცეკვლივითაა“.

ბექა მინდიაშვილი მიიჩნევს, რომ „წინასაარჩევნო რელიგიურობის პრაქტიკა“ მანამდე გაგრძელდება, ვიდრე ეკლესია სამოქალაქო ძალაუფლებისა და პოლიტიკური ქმედებების ლეგიტიმაციის წყარო იქნება, პოლიტიკოსები კი თავად არ იტყვიან უარს ღეგიტიმაციის ამ წყაროზე. „ამგვარი პოლიტიკური ნება ჯერჯერობით არც ერთ პოლიტიკურ ჯგუფს არ გამოუვლენია, და ეს არც მომავალშია მოსალოდნებლი – მოსახლეობის 84 პროცენტს პოლიტიკოსები საარჩევნო პერიოდში არასდროს დაუპირისპირდებიან. თუ ეს მოხდა, პოლიტიკოსებს იერუსალიმშიც აღარ მოუწევთ ცეკვლის ჩამოსატანად სიარული – ეს კი, სააღდგომო ცეკვლისგან განსხვავებით, ჩემთვის ნამდვილი სასწაული იქნება“, – აცხადებს მინდიაშვილი. ■

ბალობის ჩაინიები

„გალობის რაინდები“, ნანა ჯანელიძის ახალი ფილმი – ადამიანებზე, რომლებმაც საქართველოს 5 ათასზე მეტი საგალობელი შემოუნახეს.

ნინო ჩიმაკაძე



კადრი ფილმიდან „გალობის რაინდები“

წაშლილი ფრესკები, გადასახლე-ბული მღვდელმსახურები და აკრძალული ქართული საგალობლები – ეს ყველაფერი 1811 წელს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების თანმდევი მოვლენები იყო.

მივიწყებული ქართული საგალობლები მხოლოდ ოჯახებში, ან შედარებით მიუვალ ადგილზე მდებარე ეკლესიებში თუ ისმოდა. რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, მათი ნოტებზე გამართულად გადატანა ვერ მოხერხდა, რადგან საქართველოში ამ საქმის მცოდნები თითქმის არ მოიძებოდა.

შანსი მხოლოდ 1981 წელს გაჩნდა, მას შემდეგ, რაც საქართველოში იტალიური ოპერის სახელგანთქმული ვარსკვლავი და პირველი ქართველი პროფესიონალი საოპერო მომღერალი, ფილიმონ ქორიძე ჩამოვიდა. სწორედ ფილიმონ ქორიძის და მისი თანამოაზრისა და საქმის გამგრძელებლის, ექვთიმე კერესელიძის მოვლენაში, რომლის შემდეგ „გალობის რაინდების“ შემთხვევაში დაიკარგა.

კვირას კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართა.

იდეის და სცენარის ავტორია უურნალისტი და ანსამბლ „ქართული ხმების“ დამაარსებელი თემურ ჭკუასელი, რეჟისორი კი – ნანა ჯანელიძე. ფილმში პოეტი რატი ამაღლობელი ქართული საგალობლების და მათი ნოტებზე გადატანის ხიფათით და თავგადასავლებით სავსე ისტორიას გვიყვება და იმ ადგილებში მოგზაურობს, სადაც ფილიმონ ქორიძე და ექვთიმე კერესელიძე ცხოვრობდნენ და მოვლანეობდნენ.

„ძალიან საინტერესოა ზოგადად მე-19 საუკუნის საქართველო, ამ ეპოქაშ შექმნა საქართველოს ცნება უზარმაზარი წყვეტის შემდეგ; იმ პერიოდში მოღვაწე ადამიანებმა შექმნეს ჩვენი თანამედროვე მეობა, ამიტომ ვფიქრობ, დღეს საინტერესო უნდა იყოს საგანმანათლებლო ფილმების გადაღება იმ პერიოდზე“, – ამბობს ნანა ჯანელიძე.

ფილმის ოპერატორია გიორგი ბერიძე. მიუხედავად იმისა, რომ ფილმი

კადრების მხრივ არც ისე მრავალფეროვანია, ბერიძე, ფერების, განათებისა და სხვა დეტალების ხარჯზე, მაინც საინტერესო სურათს ქმნის.


„გალობის რაინდების“ პირველი ნაწილი ფილიმონ ქორიძეს ეძღვნება, პირველ ქართველ საოპერო ვარსკვლავს, რომელმაც მიღამში, ლასკალას საოპერო სცენა და ბრწყინვალე კარიერა დათმო, სამშობლოში ჩამოვიდა და აქ დასახლდა. შემდეგ კი თავისი ცხოვრების ბოლო 28 წელი საგალობლების შეგროვებას და მათ ნოტებზე გადატანას მიუძღვნა. ცხოვრების ბოლო წლები ფილიმონ ქორიძემ ქუთაისში, სილარიბეში გაატარა. ფულის საშოგნელად ის იჯახებში როიალების ასაწყობად დადიოდა.

პარალელურად კი, კარდაკარ ეძებდა ოჯახებს, სადაც საგალობლებს ასრულებდნენ და ისინი ნოტებზე გადატებინდა. 1995-1904 წლებში მან საგალობლების 4 კრებული შეადგინა. თუმცა, 1911 წელს, მისი გარდაცვალების შემდეგ კრებულები დაიკარგა.

„გალობის რაინდების“ მეორე ნაწილი ფილიმონ ქორიძის საქმის გამგრძელებელს, ბერ ექვთიმე (ევსტათე) კერესელიძეს ეძღვნება. მას შემდეგ, რაც სტანდაში ფილიმონ ქორიძის ხელნაწერებს მიაგნო, დევნისა და შევიწროების მიუხედავად, უშიშრად განაგრძობდა საგალობლების შეგროვებას და მათ გავრცელებას. 1935 წელს მან სახელმწიფო მუზეუმს 34 სანოტო კრებული გადასცა.

„გალობის რაინდებს“ ჯერჯერობით მხოლოდ პატარა კინოდარბაზებში აჩვენებენ. ფილმის კომერციული წარმატების შანსი, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ალბათ მინიმალურია, სამაგიეროდ დიდია ალბათობა, რომ „გალობის რაინდებით“ საფესტივალო ჩვენებზე დაინტერესდებიან. ■

ლახი თუ ავების, თუმცა ბიბის მაბახის



„და რაც უფრო ახლოა ზღვა, მით უფრო შორსაა ჰორიზონტი...“ კლასიკოსი მწერლის ეს ფრაზა ჩვენს ბედურულ პოლიტიკურ „წვრილმანებსაც“ ეხება. მაგალითად, ისეთს, როგორიც ადგილობრივი არჩევნებია.

დავით ბუხრიკიძე

ვიდრე ირაკლი ალასანია გაარკვევს, მივიდეს თუ არა მელაქოლიაში ჩავარდნილ გაჩერილაქესთან, თავად გაჩერილად მივა მასთან; ვიდრე საქართველოს ყოფილი მთავარი კომიკავშირული და გაქრისტიან-გადემოკრატიულებული გორგი ჭანტურია გაზის ტარიფების ქიმერებს ეპრძვის (აფსუს მთავარი ლეიბორისტის, შალვა ნათელაშვილის ამაო გარჯა!); ვიდრე „პრამერისტები“ საპრიზო ადგილებს დაინანილებენ, ხოლო ნიკა ივანიშვილი ძირძველი თბილისელების სოციალურ არქეტიპებს გამოიკვლევს, არასამეტარმეოდ შემართული იურიდიული პირი და, უბრალოდ, ახალგაზრდა მსახიობი კოტე თოლორაია, ჯგუფ „სეიშენთან“ ერთად, თბილისის მერს, გიგი უგულავას ასეთი აღტყინებით უმღერის:

„ჩვენი ხმა ვის? – გიგის! ჩვენი ხმა ვის? – გიგის! და გიგი ვის? – თბილისა!“

მალე ამავე სიმღერის მიხედვით გადაღებულ კლიპსაც ვნახავთ, რომელსაც მოძრაობა „ჩვენი ხმა გიგი უგულავას“ ძალიან დამოუკიდებელი ტელეარხებით გაგვაცნობს. ამ მოძრაობის დამფუძნებლებს უკვე კონკრეტული მიზნები აქვთ, თუმცა გრძელვადიანი სტრატეგია – არა: „ბიუჯეტი ცარიელი გვაქვს და თითქმის გაჩერებულები ვართ“, – მოთქვამენ ისინი. ამიტომ ცდილობენ, სპონსორები ყველაგან მოიძიონ, მერე დაამუჯათონ და სპორტულ-კულტურული ღონისძიებანი დამძიმებული სინდისის ქეწვნასავით აპეიდონ. ცხადია, თუ ამ უკანასკნელებმა ჩემად და უდრტვინებელად აიკიდეს: „ჩვენ დავაქმარებით გიგი უგულავას რითიც შევვიდლია – სიმღერით, ცეკვით, კლიპებით. უბრალოდ მისი „ფანები“ ვართ. ყველას, ვისაც სურს, რომ გიგი თბილისის მერი იყოს, ჩვენთან ვეპატიუებით“.

ერთი შეხედვით, 150 დოლარად დარეგისტრირებული, უბრნო ახალგაზრდული მოძრაობის სურვილსა და ზრახვაში უცნაური არაფერია. შევარდნაძის დროინდელი „მოქალაქეთა კავშირიდან“ მოყოლებული, რომლის უმუალო დაკვეთითაც შექმნა კომპოზიტორმა ჯემალ სეფიაშვილმა პოპულარული „გიხარდენ, გიხარდენ“, ხელისუფლება თავისი „სამწყსოს“ უკეთ ზომბირებას მსგავსი იდეოლოგიური კლიპებით ახერხებს. ახალ დროში კი „ვარდების ხელისუფლებისთვის“ ლექს-სენის მიერ დაწერილი პრიმიტიულ-პროპაგანდისტული

რეპი და ეთნოგრაფი-პატრიოტის, ზუმბას სიმღერები ისმოდა.

ამ მხატვრულ-იდეოლოგიურ ომში თითქმის ყველა ხერხი მისაღებია: ქუჩების მოპირკეთების სცენებიც (სადაც ასფალტისა და „ნაცემოძრაობის“ ობშივარი ერთმანეთში ირევა) და ქუჩებში ლეგალური ცემა-ტყებაც (კანონის დაცვის მიზნით), „გამჭვირვალე პოლიციის“ შენობის მოკრძალებული ხიბლიც, სადაც ვალერია ნოვოდვორსკაიას თქმით, „ლამის ქალების ტუალეტებიც კი გამჭვირვალეა“ და ნოღაიდელ-ძიგიგურ-დაგითაშვილის მაქსიმალური ლირიკული „გაშავებაც“.

ყველაზე უცნაური ის არის, რომ საარჩევნო ბრძოლაში ჩაბმულ მსახიობი თოლორაია და მისი საესტრადო რაზმი „სეიშენი“ ბატონ უგულავასა და ნაცმოძრაობის „დაუკითხავად“ აპირებს წინასაარჩევნო მარათონში ჩაბმას,

არადა უგულავას მერბის კანდიდატად ნაციონალები აქამდე ჯიუტად არ ასახელებენ. თუმცა კოტე და „სეიშენი“ ასე მღერიან: „არის ჩვენი მსგავსი, არ ჭირდება ფარსი... კარგად იცის საქმის ფასი“. ვერ გეტყვით, როგორ იციან ნაციონალებმა საქმის ფასი, მაგრამ ის, რომ ოპო-

ზიცია პარტიულ ძიგილაობაში კარგავს დროს, ხოლო უგულავა ამასობაში ყველანაირი უძრავ-მოძრავი საშუალებით ცდილობს ტელეკანაცხე გაჩნდეს და მაყურებლის მეხსიერებაში დარჩეს, აშკარაა. მერე რა, რომ „გიგის ფანებს“ კლიპს ჩანერისათვის ფული არა აქვთ, სამაგიეროდ, წინასაარჩევნო კაბპანიაში უფასოდ და სუფთა სინდისით მონაწილეობენ.

არადა, მერიისკენ მიმავალი გზა სულ უფრო ვაწწოა. სამწუხაროდ, უცნობ-გაჩერილაქეს ძალიან უდროოდ დაემართა გულის შეტევა, თორმე, რამე „დედა-ენის“ მსგავს კლიპს, ან სიმღერას არჩევნებისთვის დღესაც შეთხავდა. მერე რა, რომ მისი ძე ვერ ვერ გარკვეულა, სად იყო, არის და სად იქნება. ვერც იმას გეტყვით, ჯერ დაუცვეთელი „ქრისტიან-დემოკრატები“ პოლიტიკურ „ავე მარიას“ ინგა გრიგოლიას ვიზუალური გამოსახულებით უზრუნველყოფენ, თუ მაგდა ანიკაშვილის იაფი სამედიცინო დაზღვევით. სამაგიეროდ, ერთი რამ ნამდვილად შეიძლება ითქვას – „ეროვნული ფორუმი“ კლიპს სახელწოდებით „მუმლი მუხასა“, არ გადაიღებს. ეროვნული მოძრაობა ისვენებს. ■



სალაში ჯათვალ მოჩაბბებს



გზასაცდენილი საფეხბურთო რეპორტაჟი.

გიორგი სალაშვილი, ლონდონიდან

ჩემპიონთა ლიგაში, როგორც იქნა, მოხდა ამბავი, რომლისაც არავის სჯეროდა.

შეიდი წლის განმავლობაში პირველად, ლიგის ნახევარ-ფინალებში არც ერთი ინგლისური გუნდი არ იქნება.

სამშაბათს „ბარსელონამ“ კამპნიუზე გააბურთავა ტრა-ვმებით ტანჯული „არსენალი“, ლეო მესიმ კი კარიერაში პირველად გაიტანა ოთხი გოლი, რითაც კიდევ ერთხელ აალაპარაკა მსოფლიო მედაის იმის თაობაზე, რომ ახლა სწორედ ისაა სამყაროს საუკეთესო ფეხბურთელი.

ოსვალდო არდილესმა ისიც კი თქვა, ლეო ისეთივე კარ-გია, როგორც მარადონაო.

ოთხშაბათს კი, მორიგ ოლდტრეფოლდურ დრამაში ათვა-ციანმა „მანჩესტერ იუ-ნაიტედმა“ საბოლოოდ 3:2 მოუგო მიუნხენის ბაიერნს, რაც იმას ნიშანავდა, რომ ორი მატჩის ჯამში სტუ-მრად გატანილი გოლების ძალით გამოეთიშა ლიგას.

სიმართლე რომ ითქვას, ამ რეპორტაჟში სწორედ ამ თამაშის შესახებ უნდა მომეთხოვო, მაგრამ რიგ ფორმალობათა გამო საქმე დამიგვიანდა და ამიტომაც ჩრდილოეთში გამგზავრება აღარ გამოდიოდა. ჰოდა თამაში, რომლის რეპორტა-ჟიც უნდა დამენერა, ლონ-დონში ერთ ჩვეულებრივ უბნურ პაბში ვნახე.

დასავლეთ ლონდონის პაბში „მანჩესტერის“ ევროპული თამაშის ყურება ისედაც უცნაური რამაც და მით უმეტეს მაშინ, როცა თავი უკვე ოლდ ტრეფორდზე გეგონა და ნა-მუშავებას აპირებდი, მაგრამ უბნური პაბი მაინც უბნუ-რი პაბია და ნაცნობი სახეები, ნაცნობი კათხები და პაბის უკანა ეზოში მოსაწევად გასული პუბლიკა მაინც თავისას შერება.

რა თქმა უნდა, თამაში იყო დიდებული, დრამატული და ისეთი, როგორც არის ხოლმე ინგლისელების მონაწილე-

ობითა. განსაკუთრებით, თუ მეორე მხარე გერმანელია. „ტიპიური გერმანელები“, როგორც შენიშნა ამ მატჩის შე-მდეგ გაბრაზებულმა ალექს ფერგიუსონმა.

ოლონდაც იმ პაბში მანჩესტერს არავინ ქომაგობდა, ერთი ფრანგი ბიჭის გარდა, რომელმაც ტვინი წაილო, მერე კი არაბმა გოგომ მოაკითხა და ჩაწუმდა.

იქ საერთოდაც ერთი ბაბუაა, რომელიც თავისი კათხით ეკრანთან დემონსტრაციულად ზურგით ზის. ყოველთვის ასე ზის, სულ ერთ სკამზე.

პაბია მოკლედ, მაგრამ ლონდონია და სრული ინტერ-ნაციონალი. ერთი ხოტორა კაციც იყო ჩემს შორიახლოს, დიდი იასამნისფერი შარფით. შავგვრემანი, სანქცია – იტალიელი.

პაბში ასევა ხოლმე, რომ რაღაც ბრიგადა ყოველთვის გარეთ არის, მარტო ლუდის შესავებად შემო-დიან. ასეთია მოწვევის აკრძალ-ვის შედეგი და რას უზამ. ჰოდა, იქაც იყვნენ. ლოქალს, როგორც იტყვიან, ჩამჯდარ-ჩაფსკვნილი ჯეილები და ბიძები.

იმათში ერთი ბიძაკაცი ადრე-ვე შევამჩნიე, კაი ჭაღარა კაცი, ოლონდ სულაც არ ენერგია. იდგა და სვამდა თავის ლუდს სიბრელე-ში და სიცივეში.

მოკლედ, ერთადერთი წინადა-დება, რომელიც იქ მანჩესტერ-ბაიერნის გამო ითქვა, ბარმენი გოგოსგან, ემისგან მოისმა: „ჰა-ჰაააა, გაგარდნენ თუ არა, ბოლოს

და ბოლოს“.

ჰოდა ეს უბედური თამაში რომ მორჩა, საზოგადოებამ გარეთ იხუვლა მოსაწევად და იქ ისე გამოვიდა, რომ მე და ეს შარფიანი სწორედ იმ ბიძაკაცის შორიახლოს მო-ვხვდით, ჯიუტად რომ იდგა გარეთ.

ბიძამ კიდე არ დაახანა და ამას ეუბნება, – იტალიელი ხარო?

პაბი ეგეთი ადგილია, დადექი და ილაპარაკე უცნობ-თან. ტკბილი ადგილია ამ მხრივ. ■

კიო, — ამან, — პადუიდან ვარო.

ვახ, მიყვარხართ იტალიელებიო, ეგ თქვენი მარიაშული შარფებიც მიყვარსო, და ვაფშე პონტივეკიომ და მთელი ამბებიო. ოლონდაც, თქვენი ფეხბურთელები არ მიყვარსო. ამან კითხა, იტალიელმა, — სულ გარეთ რატომ ხარო. იმან კიდე, — მიყვარს აქ მოსვლაო, — მარა ფეხბურთი როა, არ შევდივარ შიგნითო, ვერ ვუყურებ ფეხბურთსო.

პირველად ვნახე ასეთი ინგლისელი. ფეხბურთს ბრძა ბებიებიც უყურებენ.

პაპის ფანჯარაში ჩანდა დიდი ეკრანი მწვანე მინდვრით, ზედ დახტოდნენ გახარებული გერმანელი ფეხბურთელები.

იცი რატომ? მეო მორაგბე ვარო და რაგბის მწვრთნელი და რაგბის მერე კიდე მიჭირს ფეხბურთის ყურება, იმხელა სიცრუე შიგო. მოკლედ, წავიდა ლაპარაკი, რა მა-კიდე, ერთმა ტახივით ბიძამ ახალი კათხა გამოუტანა ამ

გამომიწოდე ხელიო.

ხოდა გავუწოდე.

ეხლა უნდა ჩამოგართვა ხელი და დიდხანს, დიდხანს უნდა ჩამოგართვაო, — და ჩამოვართვით ხელი. ვართმევდით ასე, იმ სიცივეში და, მე ხო ვიცი თქვენი ამბებიო, აგე აღან-მაც იცისო, მარა თქვენ ხართ მაგრებიო, თქვენ მორაგბებს ვენაცვალე მეო, რა ბიჭებიო, რა კარგებიო. ალან, ირლან-დიასთან გახსოვსო, კინალამ რო მოუგეს ირლანდიასო. რა უქნეს, გახსოვსო? რო დაშალეს და ააწყვესო.

ვახ, — მეთქი.

კიო, იცი რა არი მთავარიო? თამაშში რო რალაცნაირ ემო-ციას დაიჭერო, და ეგ იყოო. ეგ შეუძლიათ თქვენებსო. ალა-ნიც აღტაცდა. კი კაცოო. მერე მე ვუთხარი, რომ რაგბის სტადიონი საქართველოში. მერე იმან გარია რაგბი და რა შოუბიზნესია ფეხბურთი. ამასობაში იმან ხო ჩვენ მორაგბებს ჩამოართვა ხელი. იმ ჭალარა კი კაცს?

ჯომ.



საქართველოს მორაგბეთა ნაკრები

ფოტო გამოსახულისა

ხოდა, ახლა მე მომიბრუნდა, — შენც იტალიელი ხარო? გიყვართ იტალიელებს ფეხბურთიო, ხალხის მტვრევა და კოტრიალი მინდორზეო, მაგრამ რაგბიც კაი გაქვთ, მალა-დეც უკვე კაიაო.

მეთქი, — არა, ჯორჯია. და ხო უნდა მოაყოლო, — დუ იუ ნოუ ჯორჯია? ეგრეა ხოლმე უფრო ხშირად.

მარა ვეღარ მოვაყოლე, იმიტომ, რომ ბიძამ, რომელსაც გაირკვა რომ ჯო ჰეჭია, ატეხა ყვირილი: ალან, ალანო, — იმ ტახივით ბიძას უხმო, — მოდი აქაო, — და მეუბნება:

მერე კი მოვყევით ამ მთისა და იმ მთისა.

ეგეთია უბნის პაბი.

ამასობაში კიდევ გავარდა მანჩესტერ იუნაიტედი. რაფაე-ლი გააგდეს. ტყუილად, მე თუ მკითხავთ.

ქართველ მორაგბებს შორეული მოკითხვა და სალამი ძია ჯოსგან, ტახივით ალანისგან, რომელიც ბიჭობაში ჰუკე-რი ყოფილიყო და მთელი გრეისტოკის პაბისგან.

მაგარი კაცი იყო ჯო, ნამდვილი რაგბის კაცი.

სხვა დროს ოლდ ტრეფორდიდანაც მოვიწერები. ■

პეტრე - "ლუნგრინი მასაჟი"

(ფიქტური პერსონაჟის აღმოჩენის აღმოჩენი)



„ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ ამ პროექტის მეშვეობით
პროტესტი საქართველოში ახალ სახეს იღებს...“

კახა თოლორდავა

„...დუნგრენი ტელესკოპის (ან თუ გნებავთ დუდუკის) ფორმის
გიგანტური ჩასაბერი ტიპეტური რიტუალური ინსტრუმენტია. ძა-
ლიან გრძელი, ზოგჯერ სამი, ზოგჯერ კი ოთხი მეტრის სიგრძი-
საც შეიძლება იყოს. რომ არ დაიშალოს, მის ბოლოებს, როგორც
წესი, ხის სადგამებზე დგამენ ხოლმე. ლამა ცულტრიმ ალიონებ
ასე აღწერა მისი ბეჭედი: „ესაა დაბალი, გრძელი, ქვესკელისებრი,
დაუვიწყარი მოთქმა, რომელსაც ძალებს ყველაზე მაღალ პიმა-
ლურ მწვერვალზე უფრო მაღლა აგიტაცით და ამავდროულად
უკან, დედის საშოში მოგისროლოთ“. ტიპეტელი ბერები ბერის
უწყვეტობის შესანარჩუნებლად ერთდროულად რამდენიმე დუნგ-
რენზე უკავენ ხოლმე, თითო მათგანი – თითო ინსტრუმენტზე.
როდესაც დუნგრენის პირი მთებისკანა მიმართული, ექს ეფექტი
გამაოგნებლად მოშხიბვლელია. ამბობენ, რომ დუნგრენის დაბალი
ტონი ადამიანის ფიზიოლოგიურ და ფიზიკურ მდგრამარეობაზე
ახდენს ზეგავლენას. ტიპეტელების მიაჩნიათ, რომ დუნგრენის კოს-
მოსური ზეგავლენაც აქვთ: მთით ვარაუდით, დუნგრენის ბერით
სიხშირეს შეუძლია ზეცის და ხმელეთის, სიბრძლის და სინათლის
გაერთიანება. დუნგრენი ტონერი ინსტრუმენტია, მასზე მელოდია
არ სრულდება. როგორც წესი, ტიპეტურ მონასტრებში დუნგრე-
ნის „ბაზილი“ მნიშვნელოვანი რიტუალების დაწყების წინ ისმის
ხოლმე...“

„...ვარაუდობ, რომ პროექტის ფარგლებში საჭირო იქნება მი-
ნიმუშ ოცდექვსი ოთხმეტრიანი დუნგრენის შექნა. პრინციპული
ის, რომ მათი შესახენი ფული შეგრივებული იქნას თბილსელების
მიერ (თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ სასურველი იქნება პროექტიში
შეძლებული მოქალაქეების ჩართვა). ინსტრუმენტების შექნის
შემდეგ მტკვრის ორივე სანაპიროზე (წყალთან მაქსიმალურად
ახლოს, სავარაუდო, დიდუბის ხიდიდან ორთაჭალის ხიდამდე),
სპეციალური კომისიის მიერ შერჩეულ ადგილებში მონტაჟდება
შექნილი დუნგრენები. თითო ობიექტზე – ორ-ორი. ელექტრო-
ნული და ბეჭდებითი მედიის მეშვეობით ცხადდება კომისიის მიერ
შემოთავაზებული და მოქალაქეების ნარმომადგენლებთან შეთანხ-
მებული ერთი დღე თვეში. იმ დღეს, დაწყებული შვიდი საათიდან,
საქართველოს წესისმიერ მოქალაქეს (დუნგრენებთან მთავრობა
ეკრალებათ ქალაქში ჩამოსულ უცხოელ სტუმრებს და ყველა პო-
ლიტიკოსს), ყველას, ვისაც უ ჭ ი რ ს, ან სტ კ ი ვ ა, ან უ ს ა მ ა რ
თ ლ ი დ დ ა ი ჩ ა გ რ ა, უფლება ეძღვევა (რა თქმა უნდა, რიგში
ჩადგომით) რამდენიმე წუთის გამავლობაში ჩაბერის დუნგრენის
და ამით ამცნოს დანარჩენებს თავისი გასაჭირის შესახებ...“

„...პროექტის სავარაუდო ეფექტურობის დასადგენად სპეცია-
ლურად შედეგნილმა ფოკუს ჯგუფებმა ცხადყვეს, რომ პროექტის



ნარმატება თითქმის გარანტირებულია, თუმცა ერთხმად აღინიშნა,
რომ თბილისელებისათვის საკმაოდ ძნელი მოსასმენი იქნება მთე-
ლი დღის განმავლობაში ასეთი უწყვეტი, დაბალი და ქვესკელი-
სებრი მოთქმის სმენა. მიუხედავად ამისა, უძრავლესობის აზრით,
ოცდაოთხი საათის გამავლობაში, პატიოს გარეშე „დაჭრილი სპი-
ლოების კვენესის“ (ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთი წევრის სიტყვებია)
სმენამ დადებითად უნდა იმოქმედოს მოქალაქებზე და ზოგადად
ქართველებზე. მათი აზრით, პროექტი ხელს შეუწყობს „ეროვნუ-
ლი გამოფზითლების“ პროცესის დაწყებას (შემოვიდა წინადადება
საქართველოს სხვა მდინარეებზეც პროექტის განხორციელების
შესახებ)“ ...

„...ნაწყვეტი შეფასებებიდან: „ჩემთვის სრულიად ნათელია, რომ
ამ პროექტის მეშვეობით პროტესტი საქართველოში ახალ სახეს
იღებს. როგორც იქნა, ბოლო მოედება ამ დაუსრულებელ მიტინგე-
ბს და უაზრო დაძაბულობას. იმ დღი დაუდუკების მეშვეობით, ვე-
შაპებივით რომ იბლავლებენ თავის ნაღვლიან სიმღერებს, ყველას
ყველაფერი ეცოდინება. ყველა იმ დუნგრენია თუ რაღაც ოხრო-
ბას, თავისი განუმეორებელი ამბავი ექნება მოსაყოლი. უსიტყვოდ
ვუჭრ მხარს პროექტს“ ...

„...ნაწყვეტი პროექტის ავტორის შესავალი ტექსტიდან: „...პროე-
ქტის იდეა ბაზრობაზე ყოფნის დროს დამებადა. რაღაცების საყი-
დლად ვიყავი იქ. რაღაც მომენტში ფიქრებში წავედი და თითქოს
იქაურობას მოვწყდი, ენერგეტიკულად დამღალა ამდენი გაჭრ-
ებული ადამიანის ყურებამ... იგივე შეგრძება დამუჟღლა ოდნავ
მოგვიანებით, სადგურის მიმართულებით რომ გავემართე... და მე-
რეც, სახლში ფეხით დაბრუნება რომ გადაწყვიტე“ ...

„...პროექტის ვადა: „...პროექტის ხანგძლივობა ჯერჯერობით
დაუდგენელია...“ █



რადიო „ნაცობი“ გეპატიურათ კლუბი „ნაცობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა





WWW.LIBERALI.GE
